



# იგორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№305 (364) 24 თებერვალი-3 მარტი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – აააკი ხანიძე

## ეპროკის ირები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ

ჟურნალისტ ირაკლი თოდუას ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან დაიბეჭდა 2012 წელს, გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“

### საზოგადოებაში ავტორიტეტული ლიდერების მწვავე დეფიციტია...

– დიას, და ეს პარტიათა ფორმირების ფესვგადგმული პრაქტიკის შედეგია. პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. თუ ადამიანი პარტიას არა იდეოლოგიური პრიორიტეტების პრინციპით ქმნის, არამედ საკუთარ თავზე ირგებს, მაშ, რით მოიხილოს მხარდამჭერები? იგი მათ ჰპირდება ადგილებს პარლამენტში, ფულიან თანამდებობებს, კარგ ბიზნესს. ამგვარად, პარტიები, პარტიული უნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა. ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, განხეთქილებას პარტიებში, ერთი და იმავე სახეების გადახვლას პარტიიდან პარტიაში. ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში. იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია. ეს, სხვათა შორის, მათ ნაკლებად ადვილდება. მათ იცინა, რომ შეიძლება შეხვიდე პარლამენტში, თუ ამერიკელებს მოეწონები, და ისინი ხელისუფლებას მითითებას მისცემენ ამა თუ იმ პარტიის შეყვანის თაობაზე. ამიტომ ბოლო წლების მანძილზე ოპოზიციური პარტიების საქმიანობის მთავარი მიზანი იყო, დაემტკიცებინათ ამერიკელებისთვის საკუთარი მხადფონა და უნარი, შეესრულებინათ მათი მითითებები უკეთ, ვიდრე ამას მოქმედი ხელისუფლება აკეთებს.

– ბოლო ორი-სამი წელია, ზოგმა პოლიტიკურმა ლიდერმა დაიწყო სკეპსის გამოხატვა ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აშშ-ის მხრიდან ტოტალური კონტროლის წინააღმდეგ გამოდიან, ეროვნული ღირებულებების კენ, ეროვნული ღირსების კენ მიბრუნებას მოგვიწოდებენ. დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსის გამოხვლას ვუსმენ და ხანდახან მეჩვენება, რომ ისინი თქვენი 10-15 წლის წინანდელი სტატიებიდან ამონარიდებს კითხულობენ...

– არიან ასეთებიც, მაგრამ ასეთები გახდნენ იმიტომ, რომ ამერიკელებმა თქვენ უარი მათი ამბიციების დაკმაყოფილებაზე, მიახვედრეს, რომ ქვეყნის ლიდერებად მათი კანდიდატურები არ განიხილება. გაიხსენეთ ამ პოლიტიკოსების ადრინდელი პოლიტიკური კარიერა. რომელი არ იყო მათ შორის ჯერ შევარდნაძესთან, შემდეგ კი სააკაშვილთან? რას ელაპარაკებოდნენ მაშინ ხალხს, რაზე მსჯელობდნენ? ნატოში უმოკლეს ვადაში შესვლაზე, ევროკავშირზე, აშშ-თან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, «დასავლური ღირებულებების» დანერგვაზე, «სამარცხვინო წარსულზე» უარის თქმაზე, მტერზე რუსეთის სახით. სხვათა შორის, ამერიკელებისგან უარის მიღების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა მხარდაჭერისთვის სწორედ რუსეთს მიმართა, იქ კი კარგად ახსოვთ მათი პოლიტიკური წარსული, თუმცა ზრდილობიანად მიიღეს,

გაუღიძვრეს კიდევ, მაგრამ, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მხარდაჭერის მოპოვება ურჩიეს. იქნებ ახლა მაინც, როდესაც «ძია სემის» და «ძია ვანიას» დახმარების იმედი დაეკარგათ, ამ პოლიტიკოსებმა მკაფიო იდეოლოგიური კონცეფციის შემუშავება დაიწყონ, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და სულიერ-ხელოვნობრივ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული და ამგვარად სცადონ ერის მხარდაჭერის მოპოვება, ნაცვლად იმისა, რომ ამერიკის ელჩის მისაღებში საკუთარ რიგს დაელოდონ.

პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, იდეების ბრძოლაა. პოლიტიკური ლიდერები იდეური ადამიანები უნდა იყვნენ. ქვეყნის წარსულზე, აწმოსა და მომავალზე საკუთარი ხედვა, ერისა და სახელმწიფოს განვითარებაზე საკუთარი კონცეფცია უნდა გააჩნდეთ. შეგიძლიათ დამისახელოთ თუნდაც ერთი ქართველი პოლიტიკოსი მოქმედ «მჭიდში», რომელიც იქნებოდა სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების შესახებ პროგრამული სტატიის ავტორი? წიგნზე არ ვამბობ, თუნდაც ერთი უბრალო სტატიის ავტორი რომ იყოს? ისინი ურცივ ინტერვიუს აძლევენ, რომლებშიც სააკაშვილის სკანდალურ ქცევას განიხილავენ, ერთმანეთს პრეტენზიებს უყენებენ, საკუთარ თავს იქებენ, სხვებს კიცხავენ. განა შეიძლება ამ ინტერვიუებიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ მათი პოზიციის გაგება? პარტიული პროგრამები ერთნაირია, მათ კითხვას არანაირი აზრი არ აქვს, ისინი, უბრალოდ, დასავლური ნიმუშებიდანაა გადმოწერილი და ქართულ სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მაშ, რის საფუძველზე უნდა მისცეს მათ ამომრჩეველმა ხმა? ყველა „საქართველოს აყვავებას“ გვიპირდება, მაგრამ როგორ გავიგოთ, თუ რა გზით უზრუნველყოფენ ისინი ამ „აყვავებას“? შევარდნაძეც გვიპირდება, სააკაშვილიც...

### საკაშვილმა გელათის ტაძარში ფიცის კი დადო...

– სააკაშვილს ფიცი არ დაუდვია. ფიცი ჰქვია ტექსტს, რომელშიც არის სიტყვა „ფიცავ“! სააკაშვილს ეს სიტყვა ერთხელაც არ უთქვამს. ეს იყო გამოსვლა ეკლესიაში, ამერიკული სპიხი მართლმადიდებლურ ტაძარში, რომელიც, გაუგებარია, რატომ დაუშვა ჩვენმა ეკლესიამ.

### საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას აყალიბებს იდეების ბრძოლა, ანუ იდეაში – პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. ჩვენს პარტიებს იდეების არქონის მიზეზით ასეთი კულტურის ფორმირება არ შეუძლიათ. მაგრამ პოლიტიკური კულტურის გარეშე ჩვენი საზოგადოება დაუცველია სხვადასხვაგვარი მანიპულაციებისგან. ეს ჩაკეტილი წრეა, როგორ გაგარდვიოთ ეს წრე?

– დიას, ქვეყნის საზოგადოება, ერი დაუცველია და ამიტომაც ამდენი წლის მანძილზე ბინძური პოლიტიკური მანიპულაციების მსხვერპლს წარმოადგენს. ჯერ-ჯერობით გამოსავალი მხოლოდ ერთია: აუცილებელია, ჩვენი საზოგადოების პარტიულმა, ეროვნულად ორიენტირებულმა წარმომადგენლებმა ფართო საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალონ – აუხსნან ხალხს მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი, მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური

ტენდენციები, რეგიონული პრობლემები, საქართველოს ისტორიული თავისებურება, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკა. ხალხი არაა დამნაშავე იმაში, რომ ეს ყველაფერი არ იცის. სასწავლო დაწესებულებებში ამას არ ასწავლიან, ტელევიზია ამ პრობლემებს აყალიბებს, პოლიტიკოსები ერს მითებს ახევენ თავს. საჭიროა ილია ჭავჭავაძის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ტიპის პოლიტიკური განათლების სისტემა.

### წამიკითხავს, რომ თქვენი ბაბუა აფხაზეთში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ედგა სათავეში...

– დიას, ხსნიდა და ინახავდა სკოლებს. მაშინ შეძლებული ხალხი მეტს ფიქრობდა ერის მომავალზე, ვიდრე დღევანდელი მდიდრები.

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, რომელიც პლანეტის საკმაოდ სახიფათო კუთხეში ვცხოვრობთ. ჩვენი ერის სიცოცხლესა და სახელმწიფოს არსებობაზე პასუხისმგებლობა ყველა ქართველმა უნდა იტვირთოს. ამისთვის იგი კომპეტენტური უნდა იყოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ



საკითხებში, რათა მოტყუებული არ დარჩეს როგორც გარე ძალების, ისე ადგილობრივი პოლიტიკური ავანტიურისტების მხრიდან. ცოდნა და დიპლომატია – ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელთაც შეუძლია გადაარჩინოს ქართველი ერი ამ ვერაგ საუკუნეში. ჩვენმა ხელისუფლებამ კოლოსალურ საგარეო ვალში ჩააგდო ქვეყანა, მაგრამ ფული არც სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, არც განადგურებასა და მეცნიერებაზე არ დახარჯულა, არამედ ჯარისა და სამართალდამცავი სისტემის შენახვასა და შეიარაღებაზე წავიდა. ვისთან ვაპირებთ ომს? თუ ვაპირებთ, რომ შეიარაღებული ძალები მეზობლებთან ურთიერთობაში გამოვიყენოთ, მაშინ ჩვენ შეიძლება სამი პიპოტურული მოწინააღმდეგე გვყავდეს – რუსეთი, თურქეთი, ირანი (ყველა მეზობლის უკან სწორედ ეს სახელმწიფოები დგანან). როგორი უნდა იყოს ქართული ჯარი, რათა რომელიმე მათგანს შეებრძოლოს? თეორიულად მაინც შესაძლებელია კი ასეთი ჯარი გვყავდეს?

საქართველოში წამყვანი, ყველაზე მრავალრიცხოვანი და მალაქპროფესიული სახელმწიფო სტრუქტურა საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს. ქართველი დიპლომატები მიხანდასახულად უნდა მუშაობდნენ მთელ მსოფლიოში, ამყარებდნენ სარწმუნო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტაქტებს, საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების პროპაგანდას ეწეოდნენ. ასეთი საქმიანობა, განათლებისა და

მეცნიერების განვითარებასთან ერთად, უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის შედარებით უსაფრთხო არსებობას. საქართველო მსოფლიოში ცნობილი უნდა იყოს არა პრეზიდენტის ექსცენტრიულობით, ეთნოკონფლიქტებით და მიხინარე მოსახლეობის დაბომბვით, არამედ მშვიდობიანი შემოქმედებითი საქმიანობით, გამორჩეული დიპლომატიით, მოსახლეობის განათლების მაღალი დონით, მეცნიერული და კულტურული მიღწევებით.

### მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებს, თქვენ უკვე გამოთქვით მოსაზრება „ქართული ოცნების“ საქმიანობის შესახებ. არის კიდევ რამდენიმე ახალი პოლიტიკური ძალა, რომელთა შესახებაც საინტერესო იქნებოდა თქვენი აზრი გაგვეთქვათ. მაგალითად, „სახალხო კრება“ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით...

– მე, როგორც წესი, კონკრეტული ოპოზიციური პარტიებისა და მათი ლიდერების შეფასებისგან თავს ვიკავებ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ამ პარტიებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ კიდევ. მეორეც, ამ პარტიების ლიდერთა უმრავლესობა შევარდნაძისა და სააკაშვილის გუნდის ყოფილი წევრები არიან, ამ გუნდების მიმართ კი სიმპათიით განწყობილი არ ვარ. და მესამე, – არ მინდა, ჩემი შეფასებებით მათ ოპოზიციურ საქმიანობას ხელი შევეშალო, ვინაიდან ვიმედოვნებ, რომ ისინი ოდესმე ჩამოყალიბდებიან რეალურ ეროვნულ ძალად, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს გამოხატავს. რაც შეეხება „სახალხო კრებას“, მასში გაერთიანებულია ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებსაც პარტიის ვცემ მათი პარტიოტიზმისა და ეროვნული სულისკვეთების გამო და რა თქმა უნდა, წარმატებებს ვუსურვებ მათ. ამასთან, ჩემთვის, როგორც რიგითი ამომრჩევლისთვის, სასურველი იქნებოდა, რომ ამ გაერთიანების ლიდერი ნაკლებად იყოს დაკავებული საკუთარი თავის ქებით, თვითტკობით და მეტად ეცადოს, დაანახოს მოსახლეობას, თუ რეალურად რით განსხვავდება ყოფილი თანაგუნდელებისგან. მგონი, პიპოტურფორმული წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე მას ხელს უშლის, რეალურად შეაფასოს საკუთარი ადგილი ქართულ პოლიტიკაში. ის საკუთარ თავზეც კი მხოლოდ მესამე პირში საუბრობს, როგორც ამას თურქეთის სულთნები და ინდიელთა ბელადები აკეთებდნენ. ეს ძალიან სასაცილოა და მას ავტორიტეტს არ კმატებს. მითუმეტეს, რომ მას, ჩემი აზრით, წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით საამაყო არაფერი აქვს...

### რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა მინდია გულუამ ასევე ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია და ძალაუფლებისთვის ბრძოლა წამოიწყო...

– მე მას არ ვიცნობ და არაფერი ვიცი პარტიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. რაღა დაგიმალოთ, მე ორადორი ლიდერი ვიცი, რომლებიც საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ ბრძოლას და ამ გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში – ვლადიმერ ლენინი და აიათოლა პომეინი, მაგრამ ლენინს ძლიერი იდეოლოგია და სტალინი ჰყავდა, ხოლო პომეინი შიიტური სამყაროს აღიარებული სულიერი ლიდერი იყო.

ესაუბრა ირაკლი თოდუა

# სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია

პროკოპისეული ტოპოგრაფიული აღწერის გათვალისწინებით ზ. ანაბაძე, დ. მუსხელიშვილი, შ. ინალ-იფა და მ. გუნბა ანასგთა მთავარ დასახლებულ პუნქტს ანაკოფია-ახალ ათონთან აიგივებენ. თ. გვანცელაძის შეფასებით, „ამ პუნქტის გაიგებება თავისუფლად შეიძლება არა მარტო გავრასთან, ან ანაკოფია-ახალ ათონთან, არამედ გავრადან ამჟამინდელ ტუაფსემდე მდებარე მრავალ სხვა ზღვისპირა და კლდოვან ადგილთანაც“ (გვანცელაძე 1998: 26). დ. გოგოლაძის მოსაზრებით, 1961 წელს სპელეოლოგიური ექსპედიციის მიერ ძველ ანაკოფიაში, ანუ ახალი ათონის ტერიტორიაზე, ივერიის მთის ჩრდილოეთი კალთისძირში აღმოჩენილი უდიდესი კარსტული მღვიმე სწორედ პროკოპის მიერ ნახსენები „ნაპრაღი მტად სახარი“ ანუ ტრაქა უნდა იყოს (გოგოლაძე 1997: 87).

IX ს-ის დასაწყისში აფხაზეთა მეფე თეოდოს II-ის (798-825 წწ.) მიერ აფხაზეთის სატახტო ქალაქი ანაკოფიდან ქუთაისში იქნა გადატანილი. „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორი გვაუწყებს, რომ ერთიანი სამეფოს შექმნის შემდეგ ანაკოფია იყო „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 317). მას არც მოგვიანებით დაუკარგავს მნიშვნელობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დემეტრე უფლისწულის (რომელიც იყო ძე ბაგრატ IV-ის დედინაცვალ აღდგენილი ფსონის მარცხენა ნაპირზე ანაკოფიის წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ტაძარი და სვიმონ კანანელის ეკლესია (ბერულავა 1951: 39-40).

X ს-ის ბოლოდან ანაკოფია მიიხნეოდა ქრისტეს მოციქულის – სიმონ კანანელის სამარხად. კ. ბერულავა შენიშნავდა, რომ გიორგი მთაწმიდელის მიერ ანტიოქიის პატრიარქთან საუბარში ნიკოფისის სვიმონ კანანელის განსახელებლად მოხსენიება განპირობებული იყო „საქართველოს ეკლესიისათვის კანონიკური პრესტიჟის შექმნის მიზნით“ (ბერულავა 1951: 33).

ვახუშტი ანაკოფიის აშენებას თუ ხელახალ ადგილზე ბერძენებს მიაწერს. ციხის უძველესი ნაგებობანი, მათ შორის თლილი ქვით ნაგები ოთხსართულიანი „რომაული კოშკი“ ახ. წ. II-IV სს-ით თარიღდება. მთის ვეგეტაცია მაღალ ადგილას მდგარი ტაძრისა და მის გარშემო შემორჩენილ პალატა ნანგრევებზე, აგრეთვე წყალსატევებისა და სხვა სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები VIII-IX სს-ით თარიღდება. შესაძლებელია კლავდიუს პტოლემეისის „გეოგრაფიკაში“ (II ს. II ნახევარი) ნახსენები „მაგარი კედელი (ციხე)“ ანაკოფია იყოს. პტოლემეისის აღწერით, იმას, რომ ციხის კედელი მაგარი იყო, მისი სტრატეგიული მდგომარეობა განაპირობებდა.

მ. თრაფის ხელმძღვანელობით 1957-1958 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით ნათელი მოეფინა ანაკოფიის ძველი ისტორიის ბევრ ბუნდოვან საკითხს. გაირკვა, რომ ციხე-ქალაქი ივერიის მთაზე მოიცავდა 7 პა ფართობს და შემოზღუდული იყო კოშკებიანი გალავნით. აქვე გამოვლინდა VII-XII სს. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე ტაძრის ნანგრევები, საკირე, მინისა და თიხის ნაკეთობანი, საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების რკინის იარაღები და სხვ. (Анчабадзе 1959; Пачулия II, 1968; Трапш 30, 1959; ლორთქიფანიძე, ზაქარაია I, 1997: 141-142...).

ანაკოფიის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ქრისტეფორე კასტელი. მიხიონერი შენიშნავს, რომ ანაკოფიის ციხე-სიმაგრისა და ნავთსაყუდარის მფლობელი იყო დავით ჩიჯავაძე (კასტელი 1976: 82). მისივე ცნობით „განაკოპიაში ცალკე ჰყიდნიან ტყეებს... თურქებზე“ (იქვე: 171). იაკობ რაინეგის საქართველოში მოგზაურობის დროისთვის (XVIII ს-ის 70-80-იანი წწ.) ანაკოფია აფხაზეთის შემადგენლობაში იყო.

XVIII ს-იდან ანაკოფიის სანაპირო კოშკს თურქები ფლობენ. მოგვიანებით, სიმონ კანანელის დაბრუნებული ეკლესიის ქვეშით, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვისთან, კოშკი აუგია ადგილობრივ ფეოდალს პასან მარღანიას (ბერულავა 1951: 41).

ტაძარი წარმოადგენს სამნავიან ნაგებობას ხუთი გუმბათით. ტაძრის სიგრძე 53,3 მ-ია, სიგანე – 37,7 მ, ხოლო ცენ-

ტრალური გუმბათის სიმაღლე – 40 მ (ავიბა 1997: 281-282).

კელასურის კედელი, რაც აგრეთვე „აფხაზეთის დიდი კედლის“ სახელწოდებითაა ცნობილი, სოხუმის სამხრეთით, 5 კმ-ის დაშორებით იწყება და მიუყვება კელასურის მარცხენა ნაპირს, მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან ჩრდილოეთით, დალიბამდე. ვახუშტი „ანაკოფიის აღმოსავლეთ ზღვიდან მოამდე“ თავდაცვით ნაგებობათა სისტემის აგებას, „ზღუდის შევლებას“ ოდიშის მთავარ ლეეან II დადიანის სახელს უკავშირებს და შენიშნავს, რომ ეს განპირობებული იყო „აფხაზეთა გამოუსვლელიობისათვის“. მეცნიერი საკმაო სიცხადით მიუთითებს ზღუდის ადგილმდებარეობას, რომ იგი ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვასთან იწყება და მოამდე გრძელდება. ამასთანავე, მან იცის, რომ ეს ზღუდე წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის, და რომ იგი „გარნა აწ უქმად არს“; თუმცა დაზუსტებით არაფერს ამბობს ზღუდის სახელწოდებაზე (ვახუშტი IV, 1973: 782).

ამ სიმაგრის შესახებ ცნობები დაცულია არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში: „...ზღვის მხრით... მტერი ადვილად შესძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც: რადგან ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე (ოლუსცი) ჰქვია, მთები აკმლილია და მტერს ადვილად შეუძლია აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოციათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“ (ლამბერტი 2011: 188). უან შარდენის თქმით, სამოცი მილის სიგრძის კედელი ოდიშს იცავდა ჩრდილოეთიდან, აფხაზეთისაგან (შარდენი 1902: 24).

„აფხაზეთის დიდი კედლის“ გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურის (ლამბერტი, შარდენი, ვახუშტი, დიუბუა დე მონპერე, დ. ბაქრაძე, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე, მ. ივაშენკო, ჯ. კუდრიავცევი, დ. გულია, ბ. ბლაჟუა, ი. აბინა...) ნაწილი მიმოიხილა თ. ბერაძემ და გამოთქვა სასწიერო დამაჯერებელი მოსაზრება, რომ ამ სახელწოდების ქვეშ „მკვლევარები ხელოვნურად აერთიანებენ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობებს“ (ბერაძე სიგ. IV, 1971: 72). თ. ბერაძე მიიხილავს, რომ ვახუშტის ცნობა ლეეან II დადიანის მიერ ზღუდის აგების შესახებ სარწმუნოა და კელასურიდან დალიბამდე არსებული გზა-გადასასვლელის ქვის კედელ-გალავნებით გამაგრებას ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე აფხაზეთის ფაქტობრივ თავდასხმებით შექმნილი ვაშაშროვის თავიდან აცილება განაპირობებდა. ლეეანმა საზღვარი საგანგებოდ გაამაგრა და ჩრდილოეთიდან დასაცავ ბარიერად კედელი გაავლო, ვინაიდან „იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჭერება ენდობამდე შეუძლებელი იქნებოდა“ (იქვე: 72).

უთუოდ აფხაზეთა თავდასხმების მოგერიებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ოდიშის მესვეური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის გამაგრებას. ამაზე ყურადღებას ამახვილებს ლამბერტი, რომელიც წერს: იმ მიზნით, რომ ოლუშედ წოდებულ ადგილას აგებულ კოშკებს შეიარაღებული მცველები არ მოკლებოდნენ, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებსა და დიდებულებს ევლავდნენ, მორიგეობით გამოეყვანათ „თავისი კაცები“ ამ ადგილების თითო თვით დასაცავად (იქვე: 188).

სპეციალისტა წინაშე დასმულ მთავარ კითხვას, თუ ვინ, როდის და რა მიზნით ააგო ეს კედელი, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ზ. ალექსიძემ (ალექსიძე 2, 2011: 34-41). მან ყურადღება მიაქცია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო თხზულების – „მოქცევა ქართლისაის“ ახალ, სინურ რედაქციაში კლისურის ზღუდის შესახებ დაცულ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ კედელი სპარსელების მიერ ყოფილა აგებული (იქვე: 38). ამ ცნობაზე დაყრდნობით, კითხვას – ვისი აგებულია

ჩვენამდე მოღწეული კედელი: სპარსელთა მიერ – VI ს-ში, თუ ლეეან დადიანისა – XVII ს-ში, ზ. ალექსიძემ შემდეგი პასუხი გასცა: კელასურის კედელი აგებულია სპარსელთა მიერ ხაზართა უკუგდების მიზნით, დიდი ალბათობით – 553-568 წლებში, უფრო კი 553-562 წლებს შორის პერიოდში, ანუ მანამდე, ვიდრე ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის 50-წლიანი ზავი დაიდებოდა. მკვლევარს შესაძლებლობის გათვალისწინებით საეჭვოდ მიანია ლეეან დადიანის მიერ ამხელა კედლის აგება, ვინაიდან შესაძლებელია ოდიშის მთავარს მხოლოდ რაღაც დამატებინა, გამოეყენებინა, შეეცო და გაემარებინა შუკვ არსებული ნაგებობა (იქვე: 40-41).

მკვლევარ ი. ვორონოვის დასაბუთებული მსჯელობით კელასურის საფორტიფიკაციო ხაზის სიგრძე 58 კმ-ს აღწევს, ხოლო კედლისა – 25 კმ-ს (Воронов 1926, вып. 4; Адзинба 1958: 106).

**საპუტორო აფხაზეთი**  
**აღაცოსწყალი.** „ხოლო ანაკოფიის დასავლეთ დის აღაცოს წყალი. გამოსდის კაკასს და მიერთვის ზღუას ჩდილოდამ. ამ აღაცოს წყლის დასავლეთ დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კაკასს, დის სამპრით, მიერთვის ჩდილოდამ ზღუას. არს ზუფუ მცირე ქალაქისაგან, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მკვრობლობს აფხაზეთა, არაგის მორჩილებასა შინა მყოფი. ამ ზუფუს დასავლეთ დის მუწისწყალი. გამოსდის კაკასსავე, მოერთვის ჩდილოდამ ზღუას. ამ მუწისწყლის დასავლეთ არს ბიჭვინტის ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღვს კიდესა ზედა. ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველ იყო საკისკოპოზო. ეამსა აფხაზეთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს საყდარი აფხაზეთა კათალიკოზისა, არამედ აწ ზუფის ამარად, ვინაითგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნობასა (ამას ვგონებ ნიკოფსიად, და ეკლესიასაცა მასზედ აღშენებულსა მისთვის, ვინაითგან ნიკოფსიას დაფლულ არს მიციქული სვიმონ კანანელი). ამის ბიჭვინტის დასავლეთ დის კაპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კაკასსა, გამოვლის სუანეთს, აღანსა და მას ქუეითთა ორს კაკას-შორისთა და მიერთვის აქა ჩდილოდამ ზღუასა“ (ვახუშტი IV, 1973: 783-785).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახუშტის „აღწერაში“ დასახელებული აღაცოს წყალი აწინდელი აფსთა უნდა იყოს. (აფსთა//ბაკლანოკა ეწოდება მდინარეს გუდაუთის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს ბზიფის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, ზ. დ. 1445 მ-ზე. ჩამოედინება მის აღმოსავლეთ კალთაზე და შეერთვის შავ ზღვას ახალ ათონსა და გუდაუთას შორის... მდინარის სიგრძე 35 კმ-ია, აუზის ფართობი – 234 კმ2. აფსთის მთავარი შენაკადია დოხვარა და მარცხენა შენაკადი – ხაბიუს მღვიმის ნაკადი („საქართველო“ I, 1997: 9).

გერმანელი მეცნიერი ედუარდ აიხვალდი აფხაზეთში ასახელებს მდ. აფსთას და შენიშნავს, რომ მისგან 1-1/2 ვერსის მოშორებით მდებარეობს თეგხით ძალზე მდიდარი ტბა ანარძე (აიხვალდი 2005: 221). აფსთა, – დასძენს აიხვალდი, სათავეს იღებს კაკასიონის მთა ხიბოხუდან ანუ პლოფადიდან და სწრაფი დინების მიუხედავად შესაძლებელია მასზე ცურვა პატარა ნაგებობა, 4 ვერსზე (იქვე: 222).

გუდაუთიდან 12 კმ-ის დაშორებით, აფსთის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფ. ააცის უწინდელი სახელი ადაცო უნდა ყოფილიყო. XVII ს. II ნახევარში ერთ-ერთ თურქულ რუკაზე აღნას ფორმით აღნიშნული სოფელი სწორედ ადაცო უნდა იყოს (ბერაძე I, 1997: 9). იმერეთის მეფის – ალექსანდრე V-ის რუკაზე ახლანდელ აფხაზეთის მდინარეებს შორის გვხვდება მდ. ადაცო (მათურელი I, 1949: 214). დიენ-ტური სახელწოდებები სვანეთში დადასტურებული ტოპონიმი ააც და სამურზა-ვანოს მთაში ჩაწერილი აიცი – საბალახო ენგურის მარჯვენა შენაკადის, აიციყარის/ეცის სათავესთან (მიბნუანი 1998: 161; ცხადია, ჯოჯუა 2003: 15).

ადაცოსწყლის ლოკალიზაციის შესახებ ს. ჯანაშიას თვალსაზრისი, რომ ვახუშტის რუკაზე ანაკოფიის დასავლეთით ნაჩვენები ადაცოსწყალი უნდა იყოს დღევანდელი

გუმსა, იგივე გუმისთა (ჯანაშია VI, 1988: 287), ნაკლებ დამაჯერებელია.

ზუფუ, ვახუშტისეული „ზუფუს მდინარე“ ახლანდელი ხიფსთა//თეთრწყალა უნდა იყოს. აღნიშნული მდინარე მოედინება გუდაუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სათავეს იღებს ბზიფის ქედის სამხრეთ ნაწილში, მდინარეების – ხიფსთისა და აფსთის სათავეებში მდებარე იმავე სახელწოდების მთაზე, ზ. დ. 2134 მ სიმაღლეზე და შეერთვის შავ ზღვას. მდინარის სიგრძე 33 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი – 166 კმ2 (აფხაზეთი ქსე, XI, 1987: 486).

ვახუშტი საუბრობს მდინარის სახელწოდების მატარებელ, მცირე ქალაქის (დაბის) მსგავს დასახლებულ პუნქტზეც, სადაც ყოფილა აფხაზეთის მთავარ შარვაშიძის რეზიდენცია. ირკვევა, რომ ზუფუ შერვაშიძის (აღრინდელი ფორმა: შარვაშის ძე, შარვაშიძე, აფხ. ჩანბა, აჩანბა) „სახლი და საყოფელია“. ამასთანავე, შარვაშიძე „მკვრობლობს აფხაზეთა, არაგის მორჩილებასა შინა მყოფი“.

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, აფხაზეთის სამთავროს ძირითადი მხარე ჩანის თემი იგივე საშერვაშიძეა და მოიცავდა გუდაუთის რაიონის ტერიტორიას, ცენტრით – სოფ. ლინში. ამ უძველესი საგვარეულოს წარმომადგენლები ჯერ კიდევ XII ს-ის 80-იანი წლებიდან იწოდებოდნენ ცხუმის ერისთავებად.

ლიხთ-იმერეთის რუკაზე გამოსახულია მდინარე და დასახლებული პუნქტი ზუფუს სახელწოდებით (ბურჯანაძე I, 1959: 193). ზუფუს სახელს არაერთგზის ასახელებს ნიკო დადიანი. აფხაზეთის აღწერისას იგი შენიშნავს, რომ „აქურის მთავრის სასახლე არს ზუფუს“ (დადიანი 1962: 152). მემბრანე სხვაგან აღნიშნავს, რომ „დადიანის საზღვარს იქით“ ზუფუს მფლობელი იყო ზურაბ შარვაშიძე (იქვე: 180, 183).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნიკო დადიანის თხზულების პირველ ნაწილში შემოკლებულადაა გადმოცემული ვახუშტის „აღწერა“, საკუთრივ აფხაზეთის მდინარეთა (მათ შორის ზუფუს) ვახუშტის მიერ წარმოდგენილი ფორმით მოხსენიება, ბუნებრივია, და ამასი ვასაკვირიც არაფერია (ბერაძე 1998: 105). მაგრამ საქმე ისაა, რომ ნიკო დადიანის დროსაც ეს პუნქტი ზუფუს სახელით იყო ცნობილი. ამას მოწმობს „ქართველთა ცხოვრების“ მესამე, ორიგინალური ნაწილი. ავტორი 1821 წელს აფხაზეთის მთავარ საფარ-ბეგ შარვაშიძის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობასთან დაკავშირებით გვაუწყებს, რომ თუბუნისა (ცხომის) და მის შემოგარენში მდებარე სოფლების, აგრეთვე შარვაშიძეთა სასახლის აოხრების შემდეგ ბრძოლით დამაშვრალი ლაშქარი აყუს ციხეში დაბანაკებულა. რამდენიმე დღეში, აღნიშნავს მემბრანე, „ჩვენ წარვედით ზუფუს. და რა მივედით სასახლესა შინა შარვაშიძეთა, დავებანაკეთ. და მივიდენ ყოველინი ზუფუენი“ (იქვე: 210). მაშასადამე, თხზულების ავტორი თვითონ იყო ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე და მეთაური და ბუნებრივია, მისი ცნობები ზუფუს შესახებ სანდოობას იმსახურებს.

მუწისწყალი ანუ დღევანდელი მჭიშთა (ავსუხირბული ფორმა) მდინარეა გუდაუთის მუნიციპალიტეტში. მუწისწყლისა და მჭიშთის იგივეობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს თუ მართებულად მივიჩნევთ, მაშინ სახელწოდების კარსტულ მდინარედ გააზრება მისაღები უნდა იყოს (ოქუჯავა 1998: 10, 114; ბახია-ოქრუაშვილი 2010).

მუწისწყლის სახელწოდებით მდინარე აფხაზეთში მართლაც რომ არსებობდა, ადასტურებს ილორის ხატის წარწერის ტექსტი, რაც 1651 წლით თარიღდება: „მას ეამსა ოდეს მიუხედიო შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ ავოხრეთ...“ (გრიგოლია XIII, 1942: 157). ეს წარწერა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ვახუშტის თხზულებამდე თითქმის საუკუნით ადრეა შესრულებული და მასში მემბრანის მიერ მოხსენიებული სამი ტოპონიმი დასახელებული. ესაა დასახლებული პუნქტი ზუფუ (შარვაშიძის რეზიდენცია) და მდინარეები – მუწუს წყალი და კაპეტის წყალი.

**ილორ კამელია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



მაშ ასე... უკან დარჩა 91 წელი, შევედგეთ 92-ე წლის უმწიფეს აღმართს. განვლილი 9-ათეული წლის მანძილზე ბევრი კარგი ვნახე, უფრო მეტი - ცუდი. მახსოვს ბავშვობა, ხრეშმოყრილ გზებზე ფეხ-შიშველი სირბილი, რიკაფაფლას თამაში, საქონლის (ძროხა, ხარი) ნახამთრალი თმისგან ბურთის ფორამიციკმული, სიმძიმის მისაცემად შუაში ქვანადებული, ბურთით თამაში, ყავრისაგან გამოთლილი ხმლით და თოფით ომობანას იმიტაცია, ასევე კარგად მახსოვს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, კოლექტივიზაციის პერიოდი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო არტელი უსწრებდა, თვალწინ მიდგას არტელის წვერთა მიერ მოწვეული სიმინდის, ღობიოსა და სოიოს ზვინები და სხვადასხვა ტევადობის კალათებით მათი განაწილება, კარგად მახსოვს სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად მღვდლებს, შავსიელთა შვილები როგორ ხლებოდნენ ტრაქტორისტებად. ჩემმა მეზობელმა, მღვდლის შვილმა, ბიჭიკო ოდიშარიამ პირველი ტრაქტორი შემოიყვანა ბანძაში, შემდეგში ტრაქტორისტთა ბრიგადის ხელმძღვანელი გახდა, შავსიელ თემურაზ ბალიშვილის ქალიშვილი ტრაქტორით ხნავდა ბანძის მინდორს (მათ შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღეს); მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა 1936 წლის დეკემბრის სუხსიან დღეს ქუჩაში გაგვიყვანეს უმაღლესი და ეროვნებათა საბჭოების დეპუტატობის კანდიდატობთან (უმაღლეს საბჭოში - ფილიპე მახარაძე, ეროვნებათა საბჭოში - აკაკი ხორავა) შესახვედრათ. ბანძის საზოგადოებრივი აკაკი ხორავას რწმუნებულები იყო ჭიჭიკო პატარაია (კოლმეურნეობის თავმჯდომარე). ის ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული. მან მეგრულ ენაზე მიმართა აკაკი ხორავას, დაახასიათა ის, როგორც დიდი ხელოვანი, მთელ საბჭოეთში განთქმული მსახიობი. აკაკი ხორავამ ასევე მეგრულად წარმოთქვა თავისი საზოგადოებრივი სიტყვა, რომელიც, ჩემი აზრით, ოტელის (შექსპირის „ოტელო“) მონოლოგის დარი იყო; კარგად მახსოვს კოლექტივიზაციის პერიოდში გამოძახალი იუმორისტული გახეთი „მოლტ“ („ნიანგის“ წინამორბედი), სადაც იბეჭდებოდა, კარიკატურებთან ერთად, იუმორისტული ნოველები, პამფლეტები, გამოცანები, ნაკვესები და ა.შ. ამგვარად, მოსაგონარი ბევრი რამეა, მაგრამ...

დავიბადე 1923 წლის 29 ივლისს სოფელ ბანძაში, ლევაბუნეში, გაბუნების საცხოვრისში. ფაღავებისა და გაბუნების ყოფილა ბანძის დღევანდელი ცენტრი. სწორედ მათ მიუყვდიათ მიწები ებრაელთათვის და შემდეგში სავაჭროდ თუ სახელოსნოების გასახსნელად ჩამოსულთათვის, მათ შორის მამანქმისათვისაც (ბარდლა გაბუნისა მიუყვდიო მიწა).

ერთხელ დეიდა მომიყვა: ბანძის დღევანდელი ცენტრი მუხის ხით ყოფილა დაფარული. ქვემო-იმერელ თავადს, მიქელაძეს, ქალიშვილი მიუთხოვებია ფაღავესათვის და მზითვეში გამოუყოლებია ორი კულაშელი ებრაელი. ამით ყათლად აღვიღას დაუდგამთ პატარა ჯიხური (ხულა ქოხი) და დაუწყიათ ვაჭრობა. მათ სხვა კულაშელი ებრაელებიც მიმატებია. მეგრელები ერთმანეთს როცა ეკითხებოდნენ, სად მიდიოდნენ, პასუხი იყო: - ური-

აკარიშა, ე.ი. ურიას (ებრაელის) კარხეო. ასე წარმოშობილა, დეიდაჩემის ინფორმაციით, მიკროტოპონიმი ურიაკარი (ამჟამად ბანძაში არც ერთი ებრაელი არ ცხოვრობს) და შესაბამისად დაავიწყდათ მიკროტოპონიმიც.

დედა ბანძელი პატარაიას ქალი იყო, მამა - აბედათელი, პროფესიით სწავლული დურგალი. სამი წელიწადი მოსწავლედ ყოფილა ხონელ ხელოსანთან და იქ უსწავლია დურგლობა. შემდეგ უმუშავია აბაშაში.

მცირე გადახვევა: მამანქმი მსახურობდა ცარიზმის არმიაში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში. მონაწილეობა მიუღია რუსების მიერ არდაგანის, ყარსის, არტანუჯის, ერზურუმის აღებაში. მოხდა რეგულუკი, ლენინმა გამოაცხადა „სახლებში“ (по домам) და ჩვენც ერთმანეთს ვასწრებდით, არც ერთს არ გვინდოდა სიკვდილი. ვინმე კაჭარავასთან საბოლოოდ ბანძაში გახსნა სადურგლო და აქ დაუწყია ხელოსნობა. აქვე შეურთავს ქალი, უყვდიო მიწა ლევაბუნეში და სამუდამოდ დასახლებულა. აქვე დაიბადე მეც.

გასაბჭოების შემდეგ ძველი ადმინისტრაციული (სამაზრო) სისტემა შეცვალა ახალმა (სარაიონომ). პრინციპი: სამი საზოგადოების (იშვითად ოთხისაც) გაერთიანებით იქმნებოდა რაიონი. ასე, მაგ., ბანძის, მარტვილისა და დიდიჭყონის საზოგადოებების (ობშინა) გაერთიანებით შეიქმნა მარტვილის რაიონი (ცენტრით მარტვილი). გათვალისწინებული იყო სხვაიც, კერძოდ, საზოგადოებების შესაბამისად იხსნებოდა საშუალო სკოლები, საავადმყოფოები, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები, კულტურის სახლები და ა.შ. არც თუ ისე დიდი ხნის წინ დეპუტებს ღებულობდნენ, ჟურნალ-გაზეთები მოქონდნათ, მაგ., ბანძაში, აქ ნაწილდებოდა თემების (ჯოლღვი, აბედათი, ნაჯახავა, ნაგებერაო, ორილია, ვედიკარი, მუხურჩა, ორქა, მახათი...) მიხედვით, იქიდან მოდიოდნენ (ზოგი - ფეხით, ზოგი - ცხენით, ზოგიც - ველოსიპედით) ფოსტალიონები და მათ მოქონდნათ დეპუტა, ჟურნალ-გაზეთი თუ ამანათი ადრესატამდე. ეს ისტორიაა, მაგრამ საინტერესო.

ბანძაში ზაფხულობით თავს იყრიდნენ იმ დროისათვის გამოჩენილი ადამიანები. ამთგან ზოგიერთი ამ საზოგადოების წვერი იყო, ზოგიერთი - სიძე, ზოგიც - რძალი. ბანძელთათვის ფრიად საამაყო იყო თედო სახოკიას სტუმრობა დეკანოზის (ანტონ კეკელიას) უმცროსი ვაჟიშვილის, პროფესიით ექიმის, გრიგოლ (გრიშა) კეკელიას ოჯახში. აქ ხშირი სტუმრები იყვნენ: პროფესორები - ეფრემ ზაქარაია, სერგი დანელია, ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი, მათემატიკის განთქმული მასწავლებელი მიხა კეკელია, ექიმი პარმენ პატარაია და სხვ. სახლის წინ, შუა ეზოში, დიდი ძელქვის ჩრდილქვეშ მათი სიმღერა ალბათ მაფაქლიასაც (ბულბული მეგრულად) მოაჯადოებდა. ისინი სიმღერას რომ დაიწყებდნენ, ბურთის თამაშს ვწყვეტდით და მათ ვუსმენდით.

ყოველი ბანძელისათვის საამაყოა, რომ უილიამ შექსპირი პირველად სწორედ ბანძაში დადგეს, ეს იყო „ვენციელი ვაჭარი“. ბანძელი თავადის დიმიტრი ფაღავესაგან გამოიგონია, რომ მთავარ როლს ასრულებდნათ ტომით ებრაელი, ბანძელი ელიაშვილი. საამაყო ისიც, რომ სოფელ ცაიშში იონა მეუნარგიასთან სტუმრად მიმავალი ილია ჭავჭავაძე გზად ბანძაში გაჩერდა. გზაში მას შეხვდა ოცდაათამდე ცხენოსანი ემაწვილი და ილიას პეტერბურგელ თანაკურსელ მექი ფაღავეს სახლში მიიყვანეს. ბანძელები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ სწორედ ბანძაში თქვაო ილიამ: „სამეგრელო ენაზე და საქართველო ვიხილო“. მექი ფაღავეს „დოხორე“, სადაც ილიამ ორი დამე გაათია, 30-იან წლებში დაწვეს. კიდევ ერთი სირცხვილი! დავეფასეთ კი დარია ფაღავეს მექი ფაღავეს მეუღლეს, რომელმაც, იმდროინდელი გახეთების ცნობით, 1878 წელს ბანძაში ბიბლიოთეკა დააარსა.

დღეს ბანძაში ბიბლიოთეკა არ არის. სამწუხარო!

1939 წელს ბანძის სკოლადამთავრებულებიდან შევდმა ფრიადოსნის ატესტატი

მიიღო, ამთგან ხუთი ებრაელი იყო, ხუთივე აჯიაშვილი. გასათვალისწინებელია, რომ ბანძის საშუალო სკოლაში ასწავლიდნენ რესპუბლიკის მასწავლებელი ცნობილი პედაგოგები, მათემატიკას ასწავლიდა მიხა კეკელია, ქართულ ენასა და ლიტერატურას - იოსებ ჯიქია, დაიღუპა მოსწავლეებთან ერთად დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის საკრეფად მიმავალი მანქანის კატასტროფის დროს, ისტორიასა და კონსტიტუციას - რაფელ ქუთელია, გეოგრაფიას - ნოე ცანავა, დაიღუპა სამამულო ომში, ბოტანიკასა და ბიოლოგიას - ტონია ოდიშარია და სხვ.

მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. პირველ სემესტრში ჩვენი ღვაკნი იყო პროფ. დიმიტრი უხანაძე, რომელიც იმავე დროს გვიკითხავდა ფსიქოლოგიის კურსს. თებერვალში, როცა არდადეგებიდან დაგბრუნდით, დეკანად დაგვხვდა პროფ. მიხეილ ზანდუკელი. ამბობდნენ, უადრესად განათლებული, XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტი, ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამტომეულის ავტორია.

1941 წლის 24 ივნისს აკად. კორნელი კეკელიძისათვის უნდა ჩამებარებინა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელსაც ორი წლის მანძილზე თავად გვიკითხავდა. ვმეცადინებო. შემოდის მამიდაჩემი და მეუბნება: გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, მოედანზე (მაშინ თათრის მოედანი ერქვა) იკრიბება ხალხი, 12 საათზე ვიდაც უნდა გამოვიდესო.

ნემსი არ ჩავარდებოდა მოედანზე, შეწყვეტილია ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა, დაძაბულობაა. უცერად რადიოს დიქტორი, სახელგანთქმული ლევიტანი სიტყვას აძღვეს ვმ. მოლოტოვის, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს. ის აკეთებს მოკლე მიმოხილვას და აცხადებს საერთო-სახალხო მობილიზაციას, რაც გულისხმობდა, 18 წელზე ზვეით, ვისაც ეკუთვნის, ყველა წითელი არმიის რიგებში. თავისი რამდენიმე წუთიანი გამოხვლა დაამთავრა სიტყვებით: სიმარტლე ჩვენს მხარესაა, ჩვენ გავიმარჯვებთ!

1941 წლის 29 ივლისს შემისრულდა 18 წელი, 3 აგვისტოს უკვე სამხედრო შეიარაღებული ძალების რიგებში ვარ. მალე ქუთაისიდან გადამიყვანეს ალიატ-პრისტანში, ბაქოდან, დაახლოებით, 80 კილომეტრის დაშორებით. მობილიზირებული სტრუქტურები ჩავვირცხეს უმცროსი მეთაურთა (სერჟანთა) კურსებზე. აქ ომის უმძიმეს პერიოდში მოგვიხდა სამსახური. ყოველ დღით სასაუზმოდ მიყვანილი კურსანტები ვისმენდით ლევიტანის უკანასკნელ ცნობებს: ჩვენმა სახელოვანმა ჯარებმა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლების შემდეგ დატოვეს ქაღალქები და მსხვილი დასახლებული ადგილები. ერთხელ, მორტი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ერთ-ერთმა კურსანტმა, გვარად ბობოხიძემ, იხუმრა: დღესვე წერილს გავავზავნი ოჯახში (ცოლ-შვილიანი იყო). ხონის ბაზარში იყიდონ გოჭები, შვიდ ნოემბრამდე, ვაჭრობ, ეს ომი დამთავრდება და ყველას გვაბრტყვით ჩემთან ოჯახში.

7-10 დღის ჩაყვანილები ვიყავით, მამანქმა რომ ჩამომაკითხა. სამი დღე დარჩა. თვითონ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო, იბრძოდა რუსეთ-თურქეთის ფრონტზე. მონაწილე კქონდა, როგორ აიღეს ართვინი, ყარსი, არტანუჯი, სარაკამში, ერზურუმი. მოხდაო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუკი, ლენინმა გამოაცხადა: ყველანი სახლებში! ჩვენც ერთმანეთს ვასწრებდით, ისე გამოვიქვეციო სახლშიო. რუსის ჯარის მიერ აღებული ტერიტორია ისევე თურქებს დარჩათო.

მამანქმი მეორედ ალიატ-პრისტანში დეკემბრის ბოლოს ჩამოვიდა. ამას დამთხვა თბილისიდან სამხედრო პირის (ჩინით კაპიტნის) ჩამოსვლა. მან გასაუბრების გზით შეარჩია რამდენიმე ათეული კურსანტი და თბილისში ჩამოგვიყვანა ახალ-გახსნილ სალენენანტო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. 1941 წლის

დეკემბრის ბოლო რიცხვებიდან 1942 წლის 9 მისამდე ვცხოვრობდი და სამხედრო საქმეს ვუფლებოდი ა.ს. პუშკინის სახელობის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის შენობაში (სამსართულიანი იყო). ილიას უნივერსიტეტის დღევანდელი A კორპუსი შემდეგ აშენდა.

1942 წლის 10 ივნისს გაგარაში მომენიჭა ლეიტენანტის სამხედრო წოდება და გამგზავნეს ვორონეჟის ფრონტზე. 1942 წელი იყო უმძიმესი პერიოდი, ჩემი აზრით, სამამულო ომის მთელ მანძილზე, იმდენად მძიმე, რომ 1942 წლის 11 სექტემბერს „დახვერვით ბრძოლაში“ მონაწილე 579 ჯარისკაციდან 227-ს კქონდა შაშხანა და თითო შაშხანაზე თვლით გაცემულ იქნა 5-5 ვაზნა. ბატალიონის შეიარაღებაში იყო დაზვის ერთი და ხელის სამი ტყვიამფრტქვევი, სამი - ტანკსაწინააღმდეგო თოფი. საღამოსათვის გადარჩა 13 კაცი: ბატალიონის მეთაური, მესამე ასეულის ხელმძღვანელი, მე და 10-მდე ჯარისკაცი.

იმ დღეს გრილოდა, მეცვა მაზარა. საღამო ხანს რომ დახვედვ ჩემს მაზარას, მის კალთებზე სამი ნახვრები დავინახე. საბედნიეროდ, ფეხზე არ მომხვდა. მაშინ ვიფიქრე: ალბათ სიკვდილი არ მიწერია!

ჩვენმა დივიზიამ დიდი ბრძოლები გაუმართა შეტევაზე გადმოსულ გერმანულ დივიზიას „მკედარი თავი SS“ და რუმინულ ბრიგადას ვორონეჟის ოლქის პატარა ქალაქ კორტოიკისათვის. დივიზიამ, რომელსაც მეთაურობდა წარმოშობით თბილისელი სომეხი, შემდეგში მახანკალაში გადასახლებულ პოლკოვნიკი (შემდეგში გენერალ-მაიორი) კარაპეტიანი, წარმატებით მოიგერია ყველა შემოტევა, 2/3-ზე მეტი გაანადგურა გერმანელებისა და რუმინელების ცოცხალი ძალა, მუსრი გაავლო მათ ტექნიკას. ამისათვის დივიზიას მიენიჭა 46-ე გვარდიული დივიზიის სახელი, დივიზიის ყველა მებრძოლს გვარდიელის საპატიო წოდება... უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, მცირე შესვენებისა და შევსების მიღების შემდეგ გადაგვისროლეს კალინინის ფრონტზე, რომლის სარდალი იყო არმიის გენერალი ერომენკო. გზად, 4 და 5 ნოემბერი გავატარე ვაგონებში მოსკოვის გარეუბანში. აქ ენახე, დილით როგორ ეშვებოდნენ მავრთულხლართიანი დირიჟაბლები.

1942 წლის დეკემბრიდან ვიბრძოდი კალინინისა და მეორე ბალტიისპირეთის ფრონტებზე.

ომი დამთავრდა. სექტემბრის დასაწყისში ვეწვიე მშობლიურ უნივერსიტეტს. განცხადებით მიმართე დეკანატს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამე კურსზე აღდგენის თაობაზე. მეუბნებია, აღვადგენთ მეორე კურსზე განსხვავებულ საგანთა დიდი რაოდენობით დაგროვების გამო. რა გამოდის, ოთხი წელიწადი ისედაც გამოცდა, ამას უნდა დამატოს კიდევ ერთი!

დეკანამ, აკად. ალექსანდრე ბარამიძემ თბილად მიმიღო. მითხრა, მოგცემ ვადას, ერთ თვეს, თუ ამ დროში ხუთსავე საგანს ჩააბარებ, აღვადგენთ მესამე კურსზეო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა

8 თებერვალი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა



დავით IV აღმაშენებელი (დ. 1073, ქუთაისი — გ. 24 იანვარი, 1125) — საქართველოს მეფე 1089-1125, გიორგი II-ის ძე, ბაგრატიონთა დინასტიიდან. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მონარქი, მოახერხა თურქ-სელჩუკთა ქვეყნიდან განდევნა 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვებით. მის მიერ არმიასი და მმართველობის სისტემაში გატარებული რეფორმებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანა გაეერთინებინა და მთელი კავკასიის მიწები საქართველოს დაქვემდებარებაში შემოეყვანა. ქრისტიანული კულტურის წამყვანი ცენტრი და თავად თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი.

ჯერ მხოლოდ 16 წლისა იყო, მაგრამ მისმა გამაზრდებელმა და აღმზრდელმა სულთმამამა, გიორგი ჭყონდიდელმა, კარგად იცოდა, რა ტვირთის ზიდვას შეძლებდა ჰაბუკუის სული და გონება. ამიტომაც ურჩია მის მშობელ მამას, გიორგი მეორეს, თავის სიცოცხლეშივე ეთქვა უარი სამეფო ტახტზე და გვირგვინი საკუთარი ძისათვის გადაეცა.

მას წილად დამცირებული და შეურაცხყოფილი საქართველო ერგო, რომლის მიწა-წყალსაც გალაღებული თელავმა ქვეყნა ჯურის მომხვედრი. ყველაზე ცუდი ის შიში იყო, რომელიც ხალხის სულსა და თვლებში ჩაბუდებულიყო — საკუთარ ფუძეზე უარი ეთქვათ და ტყვედრებში გახიზნულიყვნენ, რათა თურქ-სელჩუკთაგან დაეცვათ თავი.

დავით IV-მ თავიდანვე დაიწყო ყმა-მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან მხედართა რაზმების შექმნა. ერთგული რაზმებით მეფე თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს, ავიწროვებდა მათ, სდევნიდა და მათში გახიზნულ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დავით IV

ებრძოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვარიან ფეოდალებს. 1093 წელს მან შეიპყრო გამგარი ლიპარიტ ბაღვაში, მონანიების შემდეგ გაათავისუფლა და ძველი ღირსებებიც დაუტოვა, მაგრამ როცა დარწმუნდა მის ხელახალ დალატში, 1094 წელს კვლავ შეიპყრო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ საქართველოდან გააძევა. 1103 წელს, ლიპარიტის ძის რატის გარდაცვალების შემდეგ, დავით IV-მ გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ბაღვაშია მამულები სამეფო დომენად გახადა, შემდგომში ნაწილი (არგვეთი) გელათის მონასტერს გადასცა. იმავე წელს დაამარცხა სამეფო კარის მოწინააღმდეგე ფეოდალები — ძაგან და მოდისტის აბულეთისძეები.

გაუთავებელი ბრძოლებისაგან კი, საქართველოში ფუძე ნაფუძრად ქვეყლიყო, სახლი — ნასახლარად, სოფელი — ნასოფლარად... ფიზიკურ განსაცდელსა და გაჭირვებას სულიერი სიღუბეც მოჰყოლოდა: უზნობა, უფიცობა და უსულგულობა გამეფებულიყო ირგვლივ.

ის კი ჯერ მხოლოდ 16 წლისა იყო, როცა ასეთი საქართველოს მეფედ აკურთხეს.

რამდენიმე წელიწადში თანამედროვენი “გმირ მეფეს” უწოდებენ, ხოლო შთამომავალნი — “აღმაშენებლის” სახელსდებენ.

მაგრამ იქამდე უამრავი სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ბრძოლა მოსაგები. ის ჯერ 16 წლის იყო. და, საქართველოს მეფედ წოდებულს, მომხვედურთა გაპო, ქუთაისსა და გვერდის გაცეცხლება არ შეეძლო.

მაგრამ ეს მხოლოდ დროებით — დავითი არ გახლდათ გიორგი მეორე, რომ მასავით შეგუებოდა და აეტანა. ითმენდა, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ მოიწვიდა უამ.

დავითი საერო დიდგვარიანებთან ერთად მეფე ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე საეკლესიო ფეოდალებსაც ებრძოდა. 1103 წელს მეფის თაოსნობით მიიწვიეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც სამეფო ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებები გაატარა (უღირსი თანამდებობის პირების გადაყენება და მათ ნაკვალავ მეფის ერთგულთა არჩევა, სასულიერო თანამდებობის პირთა ხელდასხმის წესის დამტკიცება, გვირგვინის კურთხევის წესის დაკანონება და სხვ.). ეს ღონისძიებანი ჩამოყალიბებულია კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში „ძველმწერად რუის-ურბნისის კრებისა“. სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდელისა და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობების გაერთიანებას მწიგნობართ-უხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შექმნას (სავარაუდებელია 1103-04). ამ თანამდებობის პირი ერთსა და იმავე დროს მაღალი სამოქალაქო და საეკლესიო მმართველი იყო.

ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ მძიმე ტვირთის აწევა და ზიდვა ადამიანისათვის შეუძლებელი იყო. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ რაც შეუძლებელია კაცისათვის, შესაძლებელია ღვთისათვის. მთელი გულით ენდობოდა უფალს და მასაც არასოდეს

მიუტოვებდა თავისი რჩეული. ღვთის ნების აღმასრულებელი მადლისა და წყალობის წყაროდ იქცა ქვეყნმშენებლისათვის: სწეულებისათვის საავადმყოფოები ააშენა და თავად ამოწმებდა ხოლმე, როგორ უწვდებოდნენ და რას ატყვევებდნენ მათ. ეკლესია-მონასტრები ალაღინა და ააგო. მტერი განდევნა ქართული მიწა-წყლიდან და აღორძინა დაცარიელებული სოფელ-ქალაქები; საკადრისი მიუხედავად ღვთისა და ერის ორგულთ.

თავადაც სწორედ ცხოვრობდა და ერისგანაც და ბერისგანაც იმავეს მოითხოვდა. სიბრძნით განაგებდა ქვეყანას და მისი მოღვაწეობის გადმოსაცემად სამი რამის დასახელებაც კმარა: რუის-ურბნისი, გელათი და დიდგორი.

არა მარტო აწმყოს ქმნიდა საკუთარი ქვეყნისას, არამედ მომავალსაც — დააარსა აკადემიები, რათა ნიჭიერ ახალგაზრდებს საქართველოშივე შესძლებოდათ უმაღლესი განათლების მიღება. სწორედ მის დაარსებულ იყადნა აკადემიაში ისწავლა შოთა რუსთაველმა და თამარის დროინდელი საქართველოც სწორედ დავითის დამსახურებაა.

განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს დავითის მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმები: მან მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა სამონეტო საქმის მოსწესრიგებლად. მოჭრა მონეტები როგორც ქართული, ისე არაბული ზედწერილით და რამდენიმე შეცვალა მონეტის ტიპი. რეფორმის შედეგად განმტკიცდა ფულის კურსი. მის დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა განსაკუთრებულ სასამართლო დაწესებულებას — საჯარო კარს.

სამხედრო ფეოდალური ლაშქრის პრინციპზე აგებული ჯარი შინაგან ერთობას მოკლებული იყო. მტრის საბოლოო დაძვევისათვის საჭირო იყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა გარდაქმნა. დავით IV-მ ჩაატარა სამხედრო რეფორმები: ჯარი საგანგებოდ გაწვრთნა და იქ მტკიცე დისციპლინა დაამყარა, გარდაქმნა ბრძოლის ტაქტიკა. ამასთან, 1118-20 წლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიყვანა და საქართველოში (ვარაუდით ქართლში) დაასახლა ყივანდთა 40 ათასი ოჯახი. მათგან მეფემ შექმნა მუდმივი ჯარი — ორმოციათასიანი ლაშქარი, ერთგულ მოლაშქრეთაგან კი შეადგინა ხუთათასიანი პირადი გვარდია — „ქონა-სა“.

საქართველოს გაერთიანება კი მთავარი სამხედრო კამპანიით დაიწყო: 1099 დავით IV-მ თურქ-სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ დროიდან დაიწყო საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. თურქ-სელჩუკთა ალაგმვის შემდეგ დავით IV შეუდგა ქართული მიწა-წყლის სრული გაერთიანებისათვის ბრძოლას. 1103 აიღო ზედაზენი. 1104 საქართველოს გაერთიანების მომხრე ჰერეთ-კახეთის დიდებულებს (ქვეთარისა და მისი დისწულულები — არიშანისა და ბარამის) დახმარებით შემოიერთა ჰერეთი და კახეთი.

მოხარკე ქვეყნების დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო თურქ-სელჩუკთათვის და სულთნის დიდმოხელემ, განძის ათაბაგმა ლაშქრობა მოაწყო საქართველოს მეფის ჰერეთ-კახეთიდან განსადევნად. 1104 წელს, ერწუხთან ბრძოლაში საქართველოს მხედრობამ გაიმარჯვა. განსაკუთრებული ვაჟაკობა გამოუჩენია ომში დავით IV-ს.

1110 წელს ქართველთა ლაშქარმა სამშვიდდო აიღო, 1115 — რუსთავი, 1116 წელს დავითმა ტაოში დაზამთრებულ თურქებს შეუტია და განდევნა საქართველოს საზღვრებიდან, 1117 — გიში, 1118 — ლორე. 1120 წლის 14 თებერვალს დავითმა ილაშქრა შირვანში და აიღო ქალაქი ყაბალა, 1121 წლის აგვისტოში დავით IV-ის მეთაურობით ქართველებმა ძღვევისიხილი ომი გადაიხადეს მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ. ბრძოლა დიდგორთან მოხდა. ქართველებმა გაიმარჯვეს დავითის მოხერხებული ტაქტიკის წყალობით. დავითს ამ ომში მოუწია თავისი 55-ათასიანი ლაშქრით შემოღო თურქ-სელჩუკთა 300 ათასიანი არმიას. მეფემ იმისათვის, რათა არ გაქცეულიყვნენ ბრძოლის ველიდან მეომრები, უკან წასასვლელი გზა ჩახერგა. გადამწყვეტი ბრძოლის წინ მან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ეკე, მეომარო ქრისტიანო. თუ ქვეყნისა და ღვთის რჯულის დასაცავად ვიბრძოლებთ არათუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა ლაშქარს, არამედ თვით ეშმაკებსაც დაგამარცხებთ. მაშ, ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტესათვის და ფიცი დავდით, რომ აქ, ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით ვიდრე შერცხვნილნი გავიქცევით. ახლა კი ამ ხეობის შესავალი, რომლითაც აქ შემოესუსვართ, ხეობა სმირი ხორებით შეგკრათ, ვინძლო ვისმეს გულში ჩარჩენილი გაქცევის სურვილი ამით ამოიქოლოს. მაშ გაეშადათ ძმანო და შეიღწო, ქრისტესათვის და სამშობლოსათვის.“

ისტორიკოსებმა ამ შეტოქებას მუსლიმ ურიცხვ არმიასა და ქართველთა მცირერიცხოვან ლაშქარს შორის „ბრძოლია საკვირველი“ შეარქვეს.

უფლის, ჭეშმარიტების, სამშობლოს სიყვარული განაპირობებდა და განსაზღვრავდა მის პიროვნებას. არასოდეს რცხვენოდა თავისი ღმერთის, არასოდეს უარყოფდა მას. არც იმის აღიარებდა რცხვენოდა, რომ თავად, სხვებიც უბრალო მოკვდავს, ყველაფერი მხოლოდ უფალმა შეაძლებინა.

მან ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმა საქართველო. და ეს სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვით მოახერხა, რადგან ბრძენი იყო და კეთილისა და ბოროტის გარჩევის ნიჭი მაშინდელ უფალმა.

ის იყო შემოქმედი ახალი და ძლიერი საქართველოსი.

აღესრულა 8 თებერვალს და სწორედ ამიტომ დააწესა ქართულმა ეკლესიამ 8 თებერვალს მისი ხსენება.

წმინდა დავით აღმაშენებლის ღოცვამ აღორძინოს საქართველო!

## უზიცი მიწისებობი ვეღარ დაბრუნდებიან...

სამეგრელოდან მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ უკვე აფუთფუთდნენ ნაციონალური მოძრაობის მიერ კაპიკებზე სულგაყიდული მსტორები, რომლებიც გველებით დაძვრებიან ხალხში და სისინებენ იმის თაობაზე, რომ “ოცნების” ხელისუფლებას სასიკეთო არაფერი მოუტანია ხალხისათვის და საჭიროა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კვლავ სააკაშვილსა და ნაციონალებს ემსცხეთ ხმაო. პროპაგანდას ვერაინ აკრძალავს, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ სამეგრელოს ზოგიერთ მკვიდრს, რომელიც ჯერ კიდევ ამჟღავნებს გარკვეულ სიმპათიებს მკვლელი ნაცებისა და მათი დაშნაი ბელადის სააკაშვილისადმი, მძლე დაეიწვინა, თუ რა სახიზნობებს სწადიოდნენ ქვეყანაში ეს არაადამიანები, როგორ ანადგურებდნენ ეროვნულ ფასეულობებს, მეცნიერებას, კულტურას, რელიგიას, ქართულ მენტალიტეტს...

ოცნების ხელისუფლებას სულ არაფერი რომ არ გაეკეთებინა, მარტო იმისათვის ეკუთვნის მაღლობა, რომ ქვეყნიდან განდევნა უმძინდური დაშნაკობი ძალა, ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვა, უფასოდ ურიგებს ხალხს სასკოლო სახელმძღვანელოებს და, რაც მთავარია, ქუჩებში აღარ ხოცავენ ახალგაზრდებს!

ამის დაუნახაობა მხოლოდ ანგაირებულ არაკაცს, ან კლინიკურ რევენს თუ შეუძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, სამეგრელო დღესაც არ განიცდის ამგვარი დეგენერირებულების მწვავე დეფიციტს...

ახლა, რაც შეეხება ზემოდაღნიშნულ სატელეფონო ზარს — ამა წლის 18 თებერვალს დამირეკა ვიღაც მოქალაქე, გამეცნო როგორც ხობელი ღომაია და მითხრა, რომ მე ვაზეთ “ილორი“-ს აქტიური მკითხველი ვარო. არ გამკვირვებია, რადგან ხშირად გვეხმაურებიან მკითხველები და საკუთარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ ამა თუ იმ წერილის თაობაზე. მაგრამ აღნიშნულმა ღომაიამ მკაცრად დამამუნათა ჩემი წერილის “შუბი ხალთაში არ დაიმძლავრა“-ს თაობაზე, სადაც კიდევ ერთხელ ვაგვიფორე ის ვერაგობები, რაც ჩაიღინა საქართველოს წინააღმდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ და რისი ჩადენაც ვერ მოახწრო.

— როგორ შეიძლება, რომ კანდელას, რამიშვილს, დარჩიაშვილს და თაქთაქიშვილს დაშნაკებად მოიხსენიებ, გეტყობა შენ ჯალაღანია კი არა, ჯალაღანიანცი ხარო! — მრისხანედ მომასხალა ღომაიამ.

ვერაგობი ვაგვიფე ამ კაცის ღოგიკას, რადგან თუ მე არაქართველი ჯალაღანიანცი ვარ, მაშინ დაშნაკებს კი არ უნდა ვებრძოდე, არამედ მათ პოზიციებს უნდა ვიცავდე.

ხოლო, რაც შეეხება დარჩიაშვილს (დარჩიევს), ღვეან რამიშვილს (ასრატინანს) და სხვა ნაცდაშნაკებს, ბევრი მათგანი ნამდვილად ეთნიკურად არაა ქართველი, მრავალი მათგანი კი მენტალურად, სხვაგვარად, ისინი არ ამოგვიშლიდნენ პირადობის მოწმობებიდან ეროვნებისა და მამის სახელის გრაფას, არ გადაიტანდნენ პარლამენტს (დღეაქალაქის გადატანა ვეღარ მოაწრეს) ქუთაისში საქართველოს შუაში გასაგლეჯად, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არ გაუთანასწორებდნენ რელიგიურ სექტებს... ყველა მათი ვერაგული ქმედებისა და ჩანაფიქრის ჩამოთვლა ძალზე შორს წავაგიყვანს.

მაგრამ, გაივებ ვითომ ღომაია და ღომაიანთარები ყოველივე ამას და გააკეთებენ სათანადო დასკვნებს?

არა მგონია, რადგან სწორ პოზიციას სჭირდება აზროვნების უნარი და წესიერება, მაგრამ როცა ადამიანს არც ერთი გაანია და არც მეორე, იგი დაუნანებლად დგება ნაცდაშნაკებისა და სხვა ჩვენს დაუძინებელი მტრების სამსახურში! აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ნაცების დიდ გულშემატკივარ ღომაიას ნაცებივით ბუნდოვანი წარმოდგენა გაანია ელემენტარულ ტაქტზე, რადგან არ იცის, რომ უცნობ პიროვნებას “შენობით” არ უნდა

ელაპარაკო. მაგრამ, ვაი, რომ ნაცდაშნაკებს და მათ გულშემატკივრებს მხოლოდ ეს ხინჯი არ გაანიათ!

ასე რომ, აღნიშნული ღომაია თამამად შემოძლია მივაკუთვნით იმ ნაცპროპაგანდისტთა რიცხვს, რომლებიც დღეში სამ ღარს იღებდნენ ნაცებისაგან (ჩვენგან ნაძარცვი ფინანსებით) და ლაშქრზე დუქ მომდგარები ადიდებდნენ მათ “დამსახურებებს”. მაგრამ ხობელმა ღომაიამ ისიც უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდებიან უმეცარი მინისტრები, თუნდაც ისეთები, როგორც მისი მოგვარე, სანტე-ქნიკისი განათლების მინისტრი იყო, რომელმაც დაფაზე ვერ დაწერა სიტყვა “ბავშვი”.

რამდენადაც ვიცით, “ოცნებას” ნაციონალთა ოდენი ფინანსები არ გაანია და, დიდდიდი, რაც შეუძლიათ, არის ის, რომ მხოლოდ თითო ღარი გაიმეტონ ნაციონალებს გადამკედარი ღომაიასა და მისი მსგავსებისათვის!

მართალია, სამი ღარი ერთ ღარს სჯობია, ბატონო ღომაია, მაგრამ სამიდან ერთიც რომ დაგრწყო, ლიბერალტი ნაცპროპაგანდისტებისათვის ესეც სახირო საქმე იქნება!

ყოველგვარი პატივისცემის გარეშე,  
როლანდ ჯალაღანი



# სახალხო მოძრაობა „სამებრო“-ს ზუბდიდის ოფისის ხელმძღვანელის ზურაბ კვარაცხელიას მიმართვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს! სრულიად საქართველოს მოსახლეობას!

მამულიშვილნო!  
 ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი ვიფიქრე – უნდა გამეკეთებინა ეს განცხადება თუ არა... გულწრფელად მინდა განვაცხადო: ვყოფიანობდი... ბევრი ვიფიქრე... ავწონ-დავწონე... გაავანალიზე... და, აი, რა მინდა განვაცხადო: საქართველოში მოქმედებს ე.წ. ლიბერტარიანული დაჯგუფება, რომელიც ცდილობს დაიკავოს რა მებრო-ოფისის დაცვის აუცილებლობის იდეოლოგიური ნიშა, სინამდვილეში ამ ნიშის საფარქვეშ დეფისმშობლის წილხვედრ იბერია-კოლხეთში ეწევა ყოველგვარი ეროვნულ-ტრადიციული და მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ფასეულობების ანტიპროპაგანდას!  
 მინდა საზოგადოებაში იცოდეს, რომ ე.წ. გლობალისტური ძალების მიზანი სრულყოფილი არ არის რომელიმე ერის თუ ეთნოსის იდენტობის დაცვა-შენარჩუნებაზე ზრუნვა და გარჯა! მათი მიზანია ყველას და ყველაფრის საყოველთაო ნიუვილიზაცია და სასაცილო ფიქრიც კი იმაზე, რომ თითქოს ეს ზემოთ ნახსენები გლობალისტური იდეოლოგიის ადვოკატების მიზანი შესაძლოა იყოს რომელიმე ერის თუ ეთნოსის

და მათ შორის მებრო-ოფის ან თუ გნებავთ ზოგადქართველური იდენტობის დაცვა-შენარჩუნება!  
 ამავ დროს აუცილებლად უნდა განვაცხადო შემდეგი: ზემოთხსენებულ ნიშას ამოფარებულთა ერთი ნაწილი ჩემი დაკვირვებით ასევე ამოფარებულია რა მებრო-ოფის-ლაზური ეთნიკური ერთიანობის მოცემულობას – სინამდვილეში რეგიონში სტრატეგიული პერსპექტივის თვალსაზრისით ცდილობს თურქულ-თურანული იმპერიალისტური ინტერესების განხორციელებას!  
 მამულიშვილნო!  
 მე, ზურაბ კვარაცხელია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი და არ დაგიმალავთ იმასაც, რომ მავანთათვის შესაძლოა ცნობილი ე.წ. მებრო-ოფის-ნიშით – მოგმართათ თქვენ ყველას, ვისაც გიყვართ სამშობლო, ვისთვისაც ძვირფასია კოლხა-იბერიის ერთიანობა, ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობები, მოგმართათ რადგან სრულიად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანეს და სასიცოცხლოდ აუცილებელ ამოცანად მიმანია

მომავალ დამოუკიდებელ და ერთიან სახელმწიფოში დაცულ იქნას მებრო-ოფისი და ზოგადქართველური იდენტობა! მიმანია, რომ ქართულმა სახელმწიფომ უნდა შექმნას მექანიზმები ამ იდენტობის დაცვის უზრუნველსაყოფად! მიმანია, რომ საზოგადოებრიობის მხრიდან ამისთვის მზაობა და ასევე, ხელისუფლების შემხვედრი ნაბიჯები იქნება სწორედ ის აუცილებელი გარანტია, რომელიც არა თუ უზრუნველყოფს ჩვენი იდენტობის გადარჩენას, არამედ, ამავ დროს ნებისმიერ კორდონებსმიღმა ავადდინტერესებულ ძალას ჩვენს სამშობლოში მოუსპობს საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაკმაყოფილებლის შესაძლებლობას!  
 მომავალ ერთიან, დამოუკიდებელ კოლხა-იბერიაში აუცილებლად უნდა იქნას დაცული მებრო-ოფის-ლაზური-ზოგადქართველური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და თვითმყოფადობა! ამის აღტერნატივა არ არსებობს! უფრო სწორედ, ამის აღტერნატივა სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფაა!  
 უფალი იყოს მფარველი ჩვენს მამულიშვილურ ზრახვებში!!!

ზურაბ კვარაცხელია

## მერაბ ბერკენიშვილი: ზუბდიდში აღმოჩენილი კაღრების ჩვენებით, უცხოელ ლობისტებს დავაჯერებთ, ვისთან გვქონდა და გვაქვს საქმი

2014 წლის 6 ნოემბერს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული ეროვნული შეკრება გაიმართა. მსახიობმა დიმა ჯაიანმა წაიკითხა ქართველი მოქანდაკის, ფერმწერისა და გრაფიკოსის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ბატონი მერაბ ბერკენიშვილის წერილი, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

„მიუხედავად ამო ვერ ვესწრები შეკრებას, ამიტომ თავს უფლება მივეცი, წერილი გამოგეზავნა და ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზე ჩემი აზრი და გულისწყრობა გამოვთქვა. ძნელია, უსმინო და უყურო, როგორ გვიგრძობენ ერის კულტურას, რწმენას, ტრადიციას, როგორც უცხონი, ისე შინაური. ძნელია, უსმინო ჭკუის დარიგებებს იმ უცხოელ „ჩინოვნიკთაგან“, რომლებიც გვიფერმკრთალებენ ქართულ ეროვნულ ღირებულებებს. ძნელი ასატანი და საყურებელია, ქართულ დელეგაციას უცხოეთში „შადახოთი“ ხვდებოდნენ. წინა ხელისუფლებისგან არაადამიანურად ნაწამები ხალხი, უსახლკაროდ დარჩენილნი, მოტყუებულნი, გვერთანები, სამართლიანობას ითხოვენ.

ითხოვენ ახალ კანონს, რომელიც მათ დაიცავს. საუბედუროდ, პარლამენტს ეს არ ესმის, რადგან ისინი მოწოდებული არიან, გადაარჩინონ „ნაციონალური“ პარტია, ეს მათ თავიდანვე განაცხადეს. პარლამენტის ასეთმა ქმედებამ გზა გაუხსნა „ნაციონალური მოძრაობას“ და, თუკი რაიმე სიკვდილიანობა უნდა მოხდეს, „ქართულ ოცნებას“. ვიღაც ქარაფშუტა პარლამენტარი ქილიკით საუბრობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, უწმინდესსა და უნეტარესზე – ილია მეორეზე. გავახსენოთ „ნაციონალებს“ მათი დანაშაულებრივი ნუსხა. საზოგადოებას აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ ზუბდიდში აღმოჩენილი ვიდეომასალა, როგორ არაადამიანურად უსწორდებიან საკუთარ თანამოქალაქებს. ამით უცხოელ ლობისტებსაც დავაჯერებთ, ვისთან გვქონდა და გვაქვს საქმი. საზოგადოებისთვის ამის დამალვა არის შეცდომა და დანაშაული!

დღევანდელი იყოს საქართველო!

მერაბ ბერკენიშვილი

## ხოჯალი – მმ-20 საუკუნის სისხლიანი ტრაგედია

ორ სახელმწიფოს შორის სახლგარი, 1988-1994 წლებში მიმდინარე მთიანი ყარაბაღის ომის შემდეგ მიღწეული შეთანხმების თანახმად, ჩაიკეტა. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის მაისში სომხეთი და აზერბაიჯანი გაყინული კონფლიქტის ფაზაში შევიდა, დაპირისპირება პოლიტიკურ დონეზე კვლავ მიმდინარეობდა. დღეს ამ ორ ქვეყანას შორის „არც მშვიდობა სუფევს, არც ომი.“  
 26 თებერვალი აზერბაიჯანელი ხალხისთვის ღირსსახსოვარი, ეროვნული გლოვის დღეა; დღე, როცა აზერბაიჯანელი მოსახლეობა კონფლიქტის პერიოდში დაღუპულებს იხსენებს.  
 ცნობისთვის, 80-იანი წლების ბოლოს, ყარაბაღში მცხოვრებმა სომხებმა აზერბაიჯანიდან გამოყოფის მოთხოვნით, აქტიური გამოსვლები დაიწყეს. ღია საომარი დაპირისპირება კი, 1988 წელს დაიწყო და 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების საფუძველზე დასრულდა. სომხებმა ყარაბაღსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარეს. ოფიციალურად, სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელი მოწერილი არ ყოფილა, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა მცდელობა ყარაბაღის სტატუსის მოგვარების შესახებ უშედეგო გამოდგა.  
 სომხეთმა აზერბაიჯანის ტერიტორიის თითქმის 20 პროცენტი დაიკავა, მათ შორის მთიანი ყარაბაღი და შვიდი სხვა რაიონი.  
 1992 წლის 26 თებერვალს ქალაქ ხოჯალის მშვიდობიანი მოსახლეობა სისხლიანი ტრაგედიის მსხვერპლად იქცა.  
 1991 წლის ოქტომბრის ბოლოდან მოყოლებული, ხოჯალი ბლოკადაში მოექცა და საავტომობილო გზები გადაიკეტა. იანვრიდან ვერტმფრენით კავშირიც შეწყდა და ელექტროენერჯის მიწოდებაც. მოსახლეობას ადგილობრივი პოლიცია და ეროვნული გვარდიის მებრძოლები იცავდნენ. მშვიდობიანი მოსახლეობა ყოველდღე ზარბაზნებისა და მძიმე ტექნიკის სამიხნე იყო. 25 თებერვლის საღამოს ქალაქში სროლები დაიწყო, 26 თებერვალს კი, ხოჯალი მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვია. ცოცხლად გადარჩენილი, დაახლოებით, 2500 კაცი, თავდადევნიდნენ მიხნით, ახლომდებარე ქალაქ ადამისკენ გაიქცა, მაგრამ ადგილამდე ვერ მიადგნენ, რადგანაც მოწინააღმდეგის შეიარაღებულმა ძალებმა გაქცეულ მოსახლეობას გზა მოუჭრა...  
 გაგრძელებული ინფორმაციით, ერთი დღის განმავლობაში 613 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, რომელთა შორის 63 ბავშვი, 106

ქალი და 70 მოხუცი იყო. მძველად აიყვანეს 1275 ადამიანი, რომელთაგან 150-ის ბედი დღემდე უცნობია.  
 ყოველივე ამის გამო, ეს ტრაგედია გენოციდად იწოდება. მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა, ცოცხლად გადარჩენილი მცირე ნაწილის ღტოვნილად ქცევა, ისტორიის ფურცლებზე „ხოჯალის გენოციდის“ სახელწოდებით აღიბეჭდა.  
 ხუთი წლის შემდეგ, 1997 წელს, პრეზიდენტმა პეიდარ ალიევმა გამოსცა დადგენილება „ხოჯალის გენოციდის“ შესახებ.  
 2012 წელს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ეს მოვლენები შეაფასა როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი სისხლიანი დანაშაული კაცობრიობის წინაშე და აზერბაიჯანელი ხალხის გენოციდი. მაშინ ბაქოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა იდრის ნაიმ შაჰინმა განაცხადა, რომ ხოჯალის გენოციდი კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო ლაქაა და თურქეთი ყოველთვის იქნება მოძვე აზერბაიჯანის გვერდით.  
 აღსანიშნავია, რომ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებმა ამ საკითხის განხილვისას ხოჯალის ტრაგედია შეაფასეს, როგორც მძიმე სამხედრო დანაშაული და მისი უარყოფის მცდელობა ჩათვალეს დანაშაულში თანამონაწილეობად.  
 ხოჯალის ტრაგედიასთან დაკავშირებით, საფრანგეთის სენატის სხდომაზე გამოსულმა სენატორმა ნატალი გულემ შეახსენა დამსწრეებს, რომ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს 30 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა და მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული 4 რეზოლუციისა, რომელიც მოუწოდებდა სომხეთს დაებრუნებინა ოკუპირებული ტერიტორიები აზერბაიჯანისთვის, არც ერთი არ შესრულდებოდა.  
 რაც შეეხება მთლიანად მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს, 30.000 ადამიანი დაიღუპა, ორჯერ მეტი მებრძოლი და სამოქალაქო პირი კი დაიჭრა. დაახლოებით, ერთმა მილიონმა ადამიანმა, მათ შორის 800.000-მა აზერბაიჯანელმა საკუთარი სახლი დატოვა. დღემდე, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ბამრო-სა და ეუთო-ს მცდელობა – მოლაპარაკების გზით მოავგარონ ყარაბაღის კონფლიქტი, უშედეგოა.

## ნუმც შეჯამონ პენახი!

მოდით, ვნახოთ მთავრობა, პროლეტარტა გნიასში, ვინ შეჭამა მთავრობა ნოე ქორდანიასი? “უამრავს ამგვლებდა ბელადების სიგიჟე და ცხენს მოაგვლებდა სერგო ორჯონიკიძე!” \* \* \*

სულზე გვაწვა სიმძიმე სამოცდაათ წელიწადს, მაგრამ დმერთმა ზვიადი მოუვლინა ჩვენს მიწას, თუმცა მაინც უყვლა მძიმე ჩექმა სუყველას და ჩაგვტკივრა მარტივად გენერალმა ბალტინმა. \* \* \*

ვარდს რომ მაინც ევარდა, პარლამენტში შევარდნით, მოიწვიეს ედვარდი, გვარი რომ აქვს შევარდნის. ვერაფერს უბედავდნენ, მაგრამ ბოლოს მიშავდა და შეჭამეს ედვარდი მაილსმა და მიშამა! \* \* \*

მაილსმა და მიშამ ელო, მან ზვიადი შეჭამა, მანამდე კი ნოე ელო სერგოს დასაღვებდა! \* \* \*

მოდით, ვნახოთ მიშა, ვინ შეჭამა მიშა? “მიწვედით იმის ნიშას და რომ ვნახეთ მიშა, ვეღარ იყო გულმშვიდად, იმ დარდში ჩაიძირა, რომ მიანდა გუშინდლად ივანიშვილ ბიძინას. \* \* \*

თუმცა მოხვდა მეხი და გავხდით იმის მნახველი, რომ წავიდა ქვეყნიდან “ცოცხოსანის” სახელით. გაანიუორკეს, გაიკიევილიანა, მაინც ვერ დაიოკეს, ენად იქცა მთლიანად და რაკი სურს დაბრუნდეს ნაც-ბაცნების გუნდითა, უკრინას აბრუებს ყვარყვარეთა ბუდიდან. \* \* \*

მაგრამ აბრუნდებიანს აფრთხილებენ ზარები, რომ ვერ დაბრუნდებიან მისებრ ნაკაცარები!.. \* \* \*

ქვეყნის მტრებთან თანხმობით კმარა ფესვთა გახმობა, ტაციობა-ახერობით მთავრობათა დამხობა! მტრისა და თხის დახრული აღარასდროს გვენახო, საქართველოდ აღქმული მტვეანსავე ვენახო!

ალექსანდრე შენგელია, 1991 წლის 21 დეკემბერი – 2015 წლის 22 თებერვალი

# აღფოროთიულები და შუფოროთიულები

ირაკლი ალასანიასა და მისი თანაგუნდელების აპელირება პოლიტიკურ დევნასა და ევროინტეგრაციის კურსიდან გადახვევაზე, აგრეთვე, მინიშნება ამჟამინდელი ხელისუფლების პრორუსულობაზე, ძალიან ჰგავს 2003 წელს აშშ-ის მიერ საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანილი „ნაც-მოძრაობის“ და მისი დამნაშავე ლიდერის სასაცილო რიტორიკას.

საერთოდ, შემოდგომა საქართველოსთვის საბედისწერო სეზონია. 2003 წლის ნოემბერში მოაწვევს ე. წ. ვარდების რევოლუცია, რომლის შედეგადაც „ნაციონალური მოძრაობა“ 9 წლის განმავლობაში აწიოკებდა საქართველოს; 2007 წლის 7 ნოემბერს ამ პირსისხლიანმა რეჟიმმა სასტიკად დაარბია მშვიდობიანი დემონსტრაცია. ამ ამბიდან 7 წლის და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ორი წლის თავზე კი ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია – ხელისუფლების სათავეში მყოფმა კოალიციამ რდევება დაიწყო – „ქართული ოცნება“ დატოვა „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ დიდმა ნაწილმა აწ უკვე ყოფილი თავდაცვის მინისტრის – ირაკლი ალასანიას მეთაურობით, თუმცა „ქართული ოცნება“ პარლამენტში მაინც შეინარჩუნა უმრავლესობა, ოღონდ „ნაციონალური მოძრაობის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრების ხარჯზე.

პოსტები დატოვეს საგარეო საქმეთა მინისტრმა მათა ფანჯიკიძემ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მოხსნა. ახლა კი ნაცები და მათი დორბლიანი ბეღადი, დაშნაკი სააკაშვილი გაზაფხულისათვის გვირგვინიან ე.წ. „მაიდანის“ მოწყობას...

ავანტიურისტი, უნიჭო და ამბიციური – მოსხნისთანავე ამ ეპითეტებით შეამკო ირაკლი ალასანია აღფოროთიულება პრემიერმა ირაკლი ლარიაშვილმა მას შემდეგ, რაც ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება, რომლებსაც ბრალი 4,1 მილიონი ლარის გაფლანგვაში ედებათ, ევროინტეგრაციასთან ბრძოლას ნიშნავს.

„ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვერ მოიხსნა განცდა, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დე-

ენასთან დაკავშირებით, რომელზეც პირდაპირ პასუხისმგებელი არიან მათა ფანჯიკიძე, ირაკლი ალასანია, ალექსი პეტრიაშვილი. როცა ირაკლი ალასანია დადიოდა ევროპასა და ამერიკაში, დიად აცხადებდა, რომ სააკაშვილის დროს მიღწეული რეფორმები იყო სამაგალითო და ჩვენ მას უნდა დავეფუძნოთ, საუბარი არ მიმდინარეობდა იმ სადისტურ მეკლელობებზე, წამებაზე, არადადამიანურ მოპყრობაზე, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, რომლებზეც ახლა გამოძიება მიმდინარეობს. ბუნებრივია, ამის გამგრძელებელი იყო მათა ფანჯიკიძე და, შესაბამისად, ის არასწორი განცდა, რაც ევროპასა და აშშ-ში არსებობს, ჯერ კიდევ ვერ მოიხსნა. ეს უნდა მოეხერხებინა საგარეო საქმეთა სამინისტროს, უშუალოდ მინისტრებს და მათ გუნდს, თუმცა ასე არ მოხდა. ამიტომ, იმაზე, რომ განცდა ვერ მოიხსნა, პასუხისმგებელი არიან მათა ფანჯიკიძე, ირაკლი ალასანია და ალექსი პეტრიაშვილი. მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ ეს იყო მიზანმიმართული მუშაობა, რათა არ მომხდარიყო რეალობის ჩატანა ევროპასა და აშშ-ში. მათა ფანჯიკიძის ქმედებაზე მქონდა შეკითხვები და ეჭვები. ალასანია კი დიად აცხადებდა, რომ უნდა გაგაგრძელოთ ის კურსი, რომელიც სააკაშვილს ჰქონდა აღებული. ამაზე მეტი თვითლუსტრაცია რა უნდა იყოს, არ ვიცი“, – განაცხადა მაშინ ირაკლი ლარიაშვილმა.

ამ სამთავრობო აურზაურიდან ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

1. ბიძინა ივანიშვილს, როგორც ჩანს, ადამიანების ამოცნობის უნარი დაქვეითებული აქვს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ თანამებრძოლების არჩევამდე პოლიტიკურ სპექტრს სამი წლის განმავლობაში აკვირდებოდა, არჩევანში შეცდა; ცდებოდა, როდესაც მხარს უჭერდა სააკაშვილს; შეცდა, როდესაც გიორგი მარგველაშვილი ჩასვა პრეზიდენტის სავარძელში; შეცდა, თავდაცვის მინისტრად ირაკლი ალასანიას (თუმცა, 2013 წელს, როგორც კი შეატყო ალასანიას, რომ პრეზიდენტობის ამბიცია გაუქნდა, ვიცე-პრემიერობიდან გაათავისუფლა) და საგარეო საქმეთა მინისტრად მათა ფანჯიკიძის დანიშნვის შემთხვევაშიც, ლაპარაკი აღარ არის ალექსი პეტრიაშვილზე;

2. ირაკლი ალასანიასა და მისი თანაგუნდელების აპელირება პოლიტიკურ დევნასა და ევროინტეგრაციის კურსიდან

გადახვევაზე, აგრეთვე, მინიშნება ამჟამინდელი ხელისუფლების პრორუსულობაზე ძალიან ჰგავს აშშ-ის მიერ საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანილი „ნაცმოძრაობის“ და მისი დამნაშავე ლიდერის რიტორიკას. ეს კი აჩენს ეჭვს, რომ ორივე პოლიტიკური წარმონაქმნი – „ნაცმოძრაობა“ და „თავისუფალი დემოკრატები“ – ერთი ძალისგან იმართება, ერთი მფარველი ჰყავს – აშშ.

ამის დასტურია საქართველოში აშშ-ის ელჩის – რიჩარდ ნორლანდის (და სხვა დასავლელი პოლიტიკოსების) შემაშფოთებელი განცხადება: „თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, გამოძიების რაოდენობა და მასშტაბი წარმოშობს ლეგიტიმურ შეშფოთებას, რომ სასამართლო სისტემა გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის“.

ალასანიანია, რომ ნორლანდსა და აშშ-ის სხვა პოლიტიკოსებს არასოდეს გამოუხატავთ „ლეგიტიმური შეშფოთება“ სასამართლოს სისტემის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების გამო, როცა ანალოგიური რამ თავიანთ ქვეყანაში (ან სხვა ქვეყნებში) ხდებოდა, ანუ როცა სახელმწიფოს მაღალი რანგის პირებს ადანაშაულებდნენ კორუფციაში და აპატიმრებდნენ კიდევ.

„ლეგიტიმური შეშფოთება“ არ გამოუხატავთ, როცა:

\* 2007 წლის სექტემბერში დააპატიმრეს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებსა და მეკლელობებში დაადანაშაულა;

\* 2012 წლის აპრილში გადასახადების დამალვის გამო დააპატიმრეს საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი აკის ცოხაძოპულოსი და 8 წლით აღუკვეთეს თავისუფლება;

\* 2013 წლის ნოემბერში პოსტიდან გადააყენეს პოლონეთის ტრანსპორტის მინისტრი სლავომირ ნოვაკი, რომელმაც ქონებრივ დეკლარაციაში არ ჩაწერა, რომ საწურად ძვირად ღირებული საათი მიიღო;

\* 2014 წლის ივნისში კორუფციაში ბრალდებით დააპატიმრეს ვენეციის მერი ჯორჯო ორსონი და მასთან ერთად კიდევ 37 იტალიელი პოლიტიკოსი;

\* 2014 წლის ივლისში 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ნიუ ორლეანის (აშშ)

მერს – რეი ნეიგინს ქარიშხალი „კატრი-ნას“ მიერ დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გამოყოფილი თანხების მითვისებისა და კორუფციული გარიგებების გამო;

\* 2014 წლის ოქტომბერში კორუფციაში დაადანაშაულეს და პოსტიდან გადააყენეს ლიტვის მინისტრი ალფონას ბარაკაუსკასი;

\* 2014 წლის ოქტომბერში უკრაინის თავდაცვის მინისტრი ვალერი გელეტეი პოსტიდან გადააყენეს.

აი, ამ შემთხვევებში დემოკრატის დასავლელი დამცველები დუმილს ამჯობინებდნენ. ისინი „ლეგიტიმურად შფოთავენ“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს, დავით კეხერაშვილს, ბაჩანა და დათა ახალიაშვილს, მეგის ქარდავას, სოსო თოფურძესა და სხვა პირებს შეეხება, იმ პირებს, რომლებსაც ქართველი ხალხის წინაშე უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი...

ბიორბი ბანჩილიაძე

გაზეთ „ილოროს“ კომენტარი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუსჯელობის სინდრომითა და ამერიკელი პატრონების „ლეგიტიმური შეშფოთებით“ გათამამებული „ნაცები“ კვლავაც აპირებენ საპროტესტო აქციების გამართვას; სურთ, კიევიური მაიდანის მოაწყონ, ქვეყანა ქაოსში ჩაძირონ და ასე დაბრუნდნენ ხელისუფლების სათავეში. საამისოდ მათ ხელისუფლებიდან გაბუნძულებამდე დაიჭირეს თადარიგი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოაწყვეს სამალაგებები, სადაც დიდძალი იარაღი და სამხედრო ტექნიკა აქვთ გადამაღული. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას კი ხელისუფლებასთან ერთად საზოგადოებაც უნდა აღუდგეს წინ. ისე, ნაცებიც უნდა გაფრთხილდნენ, რადგან თუ მათი მორიგი ავანტიურა ჩავარდა (და უკვეც ვადა ჩავარდება, რადგან ლანჩების მოწყობილი რევილუცია არავის ახსოვს. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ ხელშეწყობს ფაქტორს, მათ უკვე აღარ ჰყავს ის შევარდნაძე, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ სცენარი გაითამაშა და ლამის ძალით შერეკა პარლამენტში ნაცნაბიჭვრების „შანა“ მთავარი ნაცნაბიჭვარის მიხეილ სააკიანცის ხელმძღვანელობით), ისინი ქართველი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩებიან და კვლავც ამერიკელების მიერ შემოტენილი კოპიტიაციით გადაირჩენენ თავს.

## „საიდუმლო სერობა“ ზაქათალაში: სააკაშვილი და სანდრა საქართველოსა და სომხეთში ახალ მაიდანს ამზადებენ!

უკრაინის კრიზისისადმი მიძღვნილმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციამ და მერკელ-ოლანდის შუამავლურმა დიპლომატიამ – საუკეთესო დასტურმა, რომ დღეს ლამაზმანი ევროპაც კი – ტრადიციულად მსუბუქი ყოფაცქვეის ქალია – არასაჯაროდ აღიარა: უკრაინაში აშშ-მა წარმატებით გაიმორთა 08.08.08 ქართული სენარის ტერორისტების შემდგომი დაკარგვით, რაც ნატოში ამ ქვეყნების წევრობას აბრკოლებს. კიდევ კარგი, ტერიტორიების დაკარგვაში საუკეთესო სპეციალისტმა იმედი არ გააძრუა... თუმცა სააკაშვილი უკვე ახალ მაიდანს ამზადებს – საქართველოსა და სომხეთში. აი რამდენიმე ფაქტი:

1. „საიდუმლო სერობა“ ზაქათალაში – ორიოდე კვირის წინ, ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავე, გვარად „საკაშვილი“, ერთი ხანობა დამატებით საქართველოს პრეზიდენტად რომ მუშაობდა, თავისუფლად გამოხსნა ახერბაიჯანის ტერიტორიაზე – ზაქათალაში და იქ რიგით მყოფ „სხადანიკო“ მოაწყო, რომელსაც საქართველოდან, უკრაინიდან და შორეული უცხოეთის ქვეყნებიდან „ნაცმოძრაობის“ მიუღი „ნადები“ ესწრებოდა (პირველი „სხოდკა“ სააკაშვილმა გასულ ზაფხულს სარფში, თურქეთის ტერიტორიაზე ჩაატარა). ნათელია, რომ ზაქათალაში განიხილებოდა არა მოდა-2015-ის ტენდენციები, არამედ ამავე წელს ბრძოლები ქალაქ თბილისში, სადაც „ნაციონალური“ აპირებენ პროვოკაციების მოწყობას, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიხრდება და „გრიელი ხანჯლების ღამით“ დაგვირგვინდება! ლიკვიდაციამისჯილების სიები, რუკები,

იარაღი და საბრძოლო მასალები, ჯგუფის მეთაურები – ყველაფერი უკვე მზადაა. ტყველებს რიდი ღარბის სააკაშვილის საბრძოლო მეგობარი – ყოფილი პირველი ლედი და მოქმედი „ცერეუ“-შნიკი სანდრა რულოვსი უკრაინაში დადგული ქართველი დაქირავებული მებრძოლების ოჯახებში საჩუქრებითა და ავტოციებით...

2. სომხეთი: რუს ჯარისკაცთან დაკავშირებული ბნელი ისტორია, რომელმაც სრულებით უშიხეზოდ სომხური ოჯახი გაანადგურა, მხოლოდ დასაწყისია – 2500-ზე მეტი NGO სომხეთში შექმნილი და ჩანერგულია დასავლეთის მიერ, ამიტომ ეცდებიან საბოლოოდ გადაჰიდონ ერთ-მანეთს სომხები და რუსები. ყველაზე ცინცხალი მაგალითი – აფხაზეთში, სოფელ ანადარაში, რამდენიმე დღის წინ მომხდარი „რუსი ჯარისკაცების თავდასხმა სომხურ ოჯახებზე“, რომელიც უტიფარი ტყვილი გამოდგა!

შეგახსენებთ: დასავლური ფონდების სპეცსამსახურების მიერ მოხიფებული ქართული და სომხური მედია იტყობინებოდა, რომ სომხეთის რაიონის სოფელ ანადარაში არაფხიზელ მდგომარეობაში რუსმა სამხედროებმა ყანადური თავდასხმა განახორციელეს 8 ოჯახზე. ეს თითქოსდა მიდინარე უმისისთან სანაპიროზე მდებარე სოფელში მოხდა, სადაც, ძირითადად, ეთნიკურად სომხური მოსახლეობა ცხოვრობს. აქოდა, რუსი ოკუპანტები დასახლებაში ჯავშანტრანსპორტიორებითა და „A3“-ის ავტომანქანით შეიჭრნენ, მოსახლეობას უფლი და თქონს ნაკეთობები წაართვეს, ხოლო ერთი ოჯახიდან მანდარინით დატვირთული მანქანა წაიყვანეს, რომელიც გზაში გაფუჭდა და ეშერის ხიდზე

დააგდეს. ყანალობის დროს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცემეს სოფლის რამდენიმე მცხოვრებს, ერთი მათგანი, 76 წლის ლუსია ქონარაიანი თითქოსდა სამედიცინო დაწესებულებაშიც იქნა გადაყვანილი.

მიუხედავად იმისა, რომ გაგრის სომხური თემის ხელმძღვანელი აფხაზეთში ხანიკ მინსიანი და აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი ლევონ გალუსტინი, ასევე აფხაზეთის წარმომადგენლები – შსს-ს ხელმძღვანელიდან დაწყებული, რიგითი აფხაზეთი დამთავრებული – მოცემულ ინფორმაციას უარყოფდნენ, ინციდენტი დადასტურა არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ თავმჯდომარე არნოლდ სტეფანიანმა გაზეთ „რეზონანსთან“ ინტერვიუში. მისი თქმით, ამ შემთხვევას მართლაც ჰქონდა ადგილი და აფხაზეთი მხარე მიზანმიმართულად ცდილობს ამ ინფორმაციის დამალვას. სპეციალური ჯგუფი ჩავიდა სოფელ ანადარაში, რათა ეს ფაქტი გადაემოწმებინა და აღმოჩნდა, რომ სოფელ ანადარაში არც ლუსია და არც ვინმე სხვა გვარად ქონარაიანი არ ცხოვრობს და არც არასოდეს უცხოვრია, და არასოდეს არავის სმენია რუსი სამხედროების „თავდასხმის“ ინციდენტის შესახებ...

3. ბოლო ხანს სამცხე-ჯავახეთის სომხები თითქმის ყოველდღე აპირებენ იარაღს და საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას შთაბეჭდილება რჩება, რომ სომხები საქართველოდან გამოყოფისა და ავტონომიის გამოცხადების მიზნით აჯანყების მოსაწყობად ემზადებოდნენ. სინამდვილეში კი იარაღი სომხებს სააკაშვილმა დაურიგა! გასული რეჟიმის ხანაში ადგილობრივი სპეცსამსახურები, თავისი ავანტურების მეშვეობით, „მალულად“

აიარადებდნენ სამცხე-ჯავახეთის სომხებს იარაღითა და საბრძოლო მასალებით. რაღაცას ჰყიდდნენ, ბევრ რამეს კი უბრალად ჩუქნიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას – ვითომდა პატრიოტული მოსაზრებებითა და სომხებზე ზრუნვით, მათი თავდაცვისათვის საჭიროების შემთხვევაში. სინამდვილეში, ჩანაფიქრის სხვა იყო: „X საათზე“ სააკაშვილის სპეცსამსახურები ამ სომხების სახლებში უნდა შეჭრილიყვნენ, ჩაეტარებინათ ჩხრეკა და ადვილად მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები, შემდგომ კი, როგორც მინიმუმ, გადაებირებინათ ისინი.

რაც მთავარია – „ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს“ სარკინიგზო გზის სიახლოვეს რეგიონში დაგეგმილი იყო ტერაქტის ორგანიზება და ადგილობრივი მამაკაცების მასობრივი დაკავება, რაც საშუალებას მისცემდა სააკაშვილის ხელისუფლებას, სამცხე-ჯავახეთში სამხედრო ქვედანაყოფები შეეყვანათ და შემოედოთ საგანგებო მდგომარეობა „თურქეთ-ახერბაიჯანის ფაქტორის გაძლიერებით“ უკმაყოფილო სომხების დასაჯვად.

დღეს, როცა აღნიშნული რკინიგზის ეტაპობრივი გაშვება და, ამავდროულად, დანაშაულებრივი რეჟიმის მხილება უკვე დაწყებულია, სააკაშვილის დივერსანტებს ამ „პროექტის“ განხორციელების უფრო მეტი მოტივაცია აქვთ. ამიტომ ქართულმა სპეცსამსახურებმა, რომლებიც წინასწარ გაიწმინდება „ნაციონალი თხუნელების“ გან, რეგიონის „დედილიტარიზაციის“ საშუალო ბოლომდე უნდა მიიყვანონ და გამოავლინონ მიმჭიდვებულა მთელი „ჯაჭვი“ პირველ რგოლამდე.

სამონწრობი



დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი

კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებებში დაცულია ცნობები იმის შესახებ, რომ დანიელ ასურის მიერ სომეხთათვის შექმნილი ანბანი მწირი აღმოჩნდა...

შედეგობა, 37-ნიშნის ქართულ ასომთავრულ დამწერლობას კი, რომლის საფუძველს სრული 27-ნიშნის ბერძნული ანბანი...

გვიანი ხანის გადამწერელთა უხეში რედაქტორული ჩარევებისა და ყალბისმქნელ ინტერპოლაციათა მიზეზით...

თუმცა ის ფაქტი, რომ პირვანდელი «გრი»-ს გვიანდელი ექვივალენტიც («ჯან») დამახინჯებულია...

ორივე ავტორი ერთხმად უთითებს იმაზე, რომ მასტოცი დიდად გაწვავდა ეროვნულ ანბანზე ფიქრით და მისი შექმნა შემდგომშიც რამოდენიმე წლის მანძილზე ვერ მოახერხა. ფიქრობთ, უმნიშვნელო არც ის ფაქტი უნდა იყოს, რომ ადრინდელ სომხურ მწერლობაში მესროპ-მასტოცი სრული სომხური დამწერლობის შემქმნელად არ მოიაზრებოდა; მას მიაწერდნენ სომეხთათვის უკვე მანამდე უცხოელისგან (დანიელ ასურელი ეპისკოპოსი) შედგენილი ანბანისათვის მხოლოდ რამოდენიმე ასოს შემატების ღვაწლს. ეროვნული დამწერლობის შექმნაზე ფიქრით გატანჯულ მესროპ-მასტოცს ბუნებრივად უნდა გასენოდა ინტერესი მეზობელი ერთმორწმუნე ხალხის - იბერიელების ქრისტიანული ანბანის მიმართ, რომელიც, სომეხთა თვალთახედვის არეში, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მას შემდეგ მოხვდა, როდესაც დიდი ბაკური ბიზანტიიდან სამშობლოში დაბრუნდა, ქართლის სამეფო ტახტზე დაიკავა და ადგილობრივი ეკლესიის მეთაურის - მოსე თეოდორისეოსის ხელშეწყობით გრი ორმიზთან ერთად მის მიერვე შექმნილი ასომთავრული ანბანის პრაქტიკაში დანერგვას შეუდგა, ანუ 395 წელს. მაგრამ ვერც იმ შესაძლებლობას გამოვიცნობთ, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ამის უწინაც ჰქონებოდა, კერძოდ კი, «წმინდა მიწაზე», სადაც იმყოფებოდნენ 395 წლის წინარე პერიოდში, როგორც ვიცით, ქართული ანბანის შემქმნელები - ბაკური და გრი ორმიზი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როგორც ეს თავის დროზე აკად. ი.ჯავახიშვილის მიერ იქნა შენიშნული, ძველად არსებული მასტოცის «ცხოვრების» ისეთი რედაქცია, რომელიც სომხური ანბანის შემქმნელს იერუსალიმთან დაკავშირებულ მოღვაწე აცხადებდა; მოგვიანებით ეს რედაქცია ელნიშნულ მწერლებს გადაუმუშავებიათ და მასტოცის იერუსალიმთან კავშირის ამსახველი ცნობებიც თითქოსდა ამ ნიშნულზე წარსოცია (იხ. 107:408, 413-415, 422-423). თუ აღნიშნული ვერაულო ჭეშმარიტების რაიმე მარცხს შეიცავს, მაშინ შეგვეძლოს დაგვეშვა ისეთი აზრი, რომ მასტოცმა ქართული ანბანის შესახებ შეიტყო იერუსალიმში მისი ყოფნის დროს; შესაძლოა, უშუალოდ ქართული ანბანის იმხანად იქ მყოფ შემქმნელთაგანაც კი. ასეთ შემთხვევაში გამართლებოდა იმ მეცნიერთა აზრი, ვინც სომხური ანბანის შემოღების დროდ 392/93 წ.ს მიიჩნევდა. სხვა შემთხვევაში კი, როგორც მივითითებთ, ეს მოვლენა 395 წელს უნდა იყოს იმ ივარსებობა, და თუ არმეზობლებს მიანიჭიათ, რომ აღნიშნულ მოვლენას ადგილი რეალურად 406 წელს ჰქონდა, მათ, ალბათ, ამ თვალსაზრისის მართებულობის მტკიცებისათვის სათანადო მყარი არგუმენტებიც მოეპოვებათ, რომელთა სადავოდ გახდა, პრინციპში, ჩვენ მიზნად არც გვაქვს დასახული.

როგორც ითქვა, ძველ სომხურ წერილობით წყაროებში (სებოსოსთან, ვარდან დიდთან...) გვხვდება ცნობები იმის თაობაზე, რომ მესროპ-მასტოცმა მხოლოდ 7 თუ 14 ასო შეამატა დახვეწილ ასურის მიერ მანამდე ჩამოყალიბებულ სომხურ ანბანს. აკად. თ. გამყრელიძის დაკვირვებით, სომხური ანბანის ბერძნულ დამწერლობასთან შეპირისპირება ავლენს მათ შორის არსებულ «სრულიად უდავო კავშირს»; კერძოდ, სომხური ანბანის შემქმნელისათვის, როგორც მეცნიერი ფიქრობს, საწყის წერილობით მოდელს სწორედ ბერძნული წერითი სისტემა წარმოადგენს. ამასთანავე, მისი აზრით, სომხურისათვის საწყის ბერძნულ სისტემად აღებულია არა სრული 27-ნიშნის ბერძნული სისტემა, როგორც ეს კობურტი და გოთური ანბანის შემთხვევაში გვაქვს, არამედ ბერძნული სისტემის მხოლოდ ის ნაწილი (21-ნიშნის «რედუცირებული» ბერძნული სისტემა), რომლის ფონეტიკური მნიშვნელობები შეესაბამება სომხურ ბგერებს (იხ. 15:107 შენ., 109, 189-190). მაგრამ სომხური ანბანი, როგორც ცნობილია, თავდაპირველად 36 ასო-ნიშნისაგან შედგებოდა, 37-ნიშნის ქართულ ასომთავრულ დამწერლობას კი, რომლის საფუძველს სრული 27-ნიშნის ბერძნული ანბანი ჰქმნის, 35 ფონემა გააჩნდა, ანუ ზუსტად 14-ით მეტი 21-ნიშნის «რედუცირებულ» ბერძნულ წერითი სისტემასთან შედარებით. აღნიშნულის ფონეტიკურ შეგვეძლო დაგვეშვა აზრი იმის შესახებ, რომ სომხური ანბანის შემუშავებისას, მასტოცმა სხვასთან ერთად ისარგებლა ქართული წერითი სისტემითაც, რომელში მოცემული სპეციფიკური ქართული ბგერების უდავოდ საყურადღებო უნდა ყოფილიყო. ძველი სომხური და კავკასიის ალბანელთა დამწერლობების შეპირისპირების (პარადიგმატიკის) ნიადაგზე აშკარა ხდება ის გარემოება, რომ უკანასკნელის საფუძველად, ანუ საყრდენ ნიშნულად (პროტოტიპად) თავის დროზე სომხური წერითი სისტემა იქნა აღებული, რასაც, პრინციპში, ძველი სომხური საისტორიო ტრადიციაც ემორჩილება ერთი მხრივ და მეორეს მხრივ, ამას სპეციალური გამოკვლევების ნიადაგზე მიღებული შედეგებიც ადასტურებენ (იხ. 70:222-320; 112:447-449 და სხვ.). ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ მოჩანს სომეხი ავტორის - მხითარ აირივანეცის ის ცნობაც, რომლის თანახმად, სომხური ანბანის შემოქმედმა მესროპ მასტოცმა მონაწილეობა მიიღო კავკასიის ალბანელთა დამწერლობის შექმნაშიც, ქართულ ანბანთან კი მხოლოდ სომხურის «შეწამება» მოახდინა. ამ სამ დასახელებულ დამწერლობებს შორის არსებული კავშირ-მიმართულების რაობის საკითხში გარკვევისათვის სიმპტომურად გვესახება შემდეგი მაგალითი. კერძოდ, «და-ბგერის აღმნიშვნელი «ასომთავრულის» მსგავსი მოხაზულობის ნიშანი გვხვდება ალბანურ ანბანშიც, ასევე «და-ბგერის აღმნიშვნელად და რგით მე-4 ადგილას მდგომი, როგორც ეს ძველ ქართულ ანბანში ვაქვს წარმოდგენილი. ოღონდ ალბანურში ქართული «დონ»-ნიშანი 180 გრადუსით შემოტრიალებული, ანუ თავდავირა მდგომარეობით არის მოცემული. იდენტური ნიშანი გამოყენებულია სომხურ ანბანშიც, ალბანურის მსგავსი მოხაზულობით, ოღონდ «ხ»-ბგერის აღსანიშნავად და მწკრივში მე-9 ადგილას მდგომი.

თუმცა ჩვენ ახლა უწინდელზე გაცილებით მეტი ვიცით აღნიშნული მოვლენის შესახებ; ახლა უკვე მეტი სითამამით ვგვაძო საკითხს ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი პირის, ქართულ სუფიქსულთა წრიდან გამოსული მწიგნობრის, დიდი ბაკურის ნათესავისა და სიყრმითგან უახლოესი მეგობრის - გრი ორმიზის აქტიური მონაწილეობის ფაქტის შესახებ სომხური დამწერლობის შექმნის პროცესში, რის გამოხატულებადაც სხვასთან ერთად გვესახება აღნიშნული პიროვნების კომპოზიტიური სახელის საწყისი ნაწილის - «გრი» (სპარს. «სული») გასაოცარი «მსგავსების» ფაქტი «გრი-ფორმანტის ნიშნულზე აღმოცენებულ ისეთ სომხურ სიტყვა-ტერმინებთან, რომლებიც მწიგნობრობასთან არიან დაკავშირებული: «გირ/გრი» - ასო, ბგერა, ნაწერი, წერილი, ანბანი, წიგნი, სიგელი; «გრი არნელ» - ჩაწერა; «გრიწ» - საწერელი, კალამი; «გრიწი» - წერა; «ერკათა-გრი» - რკინით ნაწერი; «ბოლორ-გრი» - მრგვალოანი ნაწერი; «გროლ»-მწერალი და ა.შ. ჩვენ არ გამოვიცხავთ იმ შესაძლებლობას, რომ ანბანის აღმნიშვნელ და მის კვლად მწიგნობრობასთან დაკავშირებულ სხვა სომხურ სიტყვა-ტერმინებს დასაბამი ქართული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი პირის - გრი ორმიზის სახელის საფუძველზე მიეცა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ისეთივე ვითარებასთან უნდა გვეკონდეს საქმე, როგორც ძველ-სლავური დამწერლობის ორიდან ერთ-ერთი სახეობის («კირილიცა») სახელწოდებასთან დაკავშირებით ვიდასტურებთ. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, მისი შემქმნელი პირის - კირილეს (იგივე კონსტანტინე) სახელიდან არის წარმომდგარი. ჩვენს მოსაზრებას ამავრებს ის გარემოებაც, რომ სხეულები პიროვნების (გრი ორმიზი) სახელი კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებათა ჩვენამდე მოღწეულ ტექსტებში მოცემულია მხოლოდ ნაწილობრივ, სპარსული წარმომავლობის ორწევრიანი კომპოზიციის შემადგენელი პირველი სიტყვის («გრი») სახით და ისიც გვიანდელი სპარსული ექვივალენტის (ახ. სპარსული «ჯან»-სული; იხ. 97:30-34) გრაფიკულ ნიშნულზე დამახინჯებული ფორმით (იხ. 102:121-123). ამ გარემოებას მარტივად შეიძლება მოემკებოს ახსნა: კორიუნის თხზულების პირვანდელ ტექსტში, ჩვენგან უკვე ზემოთ აღნიშნულ და თხზულების ტექსტის მოგვიანებით რედაქტირების დროს სომხურში უკვე მყარად დამკვიდრებულ ტერმინებთან გარეგნული მსგავსების მიზეზით, კომპოზიტიური სახელის შემადგენელი საწყისი სიტყვა «გრი» გარკვეულ უხერხულობას ჰქმნიდა და უცნობმა რედაქტორ-გადამწერელმა (რომელსაც, ჩანს, რომ ესოდან აღნიშნული საშუალო-სპარსული სიტყვის სემანტიკა შეცვალა იგი მისი ახალ-სპარსული ექვივალენტით. ცხადია, ასეთ ცვლილებას ადგილი VIII-IX სს-ზე ადრე ვერ ექნებოდა, რადგან სწორედ ამ დროიდან იწყება სპარსული ენის ახ. სპარსული ხანაკვლების პროცესი. ისლამის გაბატონების კვალდახე არაბულიდან ანბანის ბიბლიკური სემიოტიკური საშუალო სპარსული ენა გვიან პერიოდში შეზღუდული სახით მაინც განაგრძობდა არსებობას ზოროასტრულთა, მანიქეველთა და სპარსულენოვან ქრისტიანთა თქმებით. V-VII სს-ში სპარსულ-სირიულ ტერმინულ ეკლესიასთან სომხური ეკლესიის ახლო კავშირ-ურთიერთობების არსებობის ფაქტი საზოგადოდ ცნობილი გახლავთ და დოკუმენტური მასალთაც მოწმდება. იმავე პერიოდის სომეხი მწერლების ცნობებით ვარკვევთ, რომ სომხეთში სპარსული ენის გავრცელება საკმაოდ იყვნენ. საკითხის კვლევის ამ ეტაპზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სპარსული «გრი»-სიტყვის შეცვლის ფაქტს ახ. სპარსული «ჯან»-ით (>\*ჯალ) VIII ს-ის შემდგომ პერიოდში ჰქონდა ადგილი. რა ბედი ეწია ზემოხსენებული კომპოზიციის მეორე ნაწილს («ორმიზ») ტექსტის რედაქტირებისას, ეს, ჯერჯერობით, მთლად ნათელი არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენ სრულიად საკმარისად მიგვაჩნია იმ თვალსაზრისის დამკვიდრებისათვის, რომ ქართული ეროვნული მწიგნობრობის შესაძირკველ დიდ ბაკურთან ერთად იყო «გრი ორმიზი». მაგრამ, ამასთანავე, ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა ისეთი ვითარების დახატვაც, რომ სსოვნა ამ დირს შესანიშნავ მოვლენაზე, თუნდაც ძლიერ დამახინჯებული სახით, შემორჩა უცხოურ წერილობით წყაროებში, ხოლო ადგილობრივმა საეკლესიო თუ საისტორიო ტრადიციამ მის შესახებ თითქოსდა არასოდეს არავინ უწყობდა. ასეთი თვალსაზრისის უმართებულობას ნათლად ადასტურებს ადრექრისტიანული ხანის ორი სწორპოვარი და სტერეოტიპული შინაარსის მქონე ძეგლი: დავათის ქვასვეტი და «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის» პროზაული პიში. ორივე დასახელებული ძეგლი, - პირველი, ხელოვნების ერთი (იკონოგრაფიული ხერხებით) და მეორე, ასკეტ ქრისტიანთა წრეში ჩასახული მისტიურ-ალეგორიული ენით, - ქართული დამწერლობისა და მისით «ქართული სახარების» შექმნის მოვლენების «დაფარულ» წარსულსა და მომავალზე მოგვითხრობს (იხ. 102:27-79, 132-135). ამ ძეგლებზე დაფიქსირებული ინფორმაციის ამოცნობამ თავის მხრივ შესაძლებელი გახდა ქართული დამწერლობის შექმნის «საიდუმლოს» ამოსხნაც, სწორედ მათი შემწეობით გახდა ჩვენთვის ცნობილი ის ობიექტური ჭეშმარიტება, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა არის ქრისტიანული ეპოქის სწორპოვარი ქმნილება, ანბანი-კალენდარი, რომელსაც პირობითად «ბილინგვა» შეგვიძლია ვუწოდოთ.

ბესიმ ხუციშვილი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მერაბ კოსტავას პატიმრობის გაუმართაობა დეტალი



საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას შესახებ ბევრი რამ დაწერილია და თქმულია. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მან მთელი შეგნებული ცხოვრება, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღწია. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში ბავშვობა და მანამდე მთელი მისი ცხოვრება, მერაბ კოსტავას პიროვნების ჩამოყალიბებაში ერთად, დიდი როლი ბიძამ, ცნობილმა მხატვარმა და ყოფილმა პოლიტიკარმა გრიგოლ კოსტავამ ითამაშა, რომელიც პოლიტიკური აქტიურობისთვის ციხეში გადასახლებულ იყო. იგი მერაბს ბავშვობიდან აყალიბებდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად. 1946 წელს, მერაბ კოსტავა თბილისის ვაჟთა I-ელ სკოლაში შეიყვანეს. თანატოლებს შორის გამოჩენილი იყო.

IX კლასიდან სწავლა ფაღალავის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში გააგრძელა. ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა. სკოლაში ზედა კლასურ დონის დაუმჯობესებელი და ბავშვობიდან მათი მისია თავისუფლებისათვის ბრძოლა გახდა. რამდენიმე თანატოლთან ერთად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პირველი პარტიულ-არაკომუნისტური ორგანიზაცია "გორაკელი" დაარსდა. 1956 წლის დეკემბრის სუხიან დღეებში თბილისში პროკლამაციები გახდა: "ძირს პირსისხლიანი კომუნისტები, გაუმარჯოს დამოუკიდებელი საქართველოს!" ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელების გამო, საიდუმლო ორგანიზაცია "გორაკელი" წევრები დაიჭირეს. ასე მოხდნენ სკოლის მერხიდან საპროტესტო: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გურამ დონანაშვილი, ვოვა სიხარულიძე, თემურ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, გურამ სხირტლაძე და ანატოლი მიქაძე. მეათეკლასელი მერაბ კოსტავა, ექვსი თვის შემდეგ, ციხიდან როგორც არასრულწლოვანი, პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს. მას შემდეგ უსამართლოდ გადასახლებასა და პატიმრობაში ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წლები გაატარა... ციხე-სجونების ყოფილი უფროსი, ვლადიმერ ტაბაძე მერაბ კოსტავას პირველად საქართველოს ციხეში შეხვდა.

ვლადიმერ ტაბაძე: - მერაბ კოსტავას პირადი საქმის გაცნობამ დამარწმუნა, რომ უმძიმესი პირობების მიუხედავად, იგი განსაცდელს არ შეუშინდა; პირიქით - უსამართლოდ თავს დატყუებულ უბედურებას, წამებას, უღრეკად იტანდა. სამწუხაროა, რომ დღეს აღარ არსებობს მისი პირადი საქმე, რადგანაც ის სუკისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში გაჩენილ ხანძარს შეეწირა, ისევე როგორც ჩვენი ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ბევრი დოკუმენტი. მასხოვს, როცა მისი საქმე ხელში ავიღე და მასალებს დეტალურად გავეცანი, გაოცდით. ის ეტოვია არასოდეს დამოუწყობა. ერთი სქელი ტომი იყო, მაგრამ მოცულობით იმაზე მეტი გახლდათ, ვიდრე 5 პატიმრის ერთად შეკრული საქმე. თითოეულ ფურცელს საგულდაგულოდ გავეცანი. საქმე რამდენიმეკვადრისაა სასამართლოს განაჩენით იწყებოდა, დანარჩენ ფურცლებზე მისთვის გამოცხადებული საყვედურები და საჩივრები იყო აღწუსებული; კარცერებსა და კამერული ტიპის დაწესებულებებში გადაყვანის ბრძანებებით იყო სავსე. ფაქტობრივად, მისი ტანჯვა-წამების დამადასტურებელი სრული მასალა ერთად იყო თავმოყრილი.

1978 წლის 29 მაისს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ა. კობახიძის

თავმჯდომარეობით, სახალხო მსჯელების: ლ. გრიგოლიას, ე. ნარინიძის, პროკურორ გ. უგულავას და ადვოკატების: მ. ალხაიშვილისა და თ. ნიკოლეიშვილის მონაწილეობით, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბრალდების საქმე განიხილა. ისინი 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გაასამართლეს - ანტი-საბჭოური აგიტაციისა და პროპაგანდისთვის და 3-3 წელი მიესაჯათ. ამ სასჯელს დამატებითი სასჯელი - გადასახლება დაემატა. პატიმრობის შემდეგ მერაბ კოსტავა ირკუტსკის ოლქში 2 წელი გადასახლდეს. ასეთი პიროვნებები უშიშროებას სპეციალურ აღრიცხვაზე ჰყავდა, რომ საზოგადოების იზოლირებული ყოფილიყვნენ...

გადასახლებაში, ქალაქ ირკუტსკში, სოფლის კლუბში გამართულ ღონისძიებაზე პროკოვაცია მოუწვევს და ახალი ბრალდება - ხულიგნობა შეუთითნეს. თითქოს ნახვამ მდგომარეობაში მყოფმა მერაბ კოსტავამ ჩხუბი ატეხა, იმ დროს მილიციელმა მას წესრიგისკენ მოუწვია, ის არ დემორჩილა, მილიციელს მისური შემოახია და ხელისკერით ძირს დააგდო. ამ ბრალდებით, 1981 წლის 17 ნოემბერს, ირკუტსკის ოლქში იგი ისევ გადასამართლეს. გადასახლების წლები ახალ სასჯელს დამატა და 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯეს. ქალაქ ანგარსკში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს. იქაც მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ, საზოგადოებასთან კონტაქტი რომ ვერ მოეხერხებინა. აკონტროლებდნენ, წერილები არ გაეზავნა იმ ადამიანებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირში დისიდენტურ საქმიანობას ეწეოდნენ. იმ დროს, მერაბ კოსტავა მეუღლესთან, ქალბატონ რუსუდან ბერიძესთან, ფაქტობრივად, განქორწინებული იყო.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვილისთვის ალიმენტი უნდა გადაეხადა. პატიმარს მუშაობა ევალებოდა. კანონით, ვისაც ალიმენტი ჰქონდა გადასახლდები, ისინი მაღალანაზღაურებად სამუშაოზე უნდა დაესაქმებინათ. როგორც წესი, სამუშაოდ პატიმრები კოლონიის გარეთ გაჰყავდათ, დისიდენტებს კი გარეთ არ უშვებდნენ. მერაბ კოსტავამ ბევრჯერ მოითხოვა დასაქმება, მაგრამ უშედეგოდ. ადმინისტრაცია მას ალტერნატივას სთავაზობდა - სამეურნეო საქმიანობა (კოლონიის დამლაგებლობა) შეესრულებინა. კანალიზაცია და კოლონიის მიწები ბარაკი დღემდე საჯერ უნდა დავსუფთავებინა. მან შეურაცხყოფილი სამუშაოს შესრულებაზე კატეგორიული უარი თქვა. ამის გამო კარცერში მოათავსეს.

- ამას აპროტესტებდა?  
- პირად საქმეში 1984 წლის 12 ნოემბრით დათარიღებული განცხადება იყო, კოლონიის უფროსის და ქალაქ ანგარსკის პროკურორის სახელზე დაწერილი: "დიდი ხანია, ვთხოვეთ, მომავლო სამუშაოზე საწარმოო მონაშთი. თქვენ უკულებლყოფთ ჩემს მოთხოვნას და ყოველგვარი საშუალებით ცდილობთ, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, მაიძულეთ, ვიმუშაო სამეურნეო საქმიანობაში. ვაცხადებ შიმშილს. მანამდე ვიშიმშილებ, სანამ არ დააკმაყოფილებთ ჩემს მოთხოვნებს. ვთხოვთ, მომცეთ საშუალება, ვიმუშაო და ალიმენტის გადახდა შევძლო!"

კოლონიაში მოშიმშილე მერაბ კოსტავას პროკურორი შეხვდა, მაგრამ სამუშაოზე მისინც არ მოაწვევს. 5-წლიანი პატიმრობიდან უდიდესი ნაწილი, კარცერსა და საპროტესტის რეჟიმში გაატარა. ერთხელ იმის გამოც დასაჯეს, რომ კოლონიის მთელი ბარაკში მყოფი ქართველი პატიმარი მოინახულა. სამწუხაროდ, კარცერში უპავერობასა და სინისტრუმი იყოფებოდა და ტუბერკულოზით დაავადდა. უკანონო სასჯელების გამო დიდხანს შიმშილობდა. 18-დღიანმა მშრალმა შიმშილობამ ტუბერკულოზით დაავადებული მერაბ კოსტავას ჯანმრთელობა იმდენად შეარყია, რომ საკინდან

ცოცხალმკვდარი გამოიყვანეს. იმდენად ცუდად იყო, ციხის ადმინისტრაციამ იძულებული გახდა, საავადმყოფოში გადაეყვანა. რომ მომჯობინდა, ისევ უკან დააბრუნეს. იგივე წრე დატრიალდა, დაბრუნებულს ისევ კოლონიის დასახლება მოსთხოვეს, კვლავ უარი განაცხადა. ურჩობისთვის კიდევ კარცერში უკრეს თავი. შინაგანაწესის დარღვევისთვის იმდენი ბრძანება დაიწერა და იმდენჯერ დაედო სასჯელი, რომ 1985 წელს, ურჩობისთვის, კიდევ ერთხელ გაასამართლეს. არადა, გათავისუფლების დრო ახლოვდებოდა. ძველ წლებს კიდევ ერთხელ ახალი სასჯელი (3 წელი) დაემატა და ციხეში მოსახლდები ისევ 4 წელიწადზე მეტი გაუხდა. მოკლედ, კოლონიიდან კოლონიაში გადაჰყავდათ, სულ მოძრაობაში იყო.

- როდის შეიცვალა მის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება?  
- მიხეილ გორბაჩოვის დანიშვნის შემდეგ დისიდენტებს ასე მკაცრად აღარ ექცეოდნენ. ისინი არ ჩერდებოდნენ და საერთაშორისო საზოგადოებას უკანონობებზე ინფორმაციებს აწვდიდნენ, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო. როგორც იქნა, 1986 წლის დეკემბერში, მერაბ კოსტავას სასჯელის მოსახდელად საქართველოში დააბრუნეს. იმ დროს დისიდენტების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა...

№1 იზოლაციის სპეცნაწილის უფროსი ვიყავი, როცა პირველად მერაბ კოსტავას შევხედი. რუსეთიდან ახალი ჩამოყვანილი იყო. განკარგულება მივიღეთ, - ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის გასამართლებულებს შეწყალებაზე განცხადება უნდა დაეწერათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე და შეიწყალებდნენ. როგორც სპეცნაწილის უფროსი, მათთვის ინფორმაციის გაცენა მაევალებოდა. მორიგეს ვთხოვე, ამ ბრალდებით დაკავებული კაბინეტში ამოეყვანა და ოთახში 4 პატიმარს შეეხვდი, მათ შორის მერაბ კოსტავასაც.

- იქნებ ის შეხვედრაც გაიხსენოთ...  
- მასხოვს, კაბინეტში გაჭადარავეული, წვერილშეხვეული, გამხდარი, დრამა მოხუცივით დაუძღვრებული მერაბ კოსტავა შემოვიდა. კარგად არ იყო გამოჯანმრთელებული. ოთახში ბოლთას სკემდა, ნერვიულობა მაშინვე დაეტოვა, რადგანაც ბრაზობდა და უნდობლად მიყურებდა. აშკარა იყო, რომ სასწრაფოდ სურდა, ჩემთან ვიხიტი მისზე გაერკვია. როდესაც ავეხსენი, რომ განცხადება უნდა დაეწერა დარჩენილი სასჯელის პატივზე, ანერვიუვდა, სახეზე წყნა გამოეხატა და პირდაპირ მითხრა: "რა პატივების განცხადება უნდა დაეწერო? უდანაშაულო ადამიანი ვარ, არავითარი დანაშაული არ მაქვს ჩადენილი ერისა და ქვეყნის წინაშე. უნდა ვთხოვო პატივად და რატომ?"

მისი კატეგორიული უარის მიუხედავად, შევეცადე ამეხსნა, რომ განცხადების დაწერა, ფაქტობრივად, მის გათავისუფლებას ნიშნავდა. ჩემმა ამ სიტყვებმა გააღვიძა და საკანში დაბრუნება კატეგორიულად მოითხოვა. მას სხვადასხვა მიზნად და შეწყალებაზე მათაც უარი თქვეს. შეხვედრის შემდეგ ოქმი შევადგინე და შესაბამის ორგანოს გადავეცი. ამ შეხვედრამ ადამიარ სურვილი, რომ დეტალურად გავცნობოდი მის პირად საქმეს. გავოცდი, როცა ეს მასალა ენაცხე. ის მართლაც შეუღლებელი ვნის ცხოვრებას სრულად ახსავდა.

- რა ეწერა მის პირად საქმეში?  
- იქიდან ბევრი საინტერესო დეტალი ამოვიწერე. იცით, პატიმრობის დროს დასჯილი იყო იმისთვისაც, რომ საკანში ერთი ცალი კანფეტი ადმოუწინეს. ვითომდაც რაღაც ნივთს უპოვიდნენ და კარცერში ყოფნის ვადას ასე უხანგრბობდნენ. არადა, თვითონვე უღებდნენ საკანში აკრძალულ ნივთს და მერე ამის გამო სჯიდნენ.

- ქართულ ციხეში ალბათ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, არა?  
- მერაბ კოსტავას ქართულ ციხეში პატივისცემით ექცეოდნენ როგორც თანამშრომლები, ისე - პატიმრებიც. ყველას უყვარდა... იგი ბევრს კითხულობდა. საკანში უამრავი ფილოსოფიური, თეოლოგიური ლიტერატურა ჰქონდა. საპროტესტო ღონისძიებებზე პატიმრებთან, 15-კაციან საკანში იჯდა. მერე ქსნის ტუბზონაში გადაიყვანეს და გათავისუფლებამდე მათე სასჯელს იქ იხდიდა.

როცა ქვეყანა აირია, გადაწყვიტე, მისი პირადი საქმე გადაგვრჩინა და ქსეროასლები გადაგიღო. მართლა ზღვა მასალა გახლდათ, უნიკალური ფაქტებით - ასე რომ, წიგნის გამოცემაც კი შეიძლებოდა. ერთ დღეს საქმე არქივიდან გამოვიტანე და სახლში წავიღე. არ ვიცი, ისე ოპერატიულად ეს ამბავი ვინ ვიციო. შრომა-განწირვის სპეცნაწილის სამმართველოს უფროსმა, ლაჩინოვმა მეორე დღეს მომაკითხა და მითხრა, - კოსტავას პირადი საქმე წაბოგოდა და სასწრაფოდ უფროსს სჭირდებოდა. მისი ქსეროასლები გადაეხვედრათ მოვასწარი, მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტი მქონდა გადაღებული და ისინი შემერჩა. საქმე ლაჩინოვს გადავეცი იმ იმედით, რომ ისევ შევძლებდი ამ საქმის ხელში ჩაგდებას და ასლების გადაღებას, მაგრამ ვერ მოხერხდა.

- რატომ?  
- ამ ფაქტიდან მთორე დღეს, შეგნეკოს ქუჩაზე, ვაშინისტროს არქივს ცვცხლი ვაუწინდა. მერე მერაბ კოსტავას საქმე რომ მოვიძიე, ლაჩინოვმა მითხრა, - სხვა დოკუმენტებთან ერთად, კოსტავას საქმეც დაიწერა. ვინ დაავალა და რატომ წაიღო ეს დოკუმენტები, არ ვიცი. ფაქტია, რომ კოსტავას საქმე განადგურდა. ვერც იმას ვეუბნებ, არქივს ვინმე ცვცხლი შეგნებულად წაუკიდა თუ არა... საყურადღებო იყო 1985 წლის იანვრით დათარიღებული მერაბ კოსტავას დახასიათება. მაშინაც მას კამერული ტიპის საკანში გადასახლანად ამზადდებდნენ და IX კოლონიის რაზმეულის უფროსი წერდა: "გულწაბრობილი და ამპივი, სისტემატურად საზუსტეს გარშემო მოყვებთან შედარებით თავის უპირატესობას. ჩადენილ დანაშაულს უფროსად და მიიწინეს, რომ მას ყველაფერი მოუწყვეს განსხვავებული შეხედულებისა და რწმენის გამო. ამბობს, რომ მის მიმართ დანაშაული პროვოცირებულია. მის ხასიათში ნათლად გამოხატულია ნაციონალიზმის ნიშნები. კითხულობს მხოლოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთაც ნათესავები ამარაგებენ. მეგობრობს მხოლოდ ქართველებთან, კითხულობს ქართულ ლიტერატურას და საუბრობს ქართულად..."

- პირადი საქმიდან გადაღებული ასლები ისევ თქვენთან ინახება?  
- სამწუხაროდ, არა, სულ რამდენიმე გვერდილია შემორჩა. როგორც ვთხარით, მისი პირადი საქმის ნაწილი გადაღებული მქონდა და საუფლდაგულად ვინახავდი, მაგრამ "მერაბ კოსტავას საზოგადოებამ" გამოაცხადა, რომ ეროვნულ გმირზე წიგნი მზადდებოდა და მასალებს აგროვებდნენ. დაქსეროასებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი პატიმარს ციხეში ღამაზად ავაკინძინე, სპეციალური ყდაც დავაშაღებინე და ეს მასალა "მერაბ კოსტავას საზოგადოებას გადავეცი". მერე რომ მოვიძიე, მითხრეს, დიაკარგაო. მინდოდა, გადარჩენილი ასლები მის მუხეუმში ჩამებარებინა. საქმეს ფოტოც ვეთოვდა - მერაბ კოსტავას ეკუთვნის, არამეტყველი კადრი. პირად საქმეზე კი დაკრული იყო თმაგადაპარსული მერაბის უნიკალური ფოტო. ეს ჩვენი ისტორიისთვის მნიშვნელოვანი მასალა იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მითხრეს, რომ ისიც დაიკარგა... ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საოცარი მეგობრობის შესახებ საყოველთაოდ არის ცნობილი. ციხიდან მერაბმა ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა ოჯახს: "ძალიან მძიმედ ვარ, მისის თვეში კარცერი მითავებდა, არ ვიცი, ოდესმე ჩვენი შეხვედრა მოხდება თუ არა". ციხიდან მას მეუღლემ, ქალბატონმა რუსუდანმა ჩააკითხა, რომელსაც ზვიად გამსახურდიაც ახლდა. ნამდვილად არ ვიცი, როგორ იყო მათი შეხვედრა. დარწმუნებული ვარ, ემოციური იქნებოდა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ერთხელ მერაბს დედამისისთვის უთქვამს: "დღეი, არ გეწყინოს, მაგრამ ჯერ უფალი მიყვარს, მერე - ზვიადი, მერე კი შენ მიყვარხარო".

- საქართველოს ციხეში დიდხანს იხდიდა სასჯელს?  
- არა. 1987 წლის აპრილში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დისიდენტული შეიწყალეს. იცით, რა ჩაიწერა მერაბ კოსტავასა და სხვების გათავისუფლების ბრძანებაში? იქ ეწერა: "მერაბ კოსტავამ შეიგნო თავისი დანაშაული, მოინანიდა და დაამტკიცა ეს თავისი კეთილსინდისიერი შრომითა და ყოფილი კეთილი, ამიტომ, უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან". ეს სასაბჭოთაო რეალობა იყო. არადა, მის პირად საქმეში სულ დარღვევებსა და მის "ურჩობაზე" იყო ლაპარაკი. ასე ხდებოდა, ხელისუფლებას როცა სჭირდებოდა და როგორც სჭირდებოდა, ისე იქცეოდა. ფაქტია, გადასახლების შემდეგ, მთელი 6 წელიწადი ტანჯვა-წამებაში გაატარა. მართალია, ფიზიკურად ძალიან დაუძღვრდა, მაგრამ მერაბი სულთერად ვერ გატეხეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, იგი გამსახურდიასთან ერთად, 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა საპროტესტო აქციის ორგანიზატორი გახლდათ... მერაბს სახელმწიფო კონსერვატორია ჰქონდა დამოთავებული. დაპატიმრებამდე რუსთავის მუსიკალური სასწავლებლისა და თბილისის მეღვინეების მაღალნივალის სახელობის შესამე სამუსიკო სკოლის პედაგოგი იყო. ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, მასწავლებლად მის დანიშნაზე ყველა სამუსიკო სკოლა უარს ამბობდა. თბილისის VIII სამუსიკო სკოლის დირექტორმა გმირული ნაბიჯი გადადგა და მერაბ კოსტავა 1988 წლის სექტემბერში მასწავლებლად დანიშნა. როგორც მეგობრების მონათხრობიდან ვიცი, მისი გაკვეთილები მართლა ზეიმი იყო. 1989 წლის მაისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მისი ხელმძღვანელობით კონცერტი დაიკვამა. ამ კონცერტისთვის ბავშვებს მთელი მონდომებით ამზადებდა და თურმე სურბობდა: ჯუმბერ პატიაშვილის დაანახვა ჩემი თავი ფილარმონიის სცენაზე სადირიგორო ჯოხით ხელმო... მერაბთან ჯუმბერ პატიაშვილის შეიდიც სწავლობდა. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ კი დაგვეძლიო კონცერტი მართლა არავის გახსენებია...

1989 წლის 9 აპრილს მიტინგის ორგანიზებისათვის მერაბი კვლავ დააპატიმრეს, 40 დღის შემდეგ კი გაათავისუფლეს. პატიმრობი ამბობდნენ, ციხეში ძალიან დადარდინებული იყო და დატრიალებულ ტრაგედიას საშინლად განიცდიდაო. სამწუხაროდ, ჩვენი ნატანჯი ეროვნული გმირი, ამ ტრაგედიიდან მალე, 1989 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისიდან თბილისში მომავალი, სოფელ ბორითთან (ხარაგაულის რაიონი) ტრაგიკულად დაიღუპა. მთელი საქართველო დასტიროდა; სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს. როცა მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მისვენებდნენ, იქ მიმავალ უამრავ ადამიანს შორის მეც ვიყავი და ვფიქრობდი ამ უსამართლოდ მრავალჯერ დასჯილი, მაგრამ ვაუტეხელი სულის მქონე ქართველი ვაჟკაცის სულიერ სიძლიერეზე...

თეა ხუცილიაშვილი "ზზა"





ბატონო როლანდ უპირველეს ყოვლისა დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენს გაზეთში ჩემი პირველი წერილის - „ცუდად მოსაზრების“ შეუსწორებლად, უცვლელად დაბეჭდვის გამო. ამავე დროს განმეორებით გოგახეხით და, ასე ვთქვათ, ჩემი დაჟინებული თხოვნა-მოთხოვნაა გამოქვეყნდეს თქვენს გაზეთში ჩემი წერილები: „ღია წერილი“, „რეალია“ და „დაფიქრება გემართებს“. გაზეთ „ილორი“ მკითხველი, ალბათ, გამოეხმაურება და თავის აზრს გამოხატავს ამ წერილებში გატარებული ჩემი მოსაზრებების სისწორის, საფუძვლიანობის და სამართლიანობის შესახებ.

დრმა პატივისცემით,

**მურმან სანბულია,**  
ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული.

**ღია წერილი**

მინდა, ყოველგვარი მიკვირების გარეშე, დავიწყო და ვთქვა, რომ გაზეთი „ილორი“ არის ჭეშმარიტად საყვარელი, რა თქმა უნდა, ყველა მათგანისთვის. ვინც მას გაეცნობა, ვინც ღრმად, საფუძვლიანად ჩაუკვირდება მის შინაარსს, მასში გატარებულ ძირითად დედაარსს, რომელიც მიმართულია სამშობლოს, საქართველოს საკეთილდღეოდ, საქართველოს დიდებული მომავლისთვის წაზრუნავად და საბრძოლველად.

გაზეთი რომ მიმზიდველია, ეს ისე უბრალოდ, თავისით არ ხდება, ამისთვის საჭიროა ბევრი რამისთვის უარის თქმა (მხედველობაში მაქვს გართობა, მხიბვლელობა), დაუღალავი შრომა, დამეხების თეთრად გათენება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გაზეთ „ილორი“ რედაქციის ყველა თანამშრომელი ღირსეულად ართმევს თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რისთვისაც, უთუოდ, იმსახურებენ პატივისცემა და სათანადო დაფასებას.

მლიქვნელი არასდროს ვიყავი, დაწვეული ახალგაზრდობიდან, დღემდე, ხანდაზმულობამდე, თუ ვიტყვი: გაზეთი ასეთი კარგი, მოთხოვნილებადი რომ არის ამაში, ბატონო როლანდ, დიდი, დაუფასებელია თქვენი პირადი წვლილი, რისთვისაც დიდი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

გაზეთი „ილორი“ ვაჩვენე ერთ თბილისელ კაცს, ვუთხარი - წაიკითხე, საინტერესოა, სიმართლეს დადასტოვებო. მასაც შეუძენია გაზეთი, გულდასმით წაუკითხავს, დიდად მოსწონებია და მის შემდეგ არც ერთ ნომერს არ სტოვებს წაუკითხავად. თანაც, მადლობის ნიშნად, ყოველ ახალ ნომერს საჩუქრად მიძღვნის ხოლმე.

გაზეთში გამოქვეყნებული ყველა წერილი, სტატია კარგია, აქტუალურია, მაგრამ მე პირადად დიდად მომწონს და გამოვარჩევდი თქვენს წერილებს, რომლებიც პირუთვნელად და ნათლად ასახავენ არსებულ რეალობას, გაზეთი არ ერიდება პირდაპირ კრიტიკას, სამზეოზე გამოაქვს ამა თუ იმ პიროვნების მოღალატეობრივი საქმიანობა თუ უნებელი შეცდომები. თქვენი წერილების წაკითხვის შემდეგ, პირადად მე უდიდეს საამოვნებას განვიცდი, ვმშვიდდები, ვწინარდები, ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ვდგები, რაც, მჯერა, რომ ჩვენს ჯანმრთელობასაც უწყობს ხელს. თქვენი შემოქმედება, თქვენი დეკლარაციები, თქვენი შემართება არის მაგალითი საქართველოსთვის თავდადებისა, თავგანწირვისა, სამშობლოსათვის სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიტანისა, გმირობისა. ყოველივე ამისთვის დამსახურებული მადლობა თქვენ, ბატონო როლანდ. ასევე მინდა ვთქვა, რომ კაცი, რომელიც იმსახურებს სამართლიან კრიტიკას უნდა აკრიტიკო, ხოლო ვინც ქების ღირსია დროულად, სიცოცხლეშივე უნდა აქო და ადიდო. მე ასე მჯერა და ასე მწამს. იცოცხლეთ და იღვგობეთ მრავალკამიერ.

პატივისცემით, **მურმან სანბულია.**

**რეკლიკა**

მე, როგორც გაზეთ „ილორი“ ერთ რიგითი მკითხველი გაკვირვებული დავრჩი თქვენი კატეგორიული უარით ჩემი სამადლობლო წერილის გამოქვეყნების თაობაზე. თქვენი უარი, ჩემი აზრით, ერთის მხრივ გამართლებულია, მეორეს მხრივ არასწორად მიმჩნია. გამართლებულია

იმით, რომ თქვენ თავს არიდებთ, თავმდაბლობას იხენთ და თავს იკავებთ გაზეთისა და პიროვნების საქებარი წერილის გამოქვეყნებისაგან, მაგრამ, მეორეს მხრივ, თქვენ მიერ გამოცხადებული ნება-სურვილი, ჩემი განწყობა გაზეთისადმი. ეს მე მიმანია ჩემი მოქალაქეობრივი უფლებების შელახვად. მე რასაც ვწერ, ხელს ვაწერ. მასხადამე პასუხისმგებელი ვარ დაწერილის სამართლიანობაზე, საფუძვლიანობაზე. მაწუხებს ეჭვი, ხომ არ ფიქრობ, რომ ჩემი წერილის გამოქვეყნებით თქვენ მეტი მტერი, მეტი მოწურნე, მეტი დეარძლის მოხვედელი გაეჩინდებათ?! თუმცა დიდ შოთას უთქვამს „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“.

ჩემი ეს მოკლე რეკლიკა, გამოთქმული ჩემი სამადლობლო წერილის გამოქვეყნების გამო, მინდა დავამთავრო დიდი ვაჟის სიტყვებით: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრინი“.

პატივისცემით, **მურმან სანბულია.**

**დაფიქრება გემართებს**

ყოველივე იმან, რაც ხდებოდა ავად-სახსენებელი, საქართველოს ამოხრებელი, დაშლად მიმდინარეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი ბრძოლის პერიოდში, და სამწუხაროდ, რაც ხდება დღეს, არ შეიძლება არ აღაშფოთოს, ნერვები არ მოუშალოს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს, რომელსაც გააჩნია კარგისა და ცუდის განსჯის, ანალიზის უნარი.

მკითხველი, ალბათ იკითხავს - რა ხდება და რა ხდება დღეს - ახალი ხელისუფლების პირობებში. საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის დღესავით ნათელია, რაც ხდებოდა და რაც ხდება დღეს, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი ზოგიერთი მათგანი მაინც გავიმეორო და შევახსენო.

დასავლეთისა და, ძირითადად, აშშ-ის მიერ მოსყიდულმა და შეგარდნადის მიერ პრეზიდენტად დასმულმა უზნეო, არაკაცმა სააკაშვილმა თუ სააკიანცმა, მთელმა მისმა გუნდმა და ნაციონალურმა, ფეხქვეშ გათელეს საქართველო, დააკინეს და დააბეჩავს ქართველი ხალხი, ღირსება და პატივი ახადეს საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, უცხოელებზე გაყიდეს, უჯიშო გადასთივლებს საჯიჯგანად და სათარეშოდ ჩაუგდეს ხელში ჩვენი დალოცვილი, მადლიანი მიწა-წყალი, ხოლო აღებული გასამრჯელო სამშობლოს, ხალხს კი არ მოახმარეს, არამედ თვითონ უსირცხვილოდ ჩაიჯიჯგეს, მილიონები მისიკაუთრეს, გარყენეს, გაათახსირეს ქვეყანა, ურთიერთ შური, ღალატი, მკვლელობა, უზნეობა გაამყვეს, პასპორტებიდან გააქრეს ეროვნებისა და მამის სახელის გრაფა, დახეიწვეს ქართული ადრე-წინა, ჩვენი სახელოვანი ტრადიციები, ახალგაზრდა თაობას დაავიწყეს ისტორია, არარად მოიხსენიეს საქართველოს ღირსეული მამულიშვილები და ხმამაღლა განაცხადეს - საქართველოს ისტორია დღეიდან, ჩვენი მოღვაწეობის ათვლის წერტილიდან იწყება. როგორ შეიძლება, ეპატიოთ მათ ამდენი უბედურების ჩადენა, მკვლელობათა სერიები, მკვლელობა ქვანიაში, შარაძის, გირგულიანის, რობაქიძის და მრავალი სხვების, პატიმრების წამება, ცოცხებით გაუპატიურება და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ. ავადსახსენებელი „ნაციონალური მოძრაობის“ მთელი გუნდი, მათი უბადრუკი „ბელადის“ სააკიშვილ-საკიანცის მეთაურობით, არიან საქართველოს გამანადგურებელი მოღალატეები და ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ დამსახურებისდა მიხედვით. ასევე დასჯის ღირსია ყველა მათი, ნებისთ თუ უნებლით მხარდამტყენრი, გვერდში მდგომრი, ფულით მოსყიდული, მათი სასარგებლო პროპაგანდისა და აგიტაციის გამტარებელი.

თუ რა ხდება, რა ვითარებაა დღეს, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი მინდა ორიოდე სიტყვით შეგეხოს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს და ამ არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში ბატონ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებას. საქართველოს მოსახლეობა პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე კარგად იცნობდა თუ ვინ იყო ივანიშვილი, რამდენი კეთილი საქმე გაუკეთებია, როგორ ესმარებოდა მშობლიური რაიონისა და სოფლის მოსახლეობას და როცა მან განცხადება

გაკეთა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, ყველა დიდი ნდობით აღიჭურვა მისდამი და მისი უდიდესი ავტორიტეტის წყალობით კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ადვილად მოიპოვა გამარჯვება. ივანიშვილს მარტოს ეყოფა დამსახურება, რომ საქართველოს მოაშორა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსა და ქართველი ხალხის მოღალატე, მათი სისხლისმსმელი წურბელა, უკურნებელი შავი ჭირი - დაშნაკური სულისკვეთებით გაქვნილი და ქართველი ერის მოძულე სააკაშვილ-საკიანცი. თუმცა, საზოგადოებაში გაურკვეველობა და უკმაყოფილება გამოიწვია მისმა ნაქარვემამ წასვლამ ხელისუფლებიდან. როგორც ბევრი სხვა, პირადად მეც ვფიქრობ, რომ მისი გადადგომის მიზეზი გახდა დასავლეთის წნეხი, მუდმივი ზეწოლა - გამხდარიყო მათი სათამაშო, მათი ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელი, როგორც წინა ხელისუფლების დიდერი.

ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს დღეს ფაქტიურად, მართავს ივანიშვილი. „ქართულმა ოცნებამ“, დღევანდელმა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის სასიკეთოდ, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მკურნალობს ლამის უფასო და ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისათვის, მოსწავლეებს უფასოდ ურიგდებათ სახელმძღვანელოები, ბაგაბაღები უფასოდ გახდა და მოხდა კიდევ ბევრი რამ კარგი. მაგრამ, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ხალხი უკმაყოფილოა მთავარი დანაპირების - სამართლიანობის აღდგენის შეუწყნარებლად მდორედ მიმდინარეობის გამო. ხალხს ურჩევნია არ ჭამოს, იშიმშილოს, ოღონდ დასჯილ იქნენ დამნაშავენი, როგორც ეს ერთ ერთ სატელევიზიო გადაცემაში განაცხადა ნანა დევედარიანმა. გაიხსენეთ ძველი რომაული თქმა: „ქვეყანა რომ დაიქცეს, სამართლიანობა მაინც აღდგენილ უნდა იქნას“. ქართველი ერი და ბერი კიდევ უფრო აღაშფოთა ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთხმად მიღებამ, რომელიც, ცხადია, განხორციელდა ევროკავშირის, აშშ-ს რეკომენდაციითა და მუდმივი ზეწოლით. სამართლიანად აღნიშნა პარტიარქმა ილია მეორემ - როგორ შეიძლებოდა ამ კანონის მიღება, ეს ხომ უკანონობის დაკანონებააო. ხალხს აწუხებს ეჭვი, რომ ამ კანონის მიღებას, ალბათ უახლოეს პერიოდში მოჰყვება მამაკაცის მამაკაცთან, დედაკაცის დედაკაცთან ქორწინების დაკანონება. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, კაპიტალისტური სამყარო, აშშ მიმართავდნენ სხვადასხვა თაღლითურ, დამაკინებელ მეთოდებს, რათა ძირი გამოეთხარათ საბჭოთა კავშირის ძლიერებისთვის, დაეუსტრებიინათ და საბოლოო ჯამში დაეშალათ კიდევ მძლავრი სოციალისტური მადღაზნეობრივი საზოგადოება, მაგრამ ეს ვერ შეძლეს სტალინის მმართველობის პერიოდში, სამაგეროდ, ადვილად მოახერხეს მექრთამე, კორუფციის მოყვარული მიხეილ გორბაჩოვის პრეზიდენტობის ვაჟს.

მასხენდება ჩემი მამის, აწ განსვენებული ილია სანბულიას მონათხრობი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ზუგდიდისა და დრანდის ციხის უფროსად. ერთხელ, მიუწვევიათ საბჭოთა კავშირის ციხეების ხელმძღვანელთა შეკრებაზე - სტავროპოლის მხარეში. ქუჩაში მოსიარულეს დაუნახავს გორბაჩოვის კაბინეტიდან (გორბაჩოვი იმ დროს მუშაობდა სტავროპოლის მხარის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად) გამოსული ნაცნობი კაცი, გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულის რესტორნის დირექტორი ნარსია. გაკვირვებულს უკითხავს - გორბაჩოვთან რა საქმე გქონდაო. სტავროპოლის მხარეში რაც რესტორნებია, მათგან ფულს ვაგროვებ და გორბაჩოვთან მიმაქვსო, - უპასუხია ნარსიას. გორბაჩოვის კაბინეტის კარს, მე, ხელით კი არა, ფეხით ვადგე... ნარსიას მამანემისთვის უჩვენებია მიხეილ გორბაჩოვთან და მის ცოლთან ერთად გადაღებული ფოტოსურათები. შემდეგ როცა გორბაჩოვი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ს გენერალური მდივანი, ალბათ იფიქრა, ეს კაცი - ნარსია ხალხში სახელს გამიტყვისო და გამოუზახა დამკრებელი მკვლელები. ამრიგად, საკუთარ ბინაში სიცოცხლეს გამოასაღმეს ნარსია და მისი ცოლი, ბავშვი კი გვერდით ოთახში იმყოფებოდა და ამიტომ გადარჩა.

აი, ასეთი კაცი ედგა სათავეში ქვეყანას და აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა რეიგანმა ადვილად შეხლო მისი სუსტი მხარეების გამოყენება, მისი მოსყიდვა და კიდევაც მიადწია აშშ-ს სანუკვარ ოცნებას - საბჭოთა კავშირის დაშლას.

მოგესხენებათ, სხვებთან ერთად გორბაჩოვის გვერდში ედგა საქართველოს დამაქვევარი გზირი, თანამდებობასა და კარიერაზე უზომოდ შეყვარებული, სკამის შენარჩუნებისთვის ყველაფრის მკადრებელი ედუარდ შევარდნაძე.

ამერიკის ერთ ერთი უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ დოდონა კიხირიას კეთიხება ჟურნალისტი: „შევარდნაძის ნათლობის სახელით გიორგია, მის ვაჟიშვილს პაატა ჰქვია, როგორ ფიქრობთ, შევარდნაძე თავის შვილს პაატას გაწირავს სამშობლოსათვის, როგორც გიორგი სააკაძემ თავისი შვილი პაატაო“?

კიხირიას უპასუხნია: ედუარდ შევარდნაძე თავის შვილს პაატას სამშობლოსათვის ნამდვილად არ გასწირავს, მაგრამ თანამდებობის, სკამის შენარჩუნებისთვის კი უთუოდ გაიმეტებსო. შევარდნაძის კიხირიასეული შეფასება სავესებით სწორია, მაგრამ საკითხავია - თვითონ დოდონა კიხირია რით მოხიბლეს ასე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა ლიდერმა, რომ თავგამეტებით იცავს მათ?! ამ კითხვას ღირსეული პასუხი მაცნა თავის ღია წერილში დოდონა კიხირიასადმი ბატონმა როლანდ ჯალაღანიამ, რომელშიც სამართლიანად გაშფერა და სამზეოზე გამოიტანა მისი ავკარგი საქმეები.

ედუარდ შევარდნაძემ მოღალატურად ჩააბარა მტერს აფხაზეთი, ცხინვალი, განაირადა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ბიჭები, სოხუმის დაცემის წინადაცხად კი გამოაცხადა - სამშვიდობო ზავს ხელი მოვაწერეთ და სწავლა ყველგან უნდა განახლდესო. ჩემი ბიჭები სტუდენტები იყვნენ და წავიდნენ ინსტიტუტში სასწავლებლად. სწორედ იმ დღეს განახლდა ომი, გზებზე გავლა შეუძლებელი იყო და ჩემმა ბიჭებმა სოხუმიდან დრანდამდე ტყე-ტყე, ყანა-ყანა, მალულად სიარულით ძლივს გამოაღწიეს ცოცხლებმა სახლამდე. აი, ასეთი სამშობლოს გამოყიდველი, ფლიდი, მტყუარა კაცი ედგა სათავეში ჩვენს ქვეყანას და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან რომ საკადრისად არც კი დასჯილა, რაც უთუოდ დიდი უსამართლობაა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პირდაპირ განაცხადა - უკრაინა და საქართველო ნატო-ს გზაზე არ დგანანო. მაშ რატომ ვიტყვებთ თავს, ბრმად რატომ მივიღებთ იქითკენ, სადაც არავინ გველოდება?! ეს გზა ხომ არარეალურია, განუხორციელებელია მანამ, სანამ საქართველოს მტკიცებულებები ტერიტორიული პრობლემები გააჩნია. როგორც ამოცდილი ექსპერტები, პოლიტოლოგები აცხადებენ, არც ევროკავშირს აქვს მომავალი, საბოლოოდ ისიც მალე დაიშლებაო. ჩვენი აზრით, უკეთესია, რაც კარგია, სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისთვის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, გადმოვიტანოთ და დავნერგოთ ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში, ხოლო რაც ცუდია და მიუღებელი - უკუვაგლოთ, უარყოთ.

საზოგადოების დიდ ნაწილს მიანია, რომ საჭირო და აუცილებელია რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება, მათთან ურთიერთობის გაფართოება-გადრმავეება. რაც არ უნდა იყოს, რუსეთი და საქართველო ხომ ერთმორწმუნე ქვეყნებია, ფიზიკური განადგურებისგანაც ბევრჯერ გადაკურნებიაო. არავინ ამბობს, რომ რუსეთი მამა აბრამის ბატკანია, მაგრამ ორი ბოროტებიდან ნაკლები ბოროტების არჩევა უფრო მისაღები მგონია.

ხელისუფლებას, ქართველ ხალხს, თითოეულ ჩვენთაგანს, ყოველივე ამაზე უთუოდ გემართებს ღრმად დაფიქრება.

**მურმან სანბულია**

# ვინ იყო სურამელი კაცი, ვისაც სიკვდილი კენჭისქრით ერბო



ოპერაცია  
"შავი პრილიანტი"

კომკავშირის ხაშურის რაიკომში ჩვეულებრივი, რიგითი სამუშაო დღე მთავრდებოდა, როდესაც პირველი მდივნის კაბინეტში უშიშროების ხაშურის განყოფილების უფროსი, კუკური ციტიშვილი შევიდა და სულ ათიოდე წუთი დაჰყო მდივანთან. მისი წასვლის შემდეგ კი, იმავე კაბინეტში საორგანიზაციო საქმეთა განყოფილების უფროსი, ოთარ ხაჩიძე იხმეს. – ხვალ, დილის 8 საათზე, ჩვენი აქტივისტი ათი კაცი მაინც, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკასთან უნდა იყოს, – მიიღო მან დავალება. რისთვის და რატომ, ეს არ იცოდა არც მდივანმა და მით უმეტეს, არც – საორგანიზაციო განყოფილების გამგემ. როგორც შემდეგ გაირკვა, არც ხაშურის სშპ-ის შეფმა იცოდა, რისთვის იყვნენ საჭირო აქტივისტები. ოპერაცია, რომელზეც ქვემოთ მოვითხრობთ, ძალზე მაღალ ინსტანციებში, საქართველოს გარეთ დაიგეგმა, გრიფი "სრულიად საიდუმლო" დაედო და მისი ძირითადი არსის შესახებ ალბათ ორმა-სამმა კაცმა თუ იცოდა.

კომკავშირელები დილის 7 საათზე, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკასთან შეიკრიბნენ. რამდენიმე წუთში ფაბრიკასთან ოთხი "იკარუსი" მარკის ავტობუსი გაჩერდა. კომკავშირელები სწრაფად აიყვანეს ავტობუსებში და მილიანად შეიარაღებული ჯარისკაცების გარემოცვაში აღმოჩნდნენ. ავტობუსები სწრაფად დაიძრნენ, ხაშურს გასცდნენ და გეზი სურამისკენ აიღეს. სურამის ე.წ. გადასასვლელ ხიდთან ორი "იკარუსი" მადლიდან, ე.წ. "ახალი გზიდან" შევიდა დაბაში, ორმა კი სურამში – ციხის გადასახვევთან დაამუხრუჭა.

ავტობუსებიდან ისეთი სისწრაფით გადმოვიდნენ ჯარისკაცები და ისე სწრაფად დაიკავეს ებრაელებით დასახლებული უბნის ყველა მისასვლელი თუ პატარა ჩიხი, რომ როგორც ჩანდა, რუკები თუ გეზ-მანევრებლები წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი და რეპერტივაც – გავლილი. სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა და უბანი მილიანად ჩაიკეტა. საინტერესო დეტალი: უბანში შესვლის მსურველებს, ოპერაციის მსვლელობისას, დაუბრკოლებლად შეეძლოთ გადაეღებინათ ჯარისკაცების კორდონი თუ პოსტები და ნებისმიერ სახლში შესულიყვნენ; აი, გამოსვლით კი ძესორციელი ვერ გამოაღწევდა იქიდან. რაც შეეხება ჯარისკაცებს, ისინი თბილისში დისლოცირებულნი, მე-8 პოლკის მოსამსახურენი იყვნენ. ეს პოლკი კი, მოგეხსენებათ, "კაგებეს" დაქვემდებარებაში იყო. ე.წ. "აბლაკა" ამ უბანში არაერთხელ

მომხდარა, მაგრამ როგორც წესი, ასე ვთქვათ, საჩვენებელ ხასიათს ატარებდა იმის სადემონსტრაციოდ, რომ ვითომდა მაშინდელი ხელისუფლება სპეკულაციას ებრძოდა. სინამდვილეში კი ამ გზით შემოსული თანხის უდიდესი ნაწილი სწორედ ხელისუფლების უმაღლესი ეშვლონების მსხვილი ჩინოვნიკების ჯიბეებში იღებებოდა. ორივე მხარე – ერთი მხრივ, ხელისუფლება, მეორე მხრივ კი, ებრაელთა სათემო, მკაცრად იცავდა დადგენილ წესებს. ყოველთვიურად მოლაპარაკებული და დადგენილი "სტაგვა" საჭირო მისამართზე მიდიოდა.

ამიტომაც იყო, რომ ჩვეულებრივი "რიგითი აბლაკების" შესახებ წინასწარ იცოდა ყველამ და უბანიც, ასე ვთქვათ, მომზადებული ხვდებოდა "ხიფათს". ეს ოპერაცია კი, გასაიდუმლოებული იყო და მის შესახებ ალბათ მხოლოდ საქართველოს სშპ-ის მაშინდელმა შეფმა და მისმა ერთი-ორმა მოადგილემ იცოდა.

მაშ, ასე, ოპერაციის პირველი ნაწილი წარმატებით განხორციელდა. ვერც ერთმა ოჯახმა, ვერც ერთმა კაცმა ვერაფრის

გადამაღლა თუ კონსპირირება ვერ მოასწრო. პირდაპირ ხელისუფლებზე გადაშლილი დახვდათ ყველაფერი. საინტერესოა, რომ მთავარი "დარტემა" დაახლოებით 10-15 ოჯახზე განხორციელდა, სადაც ტოტალური ჩხრეკა დაიწყო. უბნის დანარჩენი მოსახლეობის ბინებში კი, შედარებით "მსუბუქი" დათვალიერებები ხდებოდა. ძირითადი და საქმეში გააწვდილი ძალები სწორედ იმ ოჯახებში შეიჭრა. როგორც გამონდა, მათ შესანიშნავად იცოდნენ კონკრეტული მისამართები და ყოველგვარი კითხვების გარეშე შევარდნენ ამ სახლებში. ყველაფერს ჩხრეკდნენ – სხეულებს, სარდაფებს, საკუჭნაოებს, ტუალეტებსაც კი. ბევრგან იატაკის ფიცრებიც კი აყარეს.

კედლებშიც ეძებდნენ საიდუმლო საცავებს. თითოეულ სახლში მინიმუმ ხუთი კაცი დაძრწოდა და თავდაყირა აყენებდა ყველაფერს. რაც შეეხება კომკავშირელებს, ისინი ბინებს არც გააკარეს. მათ თავიდანვე მკაცრად აუკრძალეს ვინმესთან კონტაქტი და ჩხრეკის დასრულებამდე ქუჩაში აცდვივნენ. ბოლოს კი, რაღაც ფურცლებზე მოაწერინეს ხელი.

ჩვენ რამდენიმე მათგანი მოვიძიეთ. დღემდე არც იციან, რაზე მოაწერეს ხელი. როგორც ჩანს, "კაგებეს" დავალებული ჰქონდა, ამ ყველაფრისთვის ოფიციალური სახე მიეცა და გარკვეული ოქმები ამისთვის შედგა, თუმცა შემდეგ ეს ოქმები თვითონ აღარავის უნახავს. არადა, თვითმხილველთა გადმოცემით, სახლებიდან უმრავლი რამ გამოვიდეს. იმდენი უცხოური საქონელი დაგროვდა, რომ წინასწარ მომზადებული სპეციალური ტომრები საკმარისი არ აღმოჩნდა და მათ პირდაპირ ყრიდნენ ავტომობილებში. ასევე დაიღუპა ძალიან დიდი რაოდენობით მსხვილი ასი-გნაცობები, ძვირფასეულობა და ოქრო. საერთო ჯამში, ასეველათასობით მანეთის საქონელსა და ძვირფასეულობას მიაგნეს.

დღეს შეუძლებელია კონკრეტული ციფრის დადგენა, რადგან "კაგებეს" არქივები ამის შესახებ არაფერს იუწყება და რომც შეძლოს კაცმა ამ არქივების ჩხრეკა, ვეჭვობთ, რამეს მიაგნოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შემდგომი ოქმები არც არქივისთვის იყო გამოიწვრილი და არც სასამართლოებისთვის. თუ დღევანდელ კურსს შევუსაბამებთ, მაშინდელი ასეულათასები დღეს უკვე მილიონებია და მაშინდელი კორუფციის ჭაობში ჩაფლული რომელი ჩინოვნიკი გაუშვებდა ხელიდან ასეთ ლუკმას?! მით უმეტეს, რომ არც გამკითხავი იყო ვინმე. რომელი ინსტანცია გაუბედავდა და მოსკოვში "კაგებეს" გენერლებს ჩხრეკისას ამოღებულ ძვირფასეულობას მოსთხოვდა?

მაინც რა იყო ასეთი საიდუმლო ოპერაციის მიზეზი? რა მოხდა ისეთი, რამაც დაარღვია მაშინდელი ერთგვარი შინაგანაწესი – "მე ვიხდი იმაში, რომ შენ არ დაინახო", რასაც ვაკეთებ". როგორც ჩანს, საქმე იმაზე შორს წავიდა, ვიდრე ჩვეულებრივი ვაჭრობა ან, როგორც სოციალისტური კანონები ითვალისწინებდა, სპეკულაცია იყო და ისეთი ნივთი (თუ ნივთები) წამოტივტივდა, რომელიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სქემაში ჯდებოდა. ამიტომაც ჩაერთო საქმეში "კაგებე", ხოლო მილიცია გვერდზე გააჩნა.

მაშ, ასე! რა მოხდა სურამში 1984 წლის 19 მაისს?

## ვერსია პირველი

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრული. საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს, ლეონიდ ბრეჟნევს ასაკი ისე მოეძალა და ისე დაუძლურდა, რომ არათუ ქვეყნის მართვა, არამედ რამდენიმე სიტყვის გადაბმაც კი უჭირდა. ერთ დროს ძველამოსილი მდივანი მოსიარულე საფრთხობელად იქცა და ქვეყანას, ფაქტობრივად, სხვა ვეშაპები მართავდნენ. მისმა ნებურა ქალიშვილმაც საბოლოოდ აიწვია. გალინა ბრეჟნევა არც მანამდე იკლებდა არაფერს და კრიმინალურ სიტუაციაშიც ბევრჯერ მოხვდა. ხოლო 70-იანი წლების ბოლოს, საერთოდ გავიდა თავს. იმის გარდა, რომ იგი გენსეკის შვილი იყო, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ჩურბანოვის მეუღლეც გახლდათ. ვინ რას გაუბედავდა? გალინისკაცს ორი პათოლოგია სჭირდა – ალკოჰოლის უზომო მოხმარება და მთავარი გადახრა – ბრილიანტების მანიაკალური სიყვარული. სამედიცინო ენაზე პირველს ალკოჰოლიზმი ჰქვია, მეორეს არც აქვს სახელი. თუმცა მას ჰქონდა მესამე "გადახრაც" – საყვარლებს მუდამ ცირკის მსახიობებს შორის ირჩევდა. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ასეთები იყვნენ ექვილიბრისტი ევგენი მილიაევი და ბოშური წარმოშობის ბორის ბურიაცი. ამ უკანასკნელთან ერთად გალინამ მთელი რიგი "საგამირო საქმეები" ჩაიდინა. მწვერვალი კი ე.წ. "ბალერინის საქმე" გახლდათ.

70-იანი წლების ბოლოს, მაშინდელ ლენინგრადში სკანდალური ძარცვა მოხდა – მოიპარეს ცნობილი პრიმა-ბალერინის ბრილიანტების კოლექცია, რომელსაც სამუხეუმო დანიშნულება ჰქონდა. ძარცვამ ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ ძიებაში მძებნა ჩაერთო. საქმე გაიხსნა და კვლავ დავალებით განახორციელა ბორის ბურიაციმა ეს ძარცვა. ბრილიანტები მფლობელს დაუბრუნდა, თუმცა – არასრულად: კოლექციიდან გამქრალიყო მისი მშვენიერა – შავი ბრილიანტი, რომლის საბაზრო ფასი რამდენჯერმე აღემატებოდა კოლექციის დანარჩენი ნაწილის ფასს. საქმე მილიონებს ეხებოდა. შავი ბრილიანტი მართლაც იშვიათობა იყო. ზომით 40 კარატს აღწევდა და კლასიკური 57 წახნაგით მარკიზას ფორმის გახლდათ (მარკიზად იწოდება ოვალური ბრილიანტი, ორი წვეტიანი კუთხით).

შავი ბრილიანტი, სხვათა შორის, დღემდე არ არის ნაპოვნი – მისი კვალი გაქრა. თუმცა 1993 წელს, დიმა იაკოვლევიმა შურნალისტური გამოძიება ჩაატარა და გამოაქვეყნა კიდევ გახეთქილი "არგუმენტი ი ფაქტი", რომ ამ შავი ბრილიანტის კვალი 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, კერძოდ კი, სურამში გამოჩნდა. მართლაც საინტერესო ფაქტია. ჩვენი ერთ-ერთი ვერსიაც სწორედ ამიტომ უკავშირდება შავ ბრილიანტს. რატომ არ შეიძლება, ამ ვერსიას არსებობის უფლება ჰქონდეს? შესაძლოა, სწორედ "მარკიზას" უკავშირდებოდა ის საიდუმლო ოპერაცია?

## ვერსია მეორე

ამ ვერსიას თვითონ სურამში უფრო მეტი მომხრე ჰყავს და არ არის გამორ-

იცხული, უფრო ახლოს იყოს სინამდვილესთან.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს "შავი ბაზარი" (თუმცა, არც საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქები იყო გამოწვლილი) წალეკა იმპორტულმა საქონელმა, ე.წ. "შოტკებმა", რომელიც სრულებითაც არ იყო იმპორტული. ნათელი გახდა, რომ ფარულად მოქმედებდა იატაკქვეშა საამქროები, სადაც ძალზე მაღალი ხარისხის ტანსაცმელი იკერებოდა და, რაც მთავარია, არავინ იცოდა, საიდან და რა გზით, უცხოეთიდან შემოსული ცნობილი ბრენდების იარაღები ერთვოდა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ასეთი საამქროები ახალციხეში, ქუთაისსა და თბილისში არსებობდა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით კი, ყველაზე დიდი – ოდესაში იყო. ქსელი ისეთი მასშტაბური გახლდათ, რომ "კაგებეს" თვალთახედვის არეში მოექცა. სუკოსთვის განსაკუთრებულ ინტერესს საზღვარგარეთთან კონტაქტი წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ დაიგეგმა ის საიდუმლო ოპერაცია.

## გვირგობის ტოლფასი სიკვდილი

სურამის საიდუმლო ოპერაცია 3 საათში დასრულდა. ყველას გასაკვირად, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი "მამხილებელი" ფაქტი დაგროვდა, ოპერაციის წვერებმა ისე დატოვეს სურამი, არავინ დაუკავებიათ. საბჭოთა რეჟიმში გამობრძმედილ ებრაელთა სათემოს კარგად ესმოდა, რომ ასე "თოლად" საქმე არ დამთავრდებოდა და ეს ფაქტი ბევრს შეიწირავდა. სიტუაცია უბანში უკიდურესად იყო დაძაბული. ნებისმიერ საქმეში მონაწილის დაკავება და სშპ-ის ჯურდმულეობა ჩაგდება თავისთავად ნიშნავდა, რომ რაოდენობა გაიზარდებოდა და შესაძლებელი იყო, ათეულობით კაცი მოხვედრილიყო იმ ჯოჯოხეთში. ყველაფერი კი ერთმა კაცმა განმუხტა – ადგილობრივმა მცხოვრებმა ნამთალ გაგულაშვილმა, რომელმაც თავი მოიკლა და ამ სიკვდილით ბევრი თანამემამულე იხსნა. ეს იყო მართლაც გვირგობის ტოლფასი სიკვდილი. ამ სიკვდილით განტოვების ვაცი ნაპოვნი იქნა და მთელი საქმეც (რა თქმა უნდა, ეს უნაგაროდ არ მოხდებოდა) ერთ კაცზე შეიკრა.

დღეს სურამში მცხოვრებნი იმასაც ამბობენ, რომ ამ ტრაგედიის წინ კენჭისყრა ჩატარდა და განტოვების ვაცის როლი ნამთალ გაგულაშვილს ერგო. თუმცა ეს სრულებითაც არ აკნინებს ამ ღირსეული პიროვნების საოცარ საქციელს. პირიქით, ეს მართლაც ჰოლივუდური სცენა უფრო ამაღლებს მასაც და კენჭისყრის ყველა მონაწილესაც.

წარმოვიდგენიათ, როგორი ვაჟაკობაა, როდესაც ათ, ოც თუ ოცდაათ პიროვნებას შორის კენჭი იყრება და ერთ-ერთი მათგანი დანარჩენთა სიცოცხლეს ეწირება? ამ "ერთმა" უდრტყინევილად მიიღო ეს "განაჩენი". სხვათა შორის, დღესაც, როდესაც იმ თაობის სურამელ ებრაელთა აბსოლუტური უმრავლესობა ისრაელშია, როგორც გვითხრეს, ფაქტობრივად, არ არსებობს სუფრა, სადაც ფეხზე აღვამით არ გაიხსენებენ ამ კაცის დამსახურებას და ღირსეულ პატივს არ მიაგებენ მის ხსოვნას.

P.S. აქ მოთხრობილ ამბავს არ აქვს სრულყოფილი შურნალისტური გამოძიების პრეტენზია, რადგან თითქმის შეუძლებელია, 30 წლის წინ მომხდარი საქმის შესახებ დეტალური ფაქტებისა თუ მტკიცებულებების უცვლელად მოძიება. არც იმის თქმა შეგვიძლია, რომ აქ გადმოცემული ყველა ფაქტი უტყუარი და ფარმაცევტული სიზუსტისაა. ამიტომაც, თუ ვინმე დამატებით დეტალს გაიხსენებს აქ მოთხრობილ ფაქტთან დაკავშირებით, დიდი სიამოვნებით დავეუბნებთ პრესის ფურცლებს.

ლ. გოგოლაძე, სურამი

რუსი სასულიერო პირი, რომელიც საქართველოსთვის ლოცულობდა - მის საფლავზე მომლოცველთა ნაკადი დღემდე არ წყდება



მარჯანიშვილის ქუჩაზე, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის ეზოში, ტაძრის უკანა მხარეს, ალბათ შეგვიმჩნევია, რომ ყოველთვის ხალხმრავლობაა, ადამიანები მამა ვიტალის (სიღორენოს) საფლავთან მიდიან, სანთლებს ანთებენ, ლოცულობენ და მამა ვიტალის შემწობას სთხოვენ, რომელმაც სიცოცხლეში დაიბარა: "მოდით ჩემს საფლავთან, თქვენს გასაჭირზე, როგორც ცოცხალს მომიყვებით და დაგეხმარებით". ამიტომაც არის, რომ ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში, მის საფლავთან, არ წყდება მომლოცველთა ნაკადი. როგორც ამბობენ, ზოგიერთს გამოსცხადებია კიდევ და ნუგეშიც უცია... აღნიშნულ ადგილზე მისული მორწმუნეებისგან საოცარ ამბავსა თუ ისტორიას მოისმენ, რომ მამა ვიტალი მათ პრობლემების დაძლევაში ეხმარება, შემწობას უწევს. ისინიც მუდმივად სტუმრობენ და საკუთარ გასაჭირზე ესაუბრებიან... ჰოდა, ამიტომაც იქ მისულები მუხლმორეები ლოცულობენ...

მამა ვიტალის ცხოვრების ბაზა

1992 წელს, თბილისში, სამოქალაქო ომის დროს, ერთი სქემარქიმანდრიტი დიდ დედაწამს იყო: დღეებს მღუმარებასა და ლოცვაში ატარებდა, წყალსა და პურზე გადადიოდა, უამრავ სანთელს ანთებდა, ცივ ქვაზე მუხლმორეილი ლოცულობდა და საქართველოს ავედრებდა, უფალს სიმშვიდეს შესთხოვდა. ეროვნებით რუსი იყო, მაგრამ ძალიან უყვარდა ქვეყანა, რომელშიც მსახურებდა...

ვიტალი სიღორენოსი კრასნოდარის მხარეში 1928 წელს დაიბადა. როდესაც დედა (შემდგომში - მონაზონი), მასზე ფეხმძიმედ იყო, უფალს ევედრებოდა: "ღმერთო, ისეთი შვილი მომეცი, შენც სათნო გვეყოს და ხალხსაც". რომ დაიბადა, მერვე დღეს, ტაძარში მიიყვანეს. მოძღვარმა, წესისამებრ, საკურთხეველში შეიყვანა. ჩვილისგან თურმე საოცარი მადლი გადმოვიდა. გაცივებულმა მოძღვარმა ბავშვი წმიდა ტრაპეზზე დააწვინა, მერე კი მშობლებს უთხრა, - დიდი ადამიანი გახდებოდა... ხორცის ჭამა ჯერ კიდევ ჩვილს აუკრძალავს, ოთხშაბათ-პარასკევს რძესაც არ აკარებდა პირს. კითხვა რომ უსწავლია, მისი საყვარელი წიგნი სახარება იყო. ზარების რეკვას რომ გაიგონებდა, ტაძრისკენ გარბოდა.

მეშვიდე კლასში ვიტალი სიღორენოსათვის ნეკრასოვის "რკინიგზის" წაკითხვა უთხოვიათ, მას ასე წაუკითხავს: "სამყაროს მართავს მეფე დაუნდობელი...". მის რელიგიურ "დანაშაულს" პოლიტიკური მიზეზი და სკოლიდან გარიცხვს. 16 წლის ვიტალიმ საბჭოთა კავშირის პასპორტი დახია, რადგან ბერობის სურვილი ჰქონდა... ერთი პერიოდი წმიდა სერვის ლავრაში ცხოვრობდა, მაგრამ იქ მისი უსაბუთოდ განხრევა აღარ შეიძლება, ამიტომ გლინის უდაბნოში წასვლა ურჩიეს, სადაც დიდი მამები მოღვაწეობდნენ. მათგან ვიტალიმ სიმდაბლე, მორჩილება, ღვთისა და მოყვანის სიყვარული ისწავლა. მალე მისი იქ დამალვა შეუძლებელი გახდა და მოძღვრის კურთხევით, ტაგანროგში გადავიდა, სადაც მორწმუნეები შემოიკრიბა. მათთან ერთად ფეხით მოილოცა რუსეთის სიწმინდეები. ხშირად იტყვოდნენ, სცემდნენ, შეურაცხყოფდნენ. იმ საშინელ ყოფაში ტუბერკულოზიც დაემართა. თურმე საავადმყოფოში ღამე იქ მყოფი მძიმე ავადმყოფებისთვის ლოცულობდა. სასწაულის წყალობით, მამის ვიტალი გადარჩა.

კომუნისტური რეჟიმისგან მოსალოდნელი იყო, რომ გლინის უდაბნო დახურულიყო, ამიტომ მამებმა ვიტალი ბერად აღკვეცეს და აფხაზეთის მთებში გაუშვეს. იმ პერიოდში იქ ბევრი ბერი მოღვაწეობდა. სულიერ ძმებს შეუყვარდათ ვიტალი და მასაც უყვარდა ისინი. ისეთ სიმდაბლეს

მიღწეა. ყველაფრისთვის უდრსად მიანდათაფი, ამიტომ საჭმელს, სასმელს, საწოლს, სამოსს ყველაზე უბრალოს ეტანებოდა... 1969 წელს მთებში უკვე სახიფათო იყო მისი დარჩენა - მაშინდელმა მილიციამ რამდენჯერმე დაარბია იქაურობა. ბერებმა აკურთხეს მამა ვიტალი და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, სადაც იმხანად მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა მოღვაწეობდა (მისი აღკვეცილია ბერად უწმიდესი და უნეტარესი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II). ვიტალიმ ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაიწყო მსახურება. 1976 წელს მღვდლად აკურთხეს... მერე დიდუბეში, ერთ პატარა ქოხში დასახლდა. მიტროპოლიტ ზინობის კურთხევით, მისი სახლი მონასტრად იქცა.

თურმე ძალზე ჰყვარებია მამა ვიტალის ქართული ღვთისმსახურება, გალობა, დიდად აფასებდა ქართველ წმინდანებს. უხაროდა საქართველოში რწმენის აღორძინება, "რუსეთს კი სძინავს!" - სინანულით ამბობდა. მისთვის საქართველო ყოველთვის "წმინდა ივერია" იყო. ომი 30 წლით ადრე იწინასწარმეტყველა. მეტისმეტად განიცდიდა ამ მძათეკვლელ საშინელებას, წუხდა ქართველების შინაომის გამო. თბილისს ყოველ საათს ოთხი კუთხივ აკურთხებდა და უფალს მის დაცვას ევედრებოდა.

ჯერ კიდევ აფხაზეთის ომამდე, რამდენიმე წლით ადრე, ყველას აფრთხილებდა: "იქნება მიწაზე საშინელი სისხლისღვრა, მძათე კელა, შიმშილი. ნუ გადავადებთ საჭმელს, რადგან მამის ნარჩენებითაც კმაყოფილი იქნებით. შეიცანით საკუთარი თავი და გაიგეთ, რომ რაც სამყაროში ხდება, ჩვენი ბრალია, ჩვენი ცოდვებისა". საქართველოდან წასვლის კურთხევისთვის რომ მივიდოდნენ მასთან, უარს ეუბნებოდა: "არ არის ეს ღვთის ნება! თქვენს ადგილას უნდა იდგეთ და ღმერთი თვითონ მოვა თქვენთან".

მასთან ნუგეშის მისაღებად მთელი ქვეყნიდან მოდიოდნენ. მოძღვართან შესვლისას ლოცულობდნენ და კურთხევას სთხოვდნენ, ის კი პასუხად მუხლს მოიდრეკდა მლოცველის წინაშე, ხელზე გამბორებოდა და კურთხევას იქით სთხოვდა. ცხოვრებაზე მოწუწუნებს ანუგეშებდა: "ამქვეყნად არაფერია რთული. თუ ადამიანები გეყვარება და გულწრფელად

ეცდები მათ დახმარებას, ცხოვრება გაგიოლდება".

ძალზე მკაცრი იყო მათ მიმართ, ვინც სასულიერო პირებს განიკითხავდა: როცა მღვდელი მსახურებას ალაგუნს, ის ცეცხლის ალს ჰგავს. საკუთარი თავის დანახვა რომ შეეძლოს, ამხელა პატივისთავადვე შეეშინებოდა;

როდესაც დადგა მისი ამქვეყნიდან გასვლის ჟამი, ვინაიდან ავადმყოფობდა, სულიერ შვილებს დაუბარა, მუდამ უწმინდესი გვერდით მდგარიყვენ. 1992 წლის 1 დეკემბერს აღესრულა. მიცვალებულს წესი უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აუგო. როცა მამა ვიტალისთვის მიტვეების ფურცელი უნდა ჩაედოთ ხელში, ყველამ დაინახა, როგორ გაშალა ხელი გარდაცვლილმა, ფურცლის ნაღების შემდეგ კი ისევ მომუშა "მონაზონთა ცრემლღვთის გამო კუბოდან ხელს გამოვიწვიო", - გაახსენდათ დედებს მამა ვიტალის ნათქვამი.

1992 წლის 5 დეკემბერს მისი უწმინდესობის კურთხევით, მამა ვიტალი წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში დაკრძალეს. წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ადარსულებდა, რომელმაც ქადაგებაში ბრძანა:

"დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ უდიდეს ხუცესს, სქემარქიმანდრიტ ვიტალის. ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონდა, იცის, რაოდენ წმიდა იყო ამ გასაოცარი ბერის ცხოვრება..."

ვაცილებთ მას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მამა ვიტალი მარადეამს ჩვენთანაა და იმისათვის, რომ ყველას ყოველდღიურად გვქონდეს სულიერი ნუგეში, გადავწყვიტეთ, იგი წმიდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში დავეკრძალოთ. ეს ყველას მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ხშირად მივიდეთ მასთან, მივილოთ მისი კურთხევა. ისევე, როგორც სიცოცხლეში, იგი ყოველთვის დაგვეხმარება ჩვენ. უფალმა დააწესოს მისი სული მართალთა სანახებში. გვახსოვდეს, რომ ეს ერთ-ერთი იმ ხუცესთაგანია, რომლებიც განსაცდელის ჟამს სიყვარულით მიიღო ყოველწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრმა ღვთიეკურთხეულმა ივერიაში..."

მოამზადა ლალი შანიანი

ვინ შეასრულებს ზვინად გამსახურდიას როლს?



ცოტა ხნის წინ ქართველი რეჟისორები ზაზა ურუშაძე და გიორგი ოვაშივილი კინომოყვარულთა ყურადღების ცენტრში მოექცნენ. მათ შეძლეს და გაარღვიეს თითქოსდა ჩაკეტილი სივრცე და ევროპაში პრესტიჟული პრიზის ნომინატები გახდნენ. საქართველოში ეს წარმატება იმით აღინიშნა, რომ ორივეს ხელოვნების ქურუმის წოდება მიანიჭეს.

არ ვიცი, რეჟისორი გიორგი ოვაშივილი ოდესმე იფიქრებდა თუ არა, რომ საქართველოს ხელოვნების ქურუმი გახდებოდა... თუმცა დაბეჯითებით იცის, რომ უნდა ქართველი რეჟისორი იყოს, საქართველოსთვის გადაიღოს და საქართველოს სახელით წარდგას უცხოელი მაყურებლის წინაშე, რაც გადაუღალავ პრობლემად რჩება...

გიორგი ოვაშივილი ახალი ფილმის გადაღებას აპირებს. ფილმს "ხიბულა" ერქმევა და ზვიად გამსახურდიას ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ამბებზე დაყრდნობით იქნება გადაღებული... - ფილმის პროექტი ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დავასრულეთ. გადავედით დაფინანსების ყველაზე რთულ ეტაპზე. გვყავს გერმანელი, ფრანგი, ესპანელი, ყაზახი კომპროდიუსერები, რომლებიც დააფინანსებენ ფილმის ბიუჯეტის 80%-ს. "ხიბულა" საერთაშორისო პროდუქტი იქნება, როგორც არის "სიმინდის კუნძული"... უბრალოდ, საჭირო იყო საქართველოსგან დაფინანსების 20% მოგვეპოვებინა - ქვეყნისგან, რომელიც იქნებოდა კიდევ ფილმის მთავარი მწარმოებელი. პროექტი შევიტანეთ კონკურსზე საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში და ვერ გადალახა პირველი ტურიც კი... ახლა ან ერთი წელი უნდა ველოდოთ შემდეგ შანსს, ან მოვიძიოთ სხვა საშუალება ფილმის გადასაღებად. ამიტომ იძულებული ვარ, სხვა ქვეყანას მივმართო დაფინანსების თხოვნით და "ხიბულა" გადავიღო როგორც არაქართული ფილმი.

ბის შემდეგ დავასრულეთ. გადავედით დაფინანსების ყველაზე რთულ ეტაპზე. გვყავს გერმანელი, ფრანგი, ესპანელი, ყაზახი კომპროდიუსერები, რომლებიც დააფინანსებენ ფილმის ბიუჯეტის 80%-ს. "ხიბულა" საერთაშორისო პროდუქტი იქნება, როგორც არის "სიმინდის კუნძული"... უბრალოდ, საჭირო იყო საქართველოსგან დაფინანსების 20% მოგვეპოვებინა - ქვეყნისგან, რომელიც იქნებოდა კიდევ ფილმის მთავარი მწარმოებელი. პროექტი შევიტანეთ კონკურსზე საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში და ვერ გადალახა პირველი ტურიც კი... ახლა ან ერთი წელი უნდა ველოდოთ შემდეგ შანსს, ან მოვიძიოთ სხვა საშუალება ფილმის გადასაღებად. ამიტომ იძულებული ვარ, სხვა ქვეყანას მივმართო დაფინანსების თხოვნით და "ხიბულა" გადავიღო როგორც არაქართული ფილმი.

- შეიცვლება ფილმის თემატიკა?  
- თემატიკა არა. შეიცვლება გადასაღები ადგილი, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიის გათვალისწინებით, შეიძლება თურქეთის მთიანეთში მოვებნოთ სამეგრელოს მსგავსი გარემო. შეიძლება სხვა ქვეყანაშიც მოვიძიოთ გადასაღები სივრცე.  
- რატომ არ იყო საინტერესო ეს პროექტი კინოცენტრისთვის?  
- მაქვს ოფიციალური საქსპერტო კომისიის დასკვნა, რომლის გაცნობის შემდეგ გამიჩნდა აზრი: ყველა წევრის შეფასება უცნაურად ჰგავს ერთმანეთს, რაც ფაფიკებისაა, რომ კლდექტიური აზროვნების შედეგია. არადა, მათ ცალკე უნდა ემუშავათ საკონკურსო პროექტებზე... ისინი წერენ, რომ სცენარი სუსტია და ამბავი არ არის საინტერესო... ეს

ჰგავს მცდელობას, ბოლომდე გაანადგურონ რაღაც...

ეს ვარაუდებია და არ მინდა ვარაუდებზე ავაგო მსჯელობა... ბიუჯეტის 80% მოგვაქვს, 20%-ს არ გვაძლევენ... ეს წარმოუდგენელია! გიორგი ოვაშივილს უნდა იყოს ქართველი რეჟისორი, ქართულ ფილმს იღებდეს და საქართველოში მუშაობდეს. ის ერთი იდეისთვის იბრძვის: გააკეთოს თავისი საქმე და საქართველოს სახელით. ვისთვისაც ეს სიტყვები ლოზუნგია, მათთვის სამშობლოც ლოზუნგია, სხვა არაფერია...



- ფილმის სცენარი რა პერიოდს მოიცავს?

- დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლო 50 დღეს ეხება, თუმცა, ფილმში არ ვნახავთ პრეზიდენტის საიდუმლოებით მოსილ ტრაგიკულ აღსასრულს. ჩვენ ზუსტად იქამდე მივიყვანთ ამბავს, რის მერეც მაყურებელი თავად გააგრძელებს მას.

მე ვყვები ლიდერზე, რომელიც კარგავს ძალაუფლებას და რჩება საკუთარ თავთან მარტო. ამას ნაპოლეონის მაგალითზე ვაგვიკეთებ, სტალინის თუ სხვა ლიდერის მაგალითებზე, ჩემი გადასაწყვეტია... ეს არის ფილმი, სადაც პრობლემაზე ვსაუბრობ ზვიად გამსახურდიას მაგალითზე. ფილმში მას სახელსაც კი არავენ ეძახის. ის არის "ბატონი პრეზიდენტი". ჩვენ არც ის გავინტერესებს, მისი გარემოცვის თითოეულ წევრს რა ჰქვია, ჩვენ მოვლენის არსი გვინტერესებს.

- გეკითხები არჩეული მთავარი პერსონაჟის როლის შემსრულებელი?

- გმირი წარმოსახვაში მყავს, მერე ვიწყებ ზუსტი სახის ძიებას. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება დანიელ მსახიობ მელს მიკელსენთან, რომელსაც მაყურებელი იცნობს სხვადასხვა ფილმით, ვათ შორის "მონადირით". სიამოვნებით ვათამაშებდი ამ როლს ეან რენოსაც... თუმცა, ჩვენ ვეძებთ. შეიძლება გამოჩნდეს არაპროფესიონალიც...

- აღარ არსებობს შანსი, რომ "ხიბულა" ქართულ ფილმადც დარჩეს?

- არა ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში ვიპოვით კერძო პირს, ინვესტორს, რომელიც ფულს ნაღებს კინოს გადაღებაში...

P.S. გიორგი ოვაშივილთან საუბრისას ვახსენე სახლი სამეგრელოს სოფელ ხიბულაში, რომელიც დღეს მიტოვებული და გაპარტახებულია.

"არადა, ეს სახლი უნდა შეგვენახა, როგორც ისტორიული ძეგლი, იმის გასახსენებლად, რა არ უნდა გააკეთოს ერმა", - თქვა გიორგიმ.

ლ. ჯიყაშვილი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალის ბიორბი ჯალალანის ქართული ფეხბურთის კულტურაში: ახალკაცმა ჯაბამ პირში მიახალა, ფეხბურთში ცხვირს ნუ ჩაყოფო



ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი (1990-98 წლებში) დავით კვინიკაძე საინტერესო მოსაზრებებსა და ხუმრობებს უყვარს. გასახსენებელის მეტი კი რა აქვს - დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქართული ფეხბურთის მესაჯეები ის და ნოდარ ახალკაცი იყვნენ. ის, რასაც ბატონი დავითი იხსენებს, მკითხველთა ფართო წრისთვის დღემდე უცნობია. ამიტომაც გვგონია, რომ ყოფილი გენმდივანის მოგონებები საინტერესო უნდა იყოს...

იცით, საშა როგორ კარგად ერკვევა კლასიკურ ჯაზში?

ერთხელ უფაში იყო მსჯელობა - მაქსიმუმ რამდენი წლის უნდა იყოს ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი. ინგლისელი გამოვიდა და თქვა - 75 წლისო. ებრაელმა - მაქსიმუმ 72-ისო. მას ესპანეთის ფედერაციის პრეზიდენტი დაეთანხმა - ეტყობა, ჩემს კოლეგას სეროზულად აქვს ნაფიქრი, რადგან ეს დამინტრიგებელი ციფრი 72 არავის უხსენებიაო.

მერე გამოვიდა გერმანიის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივანი შმიდტი - კოლეგებო, ასაკობრივი ზღვარის დაწესება გაუმართლებელი მგონია, რადგან რეიგანმა და ადენაუერმა უფრო ჭარმაგ ასაკში მართეს ამერიკა და გერმანია, ხოლო მიქელანჯელომ სიქსტის კაპელა ღრმად მოხუცებულობისას მოხატაო...

მაგრამ ნოდარ ახალკაცი ამ ხალხს შორის არანაირად არ იკარგებოდა - ძალიან დიდი პიროვნება იყო. სხვათა შორის, ბევრს ტყუილად კგონია, რომ საშა ჩივაძეც მხოლოდ ფეხბურთის ვარსკვლავი და მაგარი "შაყირისტია". არაა ასე: საშა

შესანიშნავად ერკვევა ლიტერატურასა და მუსიკაში, განსაკუთრებით კარგად იცის კლასიკური ჯაზი.

ერთხელ ვკითხე - საიდან იცოდა ეს ყველაფერი და იცით, რა საოცარი ამბავი მითხრა? ფარსადანოვი (ნოდარ ახალკაცი - რედ) ისეთი განათლებული იყო, ბიჭებს თეთრი შური გვქონდა და თავადაც ვცდილობდით, მეტი გვესწავლა. წავუგეკითხა და ნოდარისთვის ჩამჭრელი კითხვები დაგვესვაო...

რეზო ჩელეუბაძესაც მხოლოდ "დადავის-ტად" იცნობენ, არადა, არანაკლებ საინტერესო პიროვნება და ნაკითხია. იგივე ვოვა გუცვავეო...

ნოდარის ინიციატივა იყო, "დინამოს" ბაზისთვის ანდრო ჟორდანიას სახელი რომ მიენიჭებინათ; ფედერაციის ძველი შენობა რომ იყო, იმ ქუჩისთვის - შოთა იამანაძის სახელი, "დინამო არენასთვის" კი - ბორის პაიჭაძის. ამ უკანასკნელზე დიდი ომი გადაიტანა, რადგან პაიჭაძე, უდიდესი დამსახურების მქონე კაცი, სტალინის დირექტორობიდან გაათავისუფლეს - ფაქტობრივად, გააგდეს! ცხონებული ნურგულიანისგან სტალინთან ახლოს ვეღარ მიდიოდა, ცრემლები მოსდიოდა. ხომ გახსოვთ, ბოლო წლებში ხალხს "ჩარეცხილები" რომ უწოდეს და დამსახურების მიუხედავად, საქმეებს ჩამოაშორეს? ქართული ფეხბურთის ამ ლეგენდასაც ზუსტად ასე მოექცნენ. ერთხელ, ფეხბურთის სამმართველოში მუშაობისას, მეც მითხრეს - გოგი ანთაძე მოხსენიო, მაგრამ უარი ვთქვი. ასეთი ხალხი დასაფასებელია და ხელისუფლებაც უნდა ვატაროთ.

შეგარდნაზე გაშრა, დაძაბული სინჯე ჩამოვარდა...

ნოდარს უზარმაზარი განათლებაც ჰქონდა და გავლენაც. ჩინოვიკებს ახლოს არ იკარებდა. 1986 წელს, განათლების სამინისტროში ვმუშაობ. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ენდელაძემ და განათლების მინისტრმა ენუქიძემ ახალკაცთან და ფეხბურთელებთან შეხვედრის ორგანიზება მითხოვეს.

ნოდარი ძლივს დავითანხმე. ამის მიუხედავად, 10 წუთი მაინც დაგვიანეს.

ნოდარი გამწარდა და ფეხბურთელებს მიმართა - მოემზადეთ სავარჯიშოდო. ავნიერვილდი, რადგან დაგვიანება არ უყვარდა და არავის პატიობდა. ვთხოვე, მოეცადა და ამ დროს, სტუმრებიც გამოჩნდნენ.

დაძაბულობა. ენდელაძე ვკითხება - რა გვემბე გავქეთ? გუნდი საით მიდის, რა გზას ადგახართო?

ნოდარი განიერ დივანზე იჯდა. მშვიდად, მაგრამ გაბრაზებული სახით წამოიწია, ბოლომდე არც წამომდგარა და უპასუხა: - ხვალ დილით მივემგზავრებთი ბაქოში, იქიდან - მოსკოვში, კიდევ გავქეთ შეკითხვებით? მერე ფეხბურთელები სავარჯიშოდ გაუშვა.

მარტო რომ დავრჩით, ენდელაძე ეუბნება - ნოდარ, რად გინდა ხალხში ასეთი ლაპარაკო? ახალკაცი პასუხობს - დანიშნულ ვარჯიშს არ გადავიტან, ან რა წესია, ფეხბურთელებთან გვემბეზე რომ მეკითხებით? თუ რამე გავქეთ სალაპარაკო, ცალკე შეეხვედეთო...

ასეთი პირდაპირი იყო. ამბობდა, შედეგი თუ შექნება, ფეხებს ვერ მომჭამენ, თუ არა და, ისეც დედას მიტრებენო. ეღუარდ შევარდნაძესთან თავიდან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ბოლოს აერია - ინგლისთან 0:2 რომ წავაგეთ, სწორედ იმ პერიოდში. უფას თავისი პროტოკოლი აქვს - ვინ უნდა იჯდეს სამთავრობო ლოჯაში, თან რანგის მიხედვით, ვინ ვის გვერდით უნდა მოხდეს და ასე შემდეგ. მოკლედ, ყველაფერი გათვლილია. ორივე მხარეს ორი კაცი უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ დამატებით, ინგლისიდან ჩამოსვლა ასოციაციის აღმასკომის წევრებმა, ძალიან საპატიო და გავლენიანმა სტუმრებმაც გადაწყვიტეს. ზოგიერთი ღორღი იყო და სიაში კიდევ 4 კაცის დამატებამ მოგვიწია. ეს სამთავრობო დაცვის მაშინდელ უფროსთან, ქუთათელაძესთან შევთანხმეთ. მაგრამ ნოდარმა იეჭვა - რაღაც შეიძლება მოხდესო და სტალიონზე ადრე წავიდეთ.

სიაში მაინც ძველი ვარიანტი წერია, 2 ქართველი და 2 ინგლისელი. ნოდარი ბადრი ქარტაშაძეს ეუბნება - ინგლისელები რადაცნაირად გააჩერე, აქ კი საქმეს მე მოვაგვარებო. "მარშრუტკით" მოდიოდნენ და ბადრი გაიქცა, რომ თუნდაც საბურავები

გაეხეთქა, ოღონდ, სტალიონზე მსოფლიოს მასშტაბის სირცხვილი არ გვეჭამა.

მოვიდა ეღუარდი. გადაგეკონცა, ნოდარმა კი პრობლემაზე მოახსენა - ინგლისელები სხვა კატეგორიის ხალხია, ასეთ დაუდევრობას არ გვაპატიებენო და მოეფერა - სხვათა შორის, ბატონო ეღუარდ, თქვენი ახლოს გაცნობაც სურთო.

ეღუარდი გაეხუმრა: - კარგი ახლა, ნოდარ, თქვენ რომ მიდიხართ, სულ პრეზიდენტების და პრემიერების გვერდით ზიხართო?

ნოდარმა უკმეხად უთხრა: - არავითარი სურვილი არ მაქვს, მაგრამ მიხდებაო. ხვდებით, ეს რას ნიშნავდა? შენს გვერდით ყოფნაც არ მინდა, მაგრამ სხვა რა გზა მაქვსო.

ვერ გადმოგეცემთ, ეღუარდს სახე როგორ შეეცვალა, გაცოფდა, რამდენიმე წამით საშინელი სინჯე ჩამოწვა. მაგრამ თავი ხელში აიყვანა: ნუ იცინ ასე, რამდენიც გინდა, შეიყვანეთ, თუ გინდათ, მე სულ არ მოვალ სტალიონზეო. მერე დაცვას დაუძახა და ინგლისელებიც უპრობლემოდ შემოვიდნენ...

ჯაბა იოსელიანის ცხვირი

სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც ჯაბა იოსელიანის სახელი ქუხდა. ერთი ხანობა ხომ სახელმწიფო საბჭოს მეთაურიც გახლდათ. ყველას უკვირდა, როგორ ვერ მოახერხა ჯაბამ ფეხბურთის ფედერაციაში საკუთარი ხალხის მიყვანა. არადა, ამის მცდელობა ნამდვილად ჰქონდა. ეგაა, ვისი მოყვანა სურდა, არ ვიცო.

მაშინ თბილისის "დინამოს" ცნობილი მხედრიონელები ზაზა ვეფხვაძე და გია სვანაძე ეხმარებოდნენ. სხვათა შორის, მათ გუნდი და შლას გადაარჩინეს. ზუსტად არ მახსოვს რომელი, მაგრამ ერთ-ერთი ნოდარ ახალკაცს ენათესავებოდა. ერთხელაც, უფადან სერიოზულ სტუმრებს ველოდებოდით. ჩვენი გაწვევიანების საკითხი განიხილებოდა. ნოდარმა ვეფხვაძესთან სთხოვა, სერიოზული ვიზიტია და არ შევრცხვეთ, იქნებ სუფრა, საწუქრები და სხვა რამ გავუკეთოთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი "კამპანია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374



ბააკა თოდუა - 55

Advertisement for 'სახალხო მკურნალობა მოუპოო იმი ჯარ კიდეა მკლავარ ნაყოფიანურ ფარმაცოთიანს, რომელიც მის ღამიკრავს სლილოზა და კვლავ ჩაღვა სალხის ჯანმრთელოზის სამსახურში'.

ISSN 1987-8966 ilori. Includes a barcode and contact information for the publisher.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, სატელ. № 01018002930, 234-32-95.

მითავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია. მისივე რედაქციის მიხედვით. ზურაბ ძოგალაია 599-34-37-27.

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საძინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge